

F 106
1883

ქართული ბიბლიოთეკა

№ VI 036060.

F 359



ქეთავისი
თ. პეტრე გ. წულუკიძის ხელნაწი.
1888



ძალაგის კოტრეთები.

I.

მღენე გახლავთ ქვრივი ღენერ-ლ-ადიუტანტის, კნაზ ბიორგი ძა აძისა. მ არია ორმოცი წლის მშენიორად შენახული. მშენიერი ქალი. სოტაოდენი სიმ უქნე რომ არ აუხნოებდე, ამის ახოვანს ტანს, სწორეთ რომ კაკლუეთამეთათ ჩაი ივლებოდა ეს დედა-კაცო. ორმოცი წლია და არც ერთი ჭმუნნი ამის რძის-ფერ პარი-სახეზედ. ძისერი ამაყათ მოღერებული, ვადაძლილი გულ-მკერდი, რომელშიაც ძალზედ კარგე-მაჭერილი ფილტვები ძლივსღა სუნთქვენ; მშენიერი ბროლის პატარა ხელები ძვირფასის ბეჭდებით და პატარა კოპწია ფეხები შეადგენენ ამას სასიამოვნო სურათს. ტან ედ აცვია შავი ძვირფასი კბა, ყელამდინ გულ-დახურული და გიშერიცით შავ-თმაზე ჩლისფერი წაკოდაკა აქვს წამოხურული. მ ზის თავის პატარა საქტუმრო ოთახში, რომელიც ძლისფერი შპალერებით და ალისფერივე მებელით მშენიერ შუქ აყენებენ მღენის დასა-

თეთრებულს პირი-სახეს. სწორეთ კარგი რამ არის ეს აღისფერი «გასტინა». «პარტინები» კედლებზედ თავისის შინაარსით, ყვავილები ფანჯრებში და კუნჭულებში თავისის სუნნელებით, რბილი ხალიჩები, ტახტები, კუმეტკები და მრავალი სხვა-და-სხვა საფუფუნო საგნები სწორეთ სიყვარულის ედემათ ხლან ამ პატარა ოთახს. შანჯრებზე ჩამოშვებულია ბლონდის ფარლები და რაღაც ტკბილის შუქით ჰფენენ აქაურობას. ძნენაც, გადაწოლილი ხავერდის ღრმა კრესლოში, არ არღვეეს ამ ოთახის ზედ-გაღლენას და ჰკითხულობს იმისთანა რომანს, რომელიც ძვლებამდინ უვლის და აღეღვებს ამის ორმოცი წლის დამშვიდებულს სისხლს. ეს სიამოვნებით კრუტავს თვალებს და სიკეკლუციით იწეწავს წინ გადმოშლილ შავი თმის კულულებს. სალამოს ექვსი საათია. მან-და-თან ბინდმაც მოატანა. ძნენამ ხელიდგან გააგდო რომანი და თავი მისცა ფიქრებს, ფიქრებს, როგორც ეტყობა ამის მოლიმარ და აღზნებულს სახეს, ძლიერ სასიამოვნო, გემრიელი მიმართულებიას. ოთახში კარგა ჩამობნელდა, მაგრამ ძნენას ბინდი ძლიერ უყვარს და სანთელს არაკითხულობს. ვინ არის ეს? — აკი მოგახსენეთ ღენერალადიუტანტის მეუღლე და ამასთანავე ძლიერ შეძლებული ქართველი თავადიშვილის ცოლი. ეს ერთი იმ ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებულთაგანია, რომელსაც არ უნახავს არავითარი უბედურობა. ეს იყო გალაღებული დედის-ერთა დიდის კაცის შვილი.

მშენებლებით და მახვილ-გონებით შემკული მღენე
 ჯერ თოთხმეტის წლისა არ იყო, რომ გარს შემორტყმუ-
 ლი ჰყავდა ასობით თაყვანის-მცემლები. ამის მამა
 ძლიერ გამოჩენილი კაცი იყო თავისის მხედრობის
 გამარჯვებით რუსების ომებში და გამოჩენილი ალა-
 გიც ეჭირა თავის დამსახურების შესახებ. დილით
 საღამომდე იმათი სახლი ღია იყო სტუმრებისთვის.
 სადილი, ნახამი, ბალი, ვეჩერები შეუწყვეტლივ
 იცვლებოდნენ ერთი მეორეებით.

მღენეს გუვერნანტკა ჰყავდა სამოციის წლის
 მოხუცი ფრანცუზის დედა-კაცი, რომელიც, სწავლი-
 სა და გაწრთვნის მაგივრათ, მღენეს მოწიწებით და
 თითქმის შიშითაც შეჰყურებდა. მღენემ ამის შემწეო-
 ბით ის წავლა ფრანცუზული კითხვა, ცოტაოდენი წერა
 და კარგა რიგიანათ ტიკტიკი, ტიკტიკი იმოდენათ, რამ-
 დენათაც მოითხოვდა «გასტინაში» აღიუდნებთან
 ლაპარაკი. რუსული უფრო ქალობაში შეისწავლა,
 ვინამ ბავშვობაში, ისე, უმეტოდოთ, მხოლოდ პრაკ-
 ტიკის დასმარებით. ქართული ნაწერი კი თავის დღე-
 შიაც არ უნახავს, თუმცა ქართული მოკითხვა თავის
 მამიდებისა და დედიდებისა კარგათ ეხერხებოდა.
 «მობრძანდით, შენი ჭირიმე, მობრძანდით, როგორა
 ბრძანდებით, ბატონებო?» და სხვა, ეტყოდა ხოლმე
 მღენე თავის ქართველ სტუმრებს. მღენე სწორეთ
 თოთხმეტის წლისა იყო, როდესაც კარგა მოგძო-
 კებით, თავისის ბებერი ყურის-მგდებელით პირველათ
 გამოვიდა მამის ოფიციალურს სადილზედ. თუმცა



მოკლე კაბით, მაგრამ ძლიერ თამ მას ქცევით, ამაყათ
დაიჭრა სახლის პატრონის ალაკი სტოლზედ (დღეა
აფათ იყო). ღიდი და პატარა სცდილობდნენ თავი გა-
მოეჩინათ პატარა ახაზციკასთან და ერთმანერთს არ
აკლიდნენ ალერსიანი სიტყვები, თქმასა. ზოგერ-
ნანტკამ პირველში წარბები შეაჭმუხნა, მაგრამ ორი
დღის შემდეგ ის ერთ კუთხეს მიეკედლა, მხოლოთ
იმისთვის, რომ, სახელი თვია მანც, ყური ეგდო
თავია უწლოვანი აღ რდილისათვის.

ასე ამ გვართ იცვლებოდა დღე დღეობით და
მღენეს ბავშური შეხედულობაც შეიცვალა მშვე-
ნიერი გასათხზვარი ქალობათ. მრავალი მთხოვენილი
ჰყავდა მდიდარ მემკვიდრე მღენეს. მრავალი მტრთა-
ბელი ჰყავდა მაისის ვარდივით აყვავებულს ბრწყინვა-
ლე კნიაჟნას. და ეს სიმრავლე იყო იმის მიზეზი, რომ
არც ერთი თაყვანის მცემელი არ ჰყავდა დაუასებუ-
ლი, არჩუელი თვრამეტის წლის ქალს, როდესაც
იმის მამამ წარუდგინა ორმოც-და-ხუთის წლის ყმაწ-
ვილი ღენერალი საქრძოთ. მღენე ერთ წამსაც არ
დაყოყმანებულა თავის ბედის გადაწყვეტაზედ. ან
კი დაყოყმანება შეაძლებელი იყო ამისათვის? დაბა-
დებიდგან დღემდან ამის სიცოცხლე ერთი დიდი
ბრწყინვალე დღეაასწაული იყო და ფიქრი, ყოყმანი
საიდგან შეეპარებოდა ამის ნორჩ, ახალ-გაზდა ქმნი-
ლებას? ამას მხოლოთ ის ახარებდა, რომ ღენერლის
ქალობა შეეცვლებოდა ღენერლის ცოლობათ, რომ
ამის სახლია მაგივრათ ექმნებოდა თავისი საკუთარი

საქლი, თავი ი საკუთარი ბალები, სადილები და სხვა მრავალი ბედნიერება, რომელნიც დიდ ხარისხს და დიდ სიმდიდრეს მ. ა. ს. დევს და რომ დიდის ხარისხისა და დიდ შემძლებს პ. ტრონიც იყო ბიორგიტ ამაყაძე. ამას მომავალი ქმარი, ეს მლენემ ნამდვილათ იცოდა. სამხიარულის და სიმდიდრის შემდეგ, თუ სხვა ბედნიერებაც მოიპოვებოდა სადმე. ამან ეს არ იცოდა და სწორეთ ამ უცოდინრობითაც იყო ბედნიერი. მლენე გამოეუხზოვა თავის ქალობას მხიარულათ და მხიარულებითვე შეუდგა დედა-კაცობას.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ლხინიც მოსაწყენია და მლენე ჯერ ოც-და-ხუთის წლისაც არ იყო, რომ ყელამდინ მოიყინვა ტანციობით, მორთულობით და ქარაფშუტობით. ეს ხშირათ კუნჭულში ყურებ-ჩამოყრილი იჯდა, როდესაც ამის სახლს ზრიაშული გაჰქონდა მრავალი სტუმრების ხმაურობით და მოძრაობით. ეს დალონდა, როგორც ყოველი მამლის ხვედრია, და არ იცოდა, რითი გაერთო თავი. ჯერ პატარა შეილებს დაუწყო აღერსი, მაგრამ ვერაფრათ ეჭაშნიკა, იმათი ჭლივილ-სივილი ძარღვებს უშლიდნენ იმას. მერცა რა მოეხერხებინათ ეთქვა იმათთვის. მრავალი მოსამსახურეები, გადიები გარს ეხვიათ იმათ და ამხიარულებდნენ. ღედის აღერსი ექიმის დანიშნულ მაციონს მიაგაედა და არც დედას და არც შეილებს არ აკმაყოფილებდა. შემდეგ მლენემ ქველ-მოქმედებას მიჰყო ხელი და მთელის თავის არსებით მიეცა ამ საქმეს. ბუნებითვე

კეთილი, კეთილი აღტაცებამდინ, ეს ხელს უმართამ-
 და ყველას, ვინც კი ამას მომართავდა. პოლკიდგან
 ჭამოგდებულო აფიცერი, შკოლიდგან დათხოვნილი
 შეგირდი, პატარა პენციის მქონე ქვრივი უთუოთ
 ჯაირიგებდნენ საქმეს, ამიტომ რომ მლენე შემძლე
 დედა-კაცი იყო და გულით კეთილი. მაგრამ ყველა
 ეს ცოტა იყო. ამას მაინც ბევრი, ძლიერ ბევრი დრო
 ჰქონდა თავისუფალი. ამის გული და გონება ცარიელი
 იყო, და საზრდო არსაითა სჩნდა. ბიორგი ყოველთვის
 ცალკე სცხოვრებდა. ამის ცოლთან დამოკიდებუ-
 ლება მხოლოდ იმაში იყო, რომ ბალში აპოღრუჩ-
 კით» შეეყვანა და დაუყოვნებლივ მალაზიებში «ჩო-
 ტები» ეძლია. ცოლი უყვარდა თუ არა ძნელი შე-
 სატყობი იყო, ის როგორც «ვოენის» კაცი სასირც-
 ხვოთ სთვლიდა დედა კაცთან აღერსის გამოც-
 ხადებას. მრის წლის შემდეგ ჯვარის წერისა იმან
 გააახლა საბედა-გოგოსთან კავშირი, რომ ცოლის
 მყუდროება არ დაერღვია. მლენემ ეს კავშირი იცოდა,
 მაგრამ ყურსაც არ იბერტყდა. რას აქნევდა გაბღენ-
 ძილი სამოცი წლის კაცს, რომ საბედასთვის მოე-
 შორებინა? ამ დროს ამის ქრმის აღიუტანტათ გად-
 მოიკვანეს მშვენიერი ვაჟკაცი, ცეცხლის მრუქვევი
 თვალებით და უსამზღვრო გაბედულობით. ზაზა ბობ-
 რაძემ პირველსავე საღამოს თავისი შავი თვალების
 ლაზვარი გაურჭო მლენეს გულში. ის ინსტიქტით
 ზიხვდა, რომ აქ სიცარიელეა და გავსებას სისწრა-
 ლით შეჰდკა. ამათი დაახლოვება ძალიან ადვი-

ლად მოჰხდა და ჯერ მლენეს თავის თავისთვის ანგარიშიც არ მიეცა, რომ ზაზა იმის საყვარელი გაჰხდა. მლენეს სიყვარულიც ისეთივე დაუწყნარებელი და მსუბუქი იყო, როგორათაც მთელი ამის სიკაცხლე. ეს ახლა ერთი-ორათ გაყოჩაღდა. მთელი დღეები ქმრის ადიუტანტთან ცხენით დააჭენებდა. მინდვრები, ტყეები, ბაღები აღარ გადაურჩა, რომ «პიკნიკები» და სადილები არ გაემართნა. შევლგან ერთგული ადიუტანტი უკან ახლდა. ძვეყანა და იმის აზრი ამას სულ დააფიწყდა, მაგრამ ქვეყანამ ეს არ დაივიწყა: დიდი და პატარა, თუმცა მოწიწებით, მაგრამ კარგა ხმა-მალლა დასცინოდნენ. მხოლოდ ზიორგიმ არა იცოდა რა. მის დღეს ზიორგი სადილათ ახლო სოფელში მიიწვიეს. საღამოზედ, როდესაც თითონ და ერთგული ამის მოსამსახურე ცხენებით, კარგა შეზარხოშებული, წელის ნაბიჯით ძალაქს უახლოვდებოდნენ, მოსამსახურემ ბატონს მკრთლათ მოახსენა: «ნუ კივა მიწყრებით, შენი ჭირიმე, და ამაღამ შინ ნუ მიბრძანდებით». — როგორ? რატომ? «იმიტომ რომ მინდა შეიტყოთ, რომ თქვენს სახლში ღალატია».

ზიორგი მიჰხვდა და უკან დაიწია. ღამის სამსაათზედ ეს თქარა-თქურით მიაღდა თავის სახლს და პირ-და-პირ ცოლის ოთახისკენ წავიდა. ზოგომ კარებთან ხელი დაუჭირა: «ქალბატონი ავით არის, თქვენი ნახვა არ ნებაეს.»

— მართლა! მითი კი დაიბლუვილა ზიორგიმ და იქვე მოჭრილი ხე ავით გადაიტკა. ზიორგის უყვარდა თავისი ღამაზი მლენე, ამაყოზდა იმით, მაგ-

რამ ქლენეზე მომეტებულათ უყვარდა თაჲის ოჯახის სასუფთავე, უყვარდა იმოდენათ, რომ ამ სიყვარულის ვაცრუებამ უმაღლ განანდგურა და ჯერეთ მაგარი ამის სხეული ერთ წამს დაარღვია.

ქენინას ქმრის ავად-მყოფობა დილამდინ არ შეუტყვია. დილაზე მოახლემ მოახსენა და ის წყნარათ, თავისის ბრწყინვალე მშვენიერებით შევედა იმასთან. ბიორგიმ ერთი კადუბღვირა, რალაც უნდა ეთქვა, ოროდჯერ ხელები გაიქნია და სული განუტია. ქლენე დარჩა ქვრივი, მდიდარი, მშვენიერი და თითქმის ბედნიერიც (ქმრის სიკვდილის მიზეზი დღესაც არ შეუტყვია ამას.) წლის თავ ედ ზაზა რალაც ცელქობისთვის სხვა პოლკში გადაიყვანეს. ქლენემ ბევრი იტირა, ბევრს ეცადა იმის დაბრუნებას, მაგრამ ვერას გახდა. თავის მწუხარება მაოლოთ მეორე მეკობრით გაიგრძილა. მეორე შეცვალა მესამით და აი დღეს, როდესაც მე ამის პორტრეტს გიხატავთ, ეს მოელის მეათხე მეკობარს, მაგრამ ისეთივე გულის ცემით და აღზნუნულის გრძნობით, როგორათაც პირველს. ქლენეს აწყო სა ვარელი გახლავთ ოცდაოთხის წლის ყმაწვილი ბიჭი, ერთი იმ ტიპთაგანი, რომელნიც, საუბედუროდ, ახლა გახშირებულნი არიან ჩვენში: ტან-დაბალი, ფრანტი, თმებ-დახუჭუჭებული, პირ-გამოქნილი, პუდრ-დაყრილი, თვალეზ-მიზნედილი და გონება გაქნილი ქმნილება, რომელსაც ადვილად შეუძლიან აღებ-მოცემაში მისცენ თავისი საკუთარი არსება. ეს არის ერთი გაღარიბებული

თავადიშვილი, უსწავლელი, უსაქმო და სცხოვრებს ინგლისის ლორდივით. ღღეს, სხვათა შორის, ამის უღუფას შეადგენს კნ. მღენე და ამისათვის ეს მოწიწებით შემოვიდა ამის «ბუღუარში» და წინათ დაეშვა ხალჩაზედ მღენეს მუხლებთან. ამან ოდნავ შეჰკვივლა, გულზედ მიიკრა და მხურვალეთ დაეკონა ორი წამის წინათ «პარიკმახერთან» გაქონილს «პრიჩოკას».

ამ დროს კარებიდგან საშინელი ხარხარი მოისმა. ეს ვერა და ნადეჟდა, მღენეს ქალები, ერთმანერთს ნიშნს უკებდნენ, რომ მოსტყუვდნენ და ვალოდია არც ერთის მოარშიყე არ გამოდგა.

II.

ძაკატომ ხუთი წელიწადია, რაც ინსტიტუტში კურსი შეასრულა. ეს იყო ერთი პირველთაკანი შეგირდი, როგორათაც სწავლით, ისეც სიკეკლუციით. ამის დედას ამის გარდა სამი ქალი კიდევ სხვა ჰყავდა, მაგრამ თავისის ღარიბი თავადიშვილის ოჯახიდან არა დასოგა რა და ძაკატოს გამოსასვლელათ ჩინებული ტანისამოსი შეუყვრა.

— მზითევშიაც გამოადგება, ამბობდა თინათინ მამულაძისა, ძაკატოს დედა და არაფერს იშურებდა. ძაკატო ახტაცებით მიეგება განთავისუფლებას სატუსალოდგან, როგორც ეს ინსტიტუტს უწოდებდა და ათას ჰეროვან სურათებს იხატავდა თავის

მომავალი სიცოცხლისას. ტანცაობა, კავალერები, ამაზონკა, სიყვარული, ჯვარის წერა იმაზედ, სცელიდნენ ერთმანერთს ამის მოაზრებაში და ტკბილს ლიმილს აყენებდნენ ამის უმანკო ბაგეს. პირველი ზაფხული მხიარულოთ გაატარა სოფელში. შვიდის წლის დამწყვრევის შემდეგ ყოველი ცხოველი იზიდავდა იმის ყურადღებას. ეს პატარა ბავშვივით დარბოდა კალოებზედ, ბაღში, შერბოდა გლეხების სახლებში, ეთამაშებოდა იმათ ბავშვებს. მთელი დღე არე მარეხედ გაისმოდა ამისი წკრიალა ხმა და გულითადი ხარხარი. მაგრამ ეს სიხარული დროებითი იყო. ამას სოფელი მალე მოსწყინდა. ეს სოფლის შვილი, სოფელში აღზრდილი მთელის შვიდის წლით გადანერგილი იყო სხვა ნიადაგზედ და ხელ-ახლად გადმოყვანა სოფელში შეუძლებელი იყო. მოვიდა შემოდგომა, ცამ შუბლი შეიყუმშა, დაიწყო ხანგრძლივი გაქლინთული წვიმა და ძაკატო ჩაჩუმდა. ძარზე ველარ გამოდიოდა და შინ რა ექმნა? საკითხავი წიგნები ჭვანეთში არ მოიპოვებოდა; კავალერებამ სოფელში ამის მამის მეტი და ორმოციოდ კომლი გლეხის მეტი არავინ სცხოვრებდა და მაშ რა ექმნა? მაშ რა ექმნა... საწყალი ეს მთელი დღე ოთახებში შედიოდ-გადიოდა და ოხვრით გულს იგდებდა.

— დედა, რა ექმნა? «სკუჩნათა» ვარ. ნეტა ისევ ინსტიტუტში ვაყვე. იქ «პოდრუგები» მაინც მყვანდნენ, «უჩიტლები» მაინც მოდიოდნენ, აი თუ გინდ სერგეი ივანიჩა! ოჰ, რა მშვენიერი ყმაწვილი კაცია,



დელილო! მე არ შემიძლიან, დედა, აქ გავდლო! მე ჯავრით მოვკვდები, თუ ძალაქში არ წამიყვანთ. აბა რა ექმნა, აბა რა ექმნა? ჰკითხავდა დედას და ჰკითხავდა დაუსრულებლივ. რას ეტყოდა თინათინ? მართლაც, რა უნდა ექმნა ინსტიტუტში კურს დასრულებულს თავადის ქალს სოფელში?

ნუ სტირი, ძაკატოჯან, ანუგეშებდა დედა. ნუ სტირი, გენაცვალე! აი ცოტა კიდევ მოიცადე, პური გავყიდოთ, მაშინვე ძალაქს წავიყვანთ. ჩემო მშვენიერო, რამდენ კაცს გააგიყებს შენი მალხაზი თვალები, შენი ვარდისფერი ბუნჩულა ლოყები. მინძლო, ჩემო გოგუნავ, პოლკოვნიკი სიძე მიშოენო! შენ რომ ძალაქში მეყოლები, შენი დებიც შენთან ჩამოვლენ, შენ ისინი შეგიძლიან საზოგადოებაში გამოიყვანო.

— ჰო, დედა, ხუთი ოთახი ჩემს სახლში ყოველთვის თქვენთვის მზათ იქმნება. როცა მობრძანდებით, კალიასკით გატარებთ, ბალებში წავიყვანთ, ჩემ დებს სულ ძალაქში გავათხოვებ. ოჰ, სოფელში საშინელი «სკუჩრობაა», საშინელი!

— შიცი, შევილო, ვიცი, რომ გაზდილი ქალი აქ ვერ იმხიარულებს. ჩვენი სულ სხვა საქმეა. აი კალოზედ დაადეგ, აი პურის წყვავე დაესწარ, მუშას ჯერი მოუმზადებინე, ყველი ჩადე, ერბო გადააღწე, გამოსქვრე, შეკვრე, ეს ძველი ეს ახალი. ოჯახია, შევილო, ერთ წამს რომ თვალი მოაშორო, სულ უკუღმა დაბრუნდება, და დრო ისე გარბის,

ვერც კი ვიგებ. მე მარტო ძალაქში ვარ დაკუნთათ, როგორც შენ ამბობ. აქ გლეხის ცოლებთანაც უფრო ბევრი მაქვს სალაპარაკო, მანამ იქ ქალაქელ ქალებთან. რააკვირველია, ესეები სწავლული ქალისთვის რა გამოსადეგია. შენ ძალაქში წაგიყვანო. ტყავს გაეძრობთ და შენ კი კარგ კაცს მიგათხოვებთ.

ზამთარში ძაკატომ ძალაქში ბევრის ყურადღება დაიმსახურა. ეს ნაზის უმანკოებით დაცქრილებდა დაბრანიანი, ძრუფოკშია. მა ნავარდიანათ იჯდა თეატრის ლოჯაში და გუნებიანად კუკნიდა კამფეტებს და თამამად ელაპარაკებოდა ყმაწვილ კავალერებს ანტრაქტებში. მართი სითყვიო, ყველგან და ყველასთან ისე ეჭირა თავი, როგორც გადილ ყმაწვილ ქალს შეჭვერის. ბევრი ყმაწილი კაცი გეშალა ძაკატოს ფიანდაზათ, ბევრმა ჩახურჩულა ყურში, რომ ეს არის მშვენიერი, ნაზი, კეკლუცი და თვით აღტაცება, მაგრამ აბრედლოჟენიე კი არავინ გაუკეთა. ზიორგი, ძაკატოს მამა, ხშირათ მირბოდა სოფელში ფულების ჩამოსატანათ. მრავალი ფული მოუწდა ძაკატოს მორთვას, ვახშებებს და ფაეტონს. ზაზაფხულიც მოვიდა და სამოც თაყვანის-მცემლებში ერთი საქმროთ არავინ გამოჩნდა.

მეორე ზამთარს ზიორგიმ ძალაქა ჩასვლა ველარ გაბედა. მრავალი ვალი დაედო და სახლობა ზორში ჩამოიფანა. ცხოვრება ნახევარზედ შეამოკლა. ძნიაყნას ზორი ძალაქთან ვერაფრათ ეჭაშნიკა,

ყველა უფერულათ და უფემურათ მიიღო. მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს და გარემოებას დაემორჩილა. შინ გადილო კვალერებთან, აფიცრებთან, თუძვა ტუჩის აბრუწვით კი, ტანცაობა დაიწყო. მაგრამ საქმროთ ამათშიაც არაფერ გამოჩნდა. მესამე ზამთარიც მამულაძიანთ საქმროს ძებნაში ზორში გაატარე, მაგრამ ამოთ, არამც თუ პოლკოვნიკი, პრაპორსჩიკიც არაფერ გამოჩნდა. მეოთხე ზამთარს ვალით ყელამდინ მოყრილი ბიორგი გაჯიუტდა და პაკატო ძეხეთში დარჩა. ეს მოვლათ გადაირია. მთელი დღეჩხუბობდა, დედ-მ მას საყვედურით ახრჩობდა: თუ ცხოვრება არა გქონდათ, რათ გამზარდეთო. პატარა და-ძმათ სცემდა. ისტერიკები დაემართა. ამისი მუდამ მოლიმარი და ნაზი სახე მრისხანე და სასტიკი გაჩნდა. შუჩულა და ვარდის-ფერი ლოყები დაითეთქნენ და გაზაფხულის მაგივრათ შემოდგომის ფერი დაედვათ. უხლო სოფლელი მეზობელი ხეპრე კნიაზი, პაკატოს აზრით, თუ ვინმე შემოივლიდა, ეს მაშინვე კარს მარახუნებდა და თავის ოთახში იკეტებოდა.

მეხუთე წელიწადს, ერთ ჯვარობა დღეს, პაკატოს გააცნეს ცალ-ხელი «ოტსტაენოი» პოლკოვნიკი ზედგინიძე. ამან ოდნავ ხელი ჩამოართვა ინვალიდს და ხუთ წამს უკან მიიქიწა კედელს. მაგრამ, როდესაც სალამოზედ დედამ წასჩურჩულა, რომის ცალ-ხელა ძლიერ მიიღარია და დიდა მამული აქვსო, პაკატომ თვალეები აჭყიტა. ეს ნელა წამოდ-

გა და უხელო პოლკოვნიკს წან გაუარა, იმის მო-
 ახლოებით კუნჭულში მიჯდა და თავის სახეს ნის-
 ლით მოსილი შეხედულობა მისცა. პოლკოვნიკი,
 როგორც გამოცდილი «დამსკი კავალერი», მაშინ-
 ვე მიუახლოვდამოწყენილს კნიაჟნას, დაღონებისმი-
 ზეზი ჰკითხა, ნუგეში სცა დაამ გვართ ამათი ცნო-
 ბა გავრცელდა. მთელი დღე ძაკატო აღერსიანათ
 და კეკლუცობათ ექცეოდა პოლკოვნიკს. საღამომ-
 დინ მოხუცი ცალ-ხელა გმირი ამისი თვალების სით-
 ბოებით მთლათ დადნა. მური კვირის შემდეგ ამ ჯვა-
 რობისა, ერთ ზაფხულის საღამოს, როდესაც ძაკატო
 სულ-ხორც მოშვებული, აბრეზილი, ჩვეულებისა-
 მებრ, ბალკონზე ტახტზე იყო წამოწოლილი, ზარის
 წკრიალი მოისმა და მანამ ეს წამოდგებოდა, ლაზა-
 თიანი ტარანტასი, სამის ყარაბახულის ცხენით, ამათ
 კარზე გაჩერდა. ძაკატომ პოლკოვნიკს თვალი შე-
 ასწრო და მაშინვე თავის ოთახში შევარდა. მაგრამ
 იმიტომ კი არა, რომ შეკეტილიყო, არა, ამან მარ-
 ლათ გამოიცვალა ტანისამოსი, ცოტაოდენი უშუშტა-
 კიც გადიკრა (ეს ცოდვა მხოლოთ უკანასკნელ წე-
 ლიწადს შეეპარა) და მშვენიერის, კეკლუცის ღიმი-
 ლით რამდენიმე წამს შემდეგ პოლკოვნიკს სასტუმ-
 როში წარუდგა. იმან თავის ცალი ხელით ამისი ხე-
 ლი მაგრათ დაიჭირა და პირ-და-პირ თვალეებში შე-
 ხედა. ძაკატო გაწითლდა, მორცხობით თავი ჩალუ-
 ნა, მაგრამ ხელის მოჭერაზედ პოლკოვნიკს არ გა-

უწყრა. მალე დედ-მამაც შემოვიდნენ და საერთო ლაპარაკი ჩამოვარდა.

— მე, ბატონებო, ამბობდა პოლკოვნიკი, აქეთ-კენ გზათ გახლდით და თუმცა დამალაშდა, მაგრამ ვერ მოვითმინე, რომ არ შემომეველო და მშენიერი კნიაჟნა არ მენახა.

იმ ღამეს, რასაკვირველია, როგორც ქართველ გულ-უხვობას შეჰფერს, პოლკოვნიკი არ გაუშვეს. ძაკატო მხიარული და სათნო მასპინძელი გამოდგა. მს დიდის ხალისით უჭრიდა პოლკოვნიკს საუკეთესო ნაჭრებს და გულ-მტკივნეულათ უყურებდა იმის საშინელს სწეულებას. ძალმა დიდის მხურვალეობით გამოჰკითხა ხელის დაკარგვის მიზეზი და პოლკოვნიკმა ალტაცებით უამბო თავისი მხედრული მამაცობა და ამ მამაცობის შედეგი—თავისი მარცხენა ხელის უქონლობა.

მართის სიტყვით, მხედარი და ძაკატო დამეგობრდნენ და ორი კვირის შემდეგ, როდესაც კიდევ გზათ შემოიარა, ზედგინიძემ ძაკატოს «პრედლოჟენიე» გაუკეთა.

ძაკატო თუმცა გულით ზიზღობდა მოხუცს და მახინჯს კაცს, მაგრამ გონებით სახდა იმას თავისი მომავალი ცხოვრების გაბრწყინების გამოსადეგათ და გაჰყვა იმას. ძლიერს აუსრულდა ამდენი წლის ნატერა. მის ოავზე ჯვარის წერისა ალტაცებულმა მეუღლემ მფილისის საუკეთესო ქუჩაზედ ლამაზი სახლი აჩუქა. შულები ბლომათ მისცა და ძაკატომ

სახლი ისე ააყვავა, როგორათაც კი წარმოდგენილი ჰქონდა ხუთი წლის გაუწყვეტლივ ოცნებებში. დები ქალაქში ჰყავს და მხოლოდ თინათინ დაზოზინებს დაკარიელებულს კარ-მიდამოზედ.

III

ნინოს მამა ერთი იმ ჩინოვნიკთაგანი იყო, რომელიც შეჰქმნა ჩვენში კანცელარიამ 1860 წლამდე. უსწავლელი, ამასი თავისის მუნდრით და დამოუკიდებელის პოლიციის სამსახურით, ეს ერთნაირად დესპოტიურად ექცეოდა როგორც გარეშე პირებს, ისეთაც თავის სახლობას. ნინომ უსუსურობაშივე გაიგო, თუ რა არის ძალა უძლურთან, უსამართლობა და ბოროტობა უმეცრებისაგან. ეს ყოველ-დღე ჰხედავდა თავის წყნარს, ღეთის-წიერს დედას თავის ქმრისაგან მიწასთან გასწორებულს, მოსამსახურეებს ნაცემ-ნატყებს და შევიწროვებულს ყველას, ვისაც კი რამე დამოკიდებულება ჰქონდა ამის მამასთან. ეს შიშით თრთოდა მამის წინ და ბავშვობითვე ყოველ-სავე თავის გრძნობას იმაღავდა გულში. მხოლოდ სიბრალული, სიბრალული საშინელი აღიძროდა იმის გულში ყოველი უსამართლოდ დამცირებულის მსხვერპლისათვის. ნინო ჯერ თოთხმეტისა არ იყო, რომ ამის მამა, გაანჩხლებული ერთს გლეხზედ, უცებ გადაიქცა და მოჰყვდა; ამ შემთხვევამ მთელი სახლობა, როგორც ზნეობით, ისეც შეძლებით სულ სხვა

რკალში ჩააყენა. ნინო, დედა და სამი პატარა და ამისი დარჩენენ ყოველისფრით უნუგეშოთ. ამათქმის მეტი ნუგეში არაფერს გააჩნდათ და ესენი წამოვიდნენ ოფილისში სანდროსთან საცხოვრებლათ. სანდრო ერთი იმ ყმაწვილ-კაცთაგანი იყო, რომელიც ვალათ რაცხს თავის ქვეყნის სამსახურს და იმის წარმატებაში დახმარებას. რიგიანის სწავლით მომზადებული, ეს მხურვალე თანა-შრომას უწევდა ქართულს ყურნალ-გაზეთს, მხარს აძლევდა ახალ-გაზდობას და ავრცელებდა იმ კეთილ აზრებს, რომლებმაც, დიდი-ხნის მიძინების შემდეგ, ამ ოცი-ოც-და-ხუთს წელიწადებში ჩვენში გაიღვიძეს. იმასთან იკრიბებოდარაც კი რიგიანი მოიპოვებოდა ჩვენს ყმაწვილ-კაცობაში და ყოველთვის ცხარე და აზრიანი ბაასი გაისმოდა იმის სადგომში. ჩვენი მწერლობა, ეს ერთათ-ერთი საშუალება ეროვნულის აზრების აღძვრისა, თითქმის იმის სახლში ისხამდა ფრთებს. ბანთიადამდინ ისმოდა იმათი ბაასი პატრიოტობაზედ, დედა-კაცების გათანასწორებაზედ, გლეხის ცხოვრების გაუმჯობესობაზედ, უსამართლობის დასჯაზედ და სამართლის აღდგენაზედ. ნინო ჯერ თხუთმეტის წლისა არ იყო, როდესაც ძმასთან დასახლდა და ოფილისის ქალების გიმნაზიაში შევიდა. ეს თითქმის ყოველ დღე, სწავლის შემდეგ, ტრი-ალეზდა ზემო-ხსენებულს ყმაწვილებში და ამის ნორჩი გონება ანდამატივით იზიდავდა ყოველს ამ კეთილ აზრებს. მოლაპარაკენი ზოგჯერ, იქმნება, სიტყვის მა-

სალათაც ხმარობდნენ ამ წმინდა აზრებს, მაგრამ ნინოს გული და გონება კი ნამდვილათ იბეჭდავდა ამ სარწმუნოებებს. ეს მიჰხვდა, რომ სწავლით და მხოლოდ სწავლით შეიძლება მოსპობა ავისა და კეთილის დაარსება და ბეჯითად სწავლობდა. ჯერ თვრამეტისა არ იყო, რომ ოფილისში სწავლა დაასრულა. ამას გულით უნდოდა სწავლის გაგრძელება რუსეთში, ან სამზღვარ-გარეთ (მაშინ ქალების უმაღლესი სწავლის მიღება პირველი ნაბიჯი იყო), და ახალ-გაზდობამ დიდი შემწეობაც გაუწია გასასტუმრებლათ: ყველამ თავისი სუსტი ჯიბიდგან ცოტაოდენი ნინოს გაუნაწილა. მაგრამ ამ დროს სანდროს რაღაც უბედურება შეემთხვა და რუსეთს გადაასახლეს საცხოვრებლათ. ნინო ერთად-ერთი ნუგეში-ლა დარჩა დედას და პატარა დებს და ესეც, თუმცა გულის დუღილით, გამოეთხოვა ყოველ თავის უმაღლესს წადილებს და დაემორჩილა ბედს. ამან პატიოსნურათ დაიწყო შრომა და ლოცვა პური გაუჩინა თავის სახლობას. დღეიდგან ნინო გახდა დღიური მუშა, რომელიც დაუყონებლივ და შეუფერხებლივ შრომობდა. დილით უროკები, საღამოზედ ქალღმერთების გადაწერა, ერთი სახლიდგან მეორეში სირბილი, ერთი ქალაქის თავიდგან მეორეში გადას-გადმოსვლა საშინელ ჯათვას აყენებდნენ საწყალს. ბუნებითვე მელანხოლიური ხასიათისას ეხლა პირს დიმილს ველარავინ დაუნახავდა. ამისს აზრით სავსე სახეს ყოველთვის რაღაც მწუხარება და ფიქრი ეწე-

რა. მუდამ შავის კაბით, სადათ ჩაცმული, შექმუხულის შუბლით, ვინ იტყოდა, რომ ეს მხოლოდ ოცის წლის ყმაწვილი ქალი იყო.

მიდიოდა წელიწადი წელიწადზე და ნინო ისევ ის მშრომელი და ისე; ის ოჯახის მანუგეშებელი შვილი იყო. იმან თითქო ყოველი პიროვნული გრძნობებიც კი გულში დაიმარხა. მშვენიერი ტანადი, მარილიანის სახისა, გონიერი ქალი, რასაკვირველია, შეუნიშნავა არ დარჩა ბევრ ყმაწვილი კაცის თვალში, მაგრამ ნინო ყველასთან ერთ ნაირათ ტკბილათ და გულ-ცივათ კი იყო. პერც ერთმა ვერ გაუბედა სიყვარულზედ ლაპარაკი და აიოცდა-ხუთამდინ მიახწია და ჯერეთ ქმარი არა ჰყავს. ღელა ბევრჯერ ცრემლებით სავსე თვალებით მიუჯდებოდა ნინოს და სთხოვდა შესვენებას. შვილო, ცოტათი ჯანი დაზოგე, ჩვენ ყველაფერს მოვიკლებთ, ოღონდ შენ კარგათ იყავი. მერე მოწიწებით დაუმატებდა: ნინოჯან, გათხოვდი, შვილო, მე მგონი, აი სულში რომ ემახურება, იმას მოსწონხარ, კარგი ჯამაგირი აქვს, ის ჩვენც გვიპატრონებს და შენცა. ნინო ამ რჩევაზედ მხოლოდ ჩაიცინებდა და გაეშურებოდა შემდეგს უროკზედ.

მცდა-ხუთისა იყო ნინო, როდესაც ზაფხულით ერთმა თავადიშვილმა გაიწვია შვილების მასწავლებლათ ძახეთში. ნინო ამ ბოლოს დროს ძლიერ დაღალოულობას ჰგრძნობდა. ზოგჯერ ყმაწვილებთან ბაასში ხმა უწყდებოდა. სისუსტეც შეეპარა

და სიამოვნებით მიიღო ეს გაწვევა. ეს ჰფიქრობდა: სოფელში დავისვენებ, სუფთა ჰაერზე ღონეს შევიკრებ და ზამთრის შრომისთვის მოვემზადებიო. თიბათის გასულს წავიდა სოფელში და ღვინობისთვემდინ დარჩა. ოჰ, რა ცვლილება იყო ნინოში, როდესაც ეს დაბრუნდა სოფლიდან! მუდამ დაღვრემილი ამისი სახე ბედნიერების ღიმილით იყო განათებული. ამის მოძრაობა, ყოველთვის წყნარი და დამხნილი, თითქო სიკაცხლითაივსო. შერ-მკრთალს ლოყებს ვარდის ფერი გადაედო და შავი, პატარა თვალები ბრწყინვალე ცეცხლით აქნთო. დედა სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა და რაღაც მანქანებას აწერდა თავის ნუცას გაუურჩქენას.

როგორც ყოველი თავის აზრი, ამ ცვლილების მიზეზიც გულში შეინახა ნინომ. ეს ხშირათ ყმაწვილებთან ლაპარაკში ჩაჩუმდებოდა ხოლმე, თვალებს ერთს საგანს დააშტერებდა და ტკბილი, სიმწარემდინ ტკბილი აზრი გაუელვებდა სახეზედ. მაგრამ საჩქაროთ თვალებზე ხელს გადასვამდა და ისევ პატიოსნურათ შეუდგებოდა თავის საქმეს. რა იყო მიზეზი ნინოს ბედნიერებისა? ის, რაც შეადგენს უპირველეს ბედნიერებას დედა-კაცისას (თუ არმთელი კაცობრიობისასაც), სიყვარული. ნინოს უყვარდა პირველათ, უყვარდა აღტაცებით და ოც-და-ხუთის წლის დარბაიელის დედა-კაცის სიყვარულით. ვინ უყვარდა? იყო ღირსი ის ამის უზომო ნდობის, თუ არა? ეს ნინოსთვის უცნობი კითხვები იყო.

მა შეჭვდა ბუნების განიერ გულზედ, ძახეთის სიცოცხლითსავსე ჰაერში, აგვისტოს მშვენიერ მთვარიან ღამეს ღამაზს, კონტა ვაჟკაცს, სიცოცხლით და გონებით სავსე ქმნილებას და გულით და მთელის არსებით მიეცა იმას, იმის სიყვარულს და ტრფობას. მა მთელს ორ თვეს სიზმარივით გაბრუნებული იყო ბედნიერებაში, ამან დაივიწყა ყველა, რაც კი წუთი-სოფელმა ძიმწარე ასვა, და სტკებოდა იმითი, რაც შემთხვევამ მისცა. ორი თვის შემდეგ, როდესაც იმისი ღვათება რუსეთის გზას გაუდგა სასწავლებლად, დიდი ძალა იხმარა, რომ თან არ გაჰყოლოდა, მაგრამ მოვალეობამ, ამ მუდამ შეუბრალებელმა მრეკავმა, ამისს სინიღისს ჩამოურაწყუნა და თავის ოჯახში დააბრუნა.

ნინო მთელი წელიწადი სცხაგრებდა იმ აზრით, რომ ზაფხული მოვიდოდა და მასთან იმისი ბედნიერება განახლდებოდა, მაგრამ ბედნიერება მატყუარაა. ზაზაფხული მოვიდა, მაგრამ იმედი კი გატყუვდა. ნინო დალონდა. ამისს სახემ ისევ მოღრუბლული შეხედულობა მიიღო და ამისი გულის კარები სამუდამოთ მიიხურა. ეს ერთად ერთი სინათლე, რომელმაც ამის ცხოვრებაში ჩამოანათა, გაქპრა. ღარჩა მხოლოდ შრომა, ცარიელი შრომა ლუკმა პურისათვის. შრომამ იმ გულში, რომელიც გაჩენილია სხვა უმაღლესის კაცობრიულის გრძნობებისთვისაც ძლიერ ღრმა კვალი გაუარა ნინოს ჯანმრთელობას. ეს დღე-და-დღე ებრძოდა თავის სენს — სისუსტეს,

მაგრამ სიხუსტემ თავისი წაილო და ერთის უბრალო-
 გაციების მიხეზით წინო ლოვინად ჩავარდა. ღიდ-ხანს
 იყო მძიმე ავად-მყოფი. ღიდ-ხანს იტანჯოდა თავის
 ოჯახის სილატაკის ცქერით და იმ ფიქრმა, რომ უამი-
 სოთ პატარა დები შკოლაში ველარ დადიან, ფეხზედ
 დააყენა. მაგრამ ეს ნაძალადევი, მხოლოთ ძარღვე-
 ბით შემაგრებული ფეხზედ დგომა, მხოლოთ უკანას-
 კენელი ზეუტი იყო ამის სიცოცხლისა. ზაყვითლე-
 ბული, გულ-ჩავარდნილი, საშინელის ხველებით
 წინო ისევ თავის შრომას შეუდგა და იშრომა იმ
 დღემდის, მანამ გმირულად თავის სისხლში ამოსე-
 რილი უძლურათ ლოგინზედ არ დაეცა.

ძმის ამხანაგები, წინოს შორიდგან პატივის
 მცემლები, იმავ დღესვე შეგროვდნენ, უჩუმრათ,
 ძმურათ წინოს სახლობას ნუგეში სცეს და წინო
 პატარძლის ტანისამოსით იქ წარადგინეს, სადაც
 მრავალნი ბედ-კრულნი და სიცოცხლით მაშგრალნი
 განისვენებენ.

IV.

ქრისტეშობის საშინელი ქარიშხლიანი ღამე
 იყო. შადრიალა მიწურ სახლში ერდოდგან თოვლი
 ბლომათ ჩამოდოდა. ქერაზედ ორი დიდი ხე იდვა
 და იფერფლებოდა. შუა ბოძთან, დაგლეჯილ ლო-
 ვინზედ თავის ოთხის გოგოთი წენე იწვა. ეს სა-
 შინლად იტანჯებოდა მშობიარის ტკივილებით და

ხმას ვერ იღებდა სირცხვილით, რადგან მეორე ბოძ-
თან იმის მაზღს ეძინა თავის ცოლშვილით. ბო-
ლოს, როცა გაუჭირდა, თავის მაზღის-ცოლთან
მიცოცდა და წაუტუტუნა:— ქალო, სოფიო, მიშ-
ველე, თუ ღმერთი გწამს, ლამის მოგკედე, ერთი
ბებიას დაუძახე.

სოფიო ლაზენით წამოდგა, ქმარს მუჯლოუ-
გუნე წაჰკრა და უთხრა: ერთი ცეცხლი შენთე,
ადამიანო, ექალი ავად არის. თითონ კი რაღაც
ძონძი დაიღო თავზედ და გავიდა კარზედ.

ბანთადისას ნენეს მეხუთე გოგო გაუჩნდა.
ბებიამ ხმა არ ამოიღო. ჩვეულებრივი ჭიპის მოსაჰკრე-
ლიც კი არ მოითხოვა. მრმა—სამმა მეზობელმა
დედა-კაცმა მძიმეთ ამოიოხრეს და უარაყოთ გაე-
შურნენ შინისკენ. ცუდ ფეხზედ დაიბადა ეს ბავშვი,
შეფენათ წოდებული. ნენეს მეხუთე ქალის დაბა-
დებამ გული გაუხეთქა, ზედაც გაცვივდა და მძიმე
ავად-მყოფი შეიქმნა. პირველსავე დღიდან დაიწყო
შეფენას მძიმე უღელი. სამადლოთ ხან ერთი მე-
ზობელი აწოვებდა საცოდავს და ხან მეორე. ჯერ
ორი თვისაც არ იყო, რომ წითელი ლობიოს წვეწას
აყლაპავდნენ. პატარა დები შეიქმნენ ამის ლალებათ.
ძონძებში გახვეულს, შიმშილისაგან გადასავსავებულს
ხან ერთი დაარბევინებდა გაყინულს დარბაზში და
ხან მეორე. შემდეგ დედაც წამოდგა და რის ვაი-
ვაგლახით ფეხის აღმამდინ მიახწია და იმ დღიდან
კი. რაც ფეხი აიდგა, სრული პატრონი შეიქმნა თა-
ვის თავისა. სად იყო, რას შერებოდა, რას სჯამდა?

ამის მკითხავეი ვინ იყო. ზღეწის ოჯახში ქალის გაჩენას ვერაფრათ ვგებებთან და მერე მებუთისას, ხომ ლეთის რისხვად სთვლიან. ზაფხულს ცარიელი პერანგით, ფეხ-შიშველი, ტალახში ამოსვრილი ეს სხვა თავის ამხანაგებთან დაკუცუნებდა მთელს სოფელში. ჯერ ხუთისა არ იყო, რომ თითონ ლაღათ გაჰხდა ახლათ გაჩენილის დისა, თუ ძმისა. ამ დღიდგან იწყობა ამის შრომის ჭაპანი, რომელიც მთელს ამის სიცოცხლეს მხოლოდ შრომის და მასთან მძიმე შრომის ასპარეჟათ ჰხდის. მამა-კაცთან ერთათ, ერთ-ნაირათ იბრძვის ლუკმა პურისთვის მთელ თავის სიცოცხლეს. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგო მდევს შეეჭიდება. შუა ტანისა, ჯმუხნი, შავ-წითელი, დიდრონის, დაკოჟიყებულის ხელებით, ორ-კოდიან ტომარს წამოიკიდებს ზურგზედ. ამის ცხოვრება მიმდინარეობს მყუდროთ, ერთ-ნაირათ, რაღაც პირუტყულ მოძრაობაში საჭმელისათვის. ამის სიხარულს შეადგენენ ახალი კაბა, ჯვარობაში წასვლა, მუზობლის ქორწილში თამაში და ბეუნდერ დღეებში რიგაწათ ხორციით გაძლომა. შეფენამ კარგათ იცის ყოველისფერი საქმე თავის ოჯახის გამოსადეგი: წინდა-პაიჭია, შალის ქსოვაში ვერავინ აჯობებს. ამის ნაქსოვი კილოფებით სახლი მთლათ მოფენილია, ძალოზედ საუკეთესო მონიავე და მაცხავებელია. მართის სიტყეითი, ოჯახის მარჯვენა ხელია, მაგრამ თვრამეტის წლისა შეიქმნა და ოჯახივალათ სთვლის გაათხოვოს. თერამეტის წლის ქალი, თუმცა ოჯახის შემ-

წეა, მაგრამ ზნეობით კი დიდი ტვირთია. ამას ერთ გაზაფხულის სალამოს გამოუცხადეს, რომ სალამოზედ მოირთოს, სადედამთილო მოგივა და ნიშანს მოგიტანსო. შეფენას გულმა ფანცქალი დაუწყო, ეს კუთხეში მიჯდა და ტირილი დაიწყო. სალამოზედ სახლ-კარი დაგაფა, სუყველაფერი დაასუფთავა, სამი-ოთხი გზა წყალი მოიტანა, მერე საგარეო კაბა ჩაიცვა, თავზედ ბაღდადი მოიხვია და ღერეთანში დაჯდა. ეს თითქოს ჩაფიქრდა თავის მომავალზედ. უნდოდა წარმოედგინა, თუ როგორი არის ამას იღბალი, როგორი ოჯახი მიიღებს ამას სარძლოთ, როგორს მზითევს შეუკერვენ ამას და ბინდმა ისე მოატანა, რომ ვერც კი შეიტყო. ღარბაღში ფარდაგები გაშალეს, ცეცხლი გაჩაღეს, კერაზედ დიდ კვარისნაქერს გაუდიოდა გუზგუზი, საკიდელზედ თანგარა ქვაბში ძველი დედალი ჩუბჩუბებდა. პატარა ბავშვები თაროსთან მისხდნენ და იქიდგან თხუნულებივით გამოიყურებიან. მრი-სამი ხნიერი კაცი შემოვიდა. შეფეს დაუძახეს და განათებულს ალაგზედ დასვეს. სადედამთილომ რიგიანათ გაშინჯა. — მაღლა აიღე თავი, შვილო, პირი დამანახვე. იქმნება ელამი ხარ. აჰა ახლა ფეხზედ ადექი. თმებიც კი გადაუწაა და შემდეგ ნიშანი ისე მისცა.

მთელი ექვსი თვე იყო შეფენა დანიშნული და ამ ხანში მარტო ერთხელ ნახა თავისი საქმრო. ვერაფრათ ეჭაუნეკა იმისი მოკლე ტანი და ქოსა პირის სახე, მაგრამ რაღას იტყოდა, ან ვინ რას ათქმევი-

ნებდა! ეს დაემორჩილა იმას, რაც ათასის წლოების ჩვეულებისა გამო თითქმის ბუნებათ გადაქცევა ჩვენს დედა-კაცს და აღუშფოთებლივ წაჰყვასაქმროს და ორი-სამი კვირის შესვენების შემდეგ ახლა იმის სახლში შეუდგა შრომას. ამის ქმარი მარტო-ხელი იყო და შეფენა უწევდა ნამდვილს მეუღლეობას და ეზიდებოდა გლეხ-კაცის მძიმე ტვირთსა. ჩუმი, წყნარი, მაგრამ დროზედ ამაყიც, დაულაღვი მშრომელი ნამდვილ ბედნიერებათ შეიქმნა ოჯახისა. დედამთილი არ ბუტბუტებდა ამის ზარმაცობაზედ, ქმარი წაბაძვით და ცოლის აღერსიანის ქცევით დღეს ღამესთან ასწორებდა და ღლითი-ღღე იმათ ოჯახს გაუმჯობესობა ეტყობოდა. ამათ მხოლოთ ის აწუხებდათ, რომ საქარწილოთ აღებული ფული ისევ კისერზედ აწვათ. სარგებელში თითქმის ნახევარი წლია შემოსავალი მისდით. მაგრამ ღმერთი მოწყალეა. შეფენა ურჩევს ქმარს ზამთარში სამუშაოთ წავიდეს საღმე.—შრთ-ორ წელიწადს, კაცო, საქმე გაიჭირე, ვალი გადვიხადოთ და მერმე შევისვენოთ. ის კი არ იცის შეფენამ, რომ ამის შრომას სიკვდილამდინ ბოლო არა აქვს, მაგრამ იმედიც დიდი ნუგეშია, რადგან დღევანდელს სიბნელეს მომავლის გაუმჯობესობით ანათებს.

არა, არ არის დანაშაული.

(გაგრძელება) *)

XII.

წინა ოთახში ძლიერად ჩამორეკა ვიღამაც ზარი. მოსამსახურემ დაუყოვნებლად გაულო კარები. შემოვიდა მალალი, გამხდარი და დიდ-კაცურის შეხედულობის ყაჭარა კაცი.

— მსაჯული შორტესკიუს ნახვა მსურს, უთხრა მოსამსახურეს საშინელის აღელვებულის სახით.

მა იყო დილით, ლილიანის გაქცევის მეორე დღეს. მალალი წრის საზოგადოების წევრთათვის ერთობ ადრე იყო ამ დროს ვიზიტი და ეს კაცი უბრალო მაწანწალასაც არ ჰგავდა.

— მსაჯული სახლში არ გახლავსთ; ერთი საათი იქმნება, რაც ქალაქს-გარეთ წავიდა საჭირო საქმისათვის, მიუგო მოსამსახურემ.

დამშვიდებულის და შეუდრეკელის ნაბიჯით შევიდა უცნობი წინა ოთახში და სთქვა:

*) იხილეთ № 5 «ქართული ბილიოთეკა».

— ვერ მომატყუილებთ. შექველად უნდა მოველაპარაკო თქვენს ბატონს. შთხარით, რომ ის ვერ დაემალება ჩემთან მოლაპარაკებას, მოვუცდი სასტუმროში. ამ სახლებში მე გზა არ დამებნევა, რადგან აქ ძლიერ ხშირად ვყოფილვარ. წადით და მიუტანეთ ეს ბარათი.

— შორტესკიუ ქალაქ-გარეთ წავიდა ქალი-შვილის მოსაყვანად, მაგრამ რადგან თქვენ აგრე გსურსთ, თუ ვნებავსთ, ამ ბარათს ჩვენს ქალბატონს მივართმევ.

— რომელი ქალბატონია?

— თუნდა მისტრის მაიტლენდს, მსაჯულის ცოლის დას...

— სთხოვეთ ჩემს მაგიერ, დამავალოს ორიოდ სიტყვა მოვახსენო.

ამ სიტყვებით პოლკოვნიკი დაიზარტი შევიდა სასტუმროში; იმას ძალიან კარგად ახსოვდა ეს ოთახები, სადაც შედიოდა მტკიცე ნაბიჯით, რომ აესრულებინათ თავისი განზრახვა. ზაიხედ-გამოიხედა მდიდრულად მორთულს ოთახში და დაჯდა.

ცოლის შერთვის შემდეგ ძლიერ მოხუცდა პოლკოვნიკი. მასაქეთ, რაც ის სცხოვრებდა ბიჩ-ბოლესში მეგითურთ, თითქოს ოც წელიწადს გაველოს. ძეთილ-შობილურს, დაღონებულს სახეზედ და შუბლზედ გაკეთებოდა უთვალავი ღარები; თითქოს წელშიაც მოიხარა. სხადად ეტყობოდა, რომ ქორწინებისაგან ბევრი ღარდი და მწუხარება გამოეცადა.

წყნარად გაიღო კარები და შემოვიდა მაღალი ტანის ქალი, შავი აბრეშუმის ხალათით.

— უკაცრავად, რომ უძღვებობის გამო მიიტრის მითლენდი ვერ გინახულებსო, მოესმა პოლკოვნიკს ახალ-გაზდა ხმა, — შევიძლია მისი ალაგი დავიჭირო?

ამ ხმამ პოლკოვნიკი საშინლად შეაკრთო და მოახედა. მის სიახლოვეს იდგა მეგი ცრემლიანის თვალებით და მომღიმარის ტუჩებით. პოლკოვნიკი ერთი წამი შეჩერდა გაშტერებული და შემდეგ მწარის ხმით წამოიძახა:

— მეგი!.. შენა ხარ, მეგი!..

მეგი მივარდა და ჩაეკრა გულში. ამ დროს იმათ აღრინდელი ტკბილი მეგობრობის მეტი არა ახსოვდათ რა. პოლკოვნიკმა ჩაიხუტა გულში, შემდეგ გაიყენა განზედ და შესძახა:

— ამ სახლში ხარ შენ? შენს სანახავად კი არ მოვსულვარ აქ. აქ შენი ამბავი უნდა შემეტყუო. ოჰ, ღმერთო ჩემო! ჯეროდ ზორტესკიუს სახლში გხედავ მე შენ? მის ჭერ-ქვეშ?

მეგი შეაკრთო იმისი სახის საშიშარმა გამომეტყველებამ. პოლკოვნიკი დაეშო იქვე სკამზედ. მეგიმ დაიჩოქა მის წინ და ტირილით ძლივს-ღარაკვევდა სიტყვებს.

— ღიად, მე აქა ვარ. აქამდის ზორტესკიუს ქალიშვილის ამხანაგად ვიყავი და ახლა თვითონ მისი ვარ... მაგრამ ამას შემდეგში გიამბობ. მადლობა ღმერთს, ბიძიავ, რომ დაბრუნდი! რამდენი ხანია

მე შენ გიცდი! მიტხარი, ჩემო ბიძია, კიდევ გიყვარ-
 ვარ, თუ არა?

— ძალიან, ჩემო შეილო, ძალიან!

— რამდენი რამეები მაქვს შენთვის სათქმელი,
 არ ვიცი, რომლით დავიწყო? რად მომეჩქეცი ისე
 შეუბრალებლად, ბიძია? რად მიეცი იმდენი ნება
 ქოსტანციას, რომ დაეხშო შენი გული შენი სა-
 ცოდავი მეგისადმი? და ან ჩემი ბარათი, რომელიც
 მოგწერე...

პოლკოვნიკმა მოჰხვია ხელი და მხურვალედ
 დაუკოცნა პირის სახე.

— მე მომატყუილეს, ჩემო კარგო! მომატყუი-
 ლეს გელლიანის ვანზრახვით. შენ მწერდი, მაგრამ
 ბარათი არ მიწახვეს, ის დაეხიათ და მიტხრეს, რომ
 ვიოომც ღანტონ მაულტრიზედ დაიწერე ჯვარი და
 გაჰყენი სამხრეთში, ისე რომ არც კი გიფიქრია,
 თუ როგორ შემაწუხებდა შენი ამ გვარი ქცევა და
 არც კი გამომთხოვებინარ.

— ქოსტანციამ გითხრა ეგ? და ჩემი ბარათიც
 იმას ჩაუფარდა ხელში? ოჰ, ღმერთო! რამდენი ტყუი-
 ლის ლაპარაკი შეუძლია იმ ქალს. მაშ, შენ არ იცო-
 დი, რომ შევინანე? არ იცოდი, რომ ღანტონ მაულ-
 ტრიმ მიმატოვა?

შეწუხებით გაუქნია თავი პოლკოვნიკმა უარის
 ნიშნად.

— ბანა არ გითხარი, რომ მომატყუილეს-
 მეთქი? ქოსტანციას სძულდი შენ, ღმერთმა მიუტყ-

ვას იმას ყველაფერი! შველის ღონის-ძიებით შეუ-
 დგაჩვენს და შორებას და, სამწუხაროდ, დასრულაკიდეც-
 მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მწუხარება მე გამოვიარე
 ამ წლებში, რომლის განმავლობაშიც გთვლიდი
 ღანტონ მაულტრის ბედნიერ მეუღლედ. ოჰ! რა
 მძიმე ასატანი იყო შენი დაკარგვა ჩემთვის! მხო-
 ლოდ წუხელის, ოპერის შემდეგ გამომიტყდა პოს-
 ტანცია საშინელს დანაშაულობაში.

პლერსიანად მისჩერებოდა მეგი დაქანცულს და
 მწუხარედ მოლაპარაკე პოლკოვნიკს.

— იქვი არ არის, გამწარებული სიცოცხლე
 გქონია პოსტანციას გამო! მე კარგად ვიცოდი, რომ
 ასე იქმნებოდა. ზიამბო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა
 ბიჩ-ბოლენში, ან რაები მითხრა მაშინ?

— შველაფერი ზიამბო.

— ისიც, რაც უილიბე ბარმინზედ მითხრა,
 რომელსაც დედა-ჩემი მოუკლავს?

— ბაჩუმი! მკაცრად დაუყვირა პოლკოვნიკმა,
 მაგ გვარი სიტყვებით არასოდეს არ ახსენო ის. აგრე-
 თი გასამტყუნარი სიტყვების წარმოთქმა შენი ტუ-
 ჩებიდგან საშინელებაა!

— ოჰ, ბიძიავ! ღარწმუნებული ვარ, შენ არ
 მომატყუილებ! დანაშაულია მამა-ჩემი თუ არა?

— არა, არ არის დანაშაული.

— მადლობა შენს სახელს, ღმერთო! წამოიძა-
 ხა მეგიმ.

— მეგი, ეგ დიდი ისტორიაა, რომელსაც გიამბობ რადესმე, ათრთოლებულის ხმით უთხრა პოლკოვნიკმა. — არ მინდა გიამბო, ის საშინელი სიცრუე, რომლის მსხვერპლიც შევიქენი. საკმაოა შეიტყო, რომ მე ვფიქრობდი, ვითომც შენ იყავი დანტონ მათლტრის მეუღლე. შენ წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება და მწუხარება, როდესაც დაგინახე ლოქაში, დაგინახე ისეთი ადამიანის საზოგადოებაში, რომელიც დედა-მიწის ზურგზედ ყველაფერზედ მომეტებულად მეზიზღება და რომელიც, როგორც ჩემი, ისე შენი დაუძინებელი მტერია. იცის იმან, რომ შენ შილიპე ბარმინის ქლაშვილი ხარ?

— არა, იმის შემდეგ, რაც ქოსტანციამ გამომაგდო ბიჩ-ბოლედგან, ვატარებ მისს ბრეის სახელს. აქამდის არ იცის ჩემი ისტორია და არც არაფრით სჩანს, რომ ის ჩემი მტერი იყო. არა, ბიჭია, ძლიერ სულ-გრძელი და კეთილ-შობილი კაცია. რამდენიმე კვირაა, რაც მის სახლში ვარ და ყოველთვის ყურადღებით და პატივისცემით მეპყრობა... და რაღად უნდა დაგიმალო, მე დანიშნული ვარ მისგან...

მეგამ ისე ბეჯითად და მხურვალედ წარმოასტეჯავს სიტყვები, რომ იმისი სახე თითქოს თხოულობდა შეეტყო პოლსოვნიკისაგან, რა იცოდა ისეთი მიზნში შორ ტესკიუს შესახებ, რომლის გამოც ის მას არ უნდა გაჰყოლოდა ცოლად.

საზოგადოდ პოლკოვნიკი ძლიერ თავ-შემაგრებული კაცი იყო, მაგრამ ეს კი ველარ მოითმინა.

საშინელის სახით, გაყვითლებული წამოვარდა, წავე-
 ლო მეგის ხელი და განწირულების სახით შეს-
 ძახა:

— ჯეროდ ზორტესკიუს საცოლო ხარ შენ?
 ოჰ, ღმერთო ჩემო!

თუმცა მეგი ასე რივად ესარჩლებოდა ზორ-
 ტესკიუს, მაგრამ პოლკოვნიკის სასოწარკვეთილებამ
 ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მანზე.

— რა იყო, ბიძია? მე შენ მაშინებ, ერთი გარკ-
 ვევით შემატყობინე, შენი ჭირიმე! საკმაოდ ვეთრიე
 მიუხდომლობასა და უჭვეშმარტებლობაში. მითხარი,
 რა არის ისეთი მიზეზი, რომ არ შეიძლება გავყვე
 ცოლად ზორტესკიუს?

— რამ მოგიყვანა შენ ამ სახლში? რამ გაიძუ-
 ლა შემოსულიყავი აქ? მიამბე ყველაფერი, რაც
 აქ ყოფნაში გადაგხდა. ზესმის, სულ ყველაფერი და
 ისიც, რაც ჩვენი დაშორების შემდეგ გადაიტანე.

მეგემ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

პოლკოვნიკი სულ-განაბული ისმენდა. როცა
 დაასრულა მეგემ ამბავი, დაიწარტმა საბრალოს ხმით
 წამოიძახა:

— მე ვარ დამნაშავე, მე უნდა მიმადლოდე, რომ
 აგრე დაგეხლართა ცხოვრების გზა! ჩემს სიცოცხლე-
 ში არ მიუტყვევებ ამას ჩემს თავს! მე დავარღვიე ის
 ფიცი, რომელიც მივეცი რამდენიმე წლის წინათ,
 რომ ვიზრუნებ შენთვის. რა პასუხი მივსცე მამაშენს?
 როგორ უთხრა, რომ შენი მტრის ენით მიგახწვეი-

ნე იმ ხომამდის, რომ უბინაო და უსაზრდოო მაწანწალა ჩაუვარდი შორტესკიუს ბრჭყალებში?

— შენ თავს ნუ ემღური, ბიძია! შენ გიყვარდა ქოსტანცია და მან მოგატყუილა. სულითა და გულით მომიტყევებია, მაგრამ რატომ, რატომ არაფერს მეუბნები? ამიხსენი იმ კაცის სიძულვილის მიზეზი, რომელიც ყოველი კაცისაგან პატივ-ცემულია.

— ღარწმუნებული ხარ, რომ ჩვენს ლაპარაკს არავინ გავეგონებს?

— ღარწმუნებული ვარ.

მეგი ათრთოლებული ჩაფრენოდა ბიძას ხელში და მისჩერებოდა სახეზედ.

— მეგი, ნუ ვაგაკვირვებს ჩემი სიტყვები, შენ ამ სახლშიდა ხარ დაბადებული, ეს სახლი ერთი უმცირესთაგანი ნაწილია მამი შენის მემკვიდრეობისა. აი, იმ ფანჯარასთან ეკიდა დედი-შენის სურათი, თვითონ მამა-შენის ხელით დახატული. ის შესანიშნავი მხატვარი იყო და მასთან ძლიერ მდიდარიც; როცა მის ავეჯეულობას იტაცებდნენ, სხვათა შორის, ის სურათიც უეჭველად შორტესკიუს ჩაუვარდა ხელში.

— შეგვარ მე დედა-ჩემს? ჩაჰკითხა მეგიმ.

— ნამღვილი დედა-შენი ხარ, არაფერი განსხვავებაა თქვენს შორის. თუ ეს შორტესკიუს არ შეუმჩნევია, ის ბევრით უფრო უგუნური ყოფილა, ვიდრე მე ვფიქრობ.

— მაშ დედა-ჩემის სურათი მას უკიდია თავის ოთახში და როგორც მისმა ქალმა მიაშბო, თურმე ძალიან დიდი-ხანია, რაც ის იქ არის.

— ლმერთო! რა საშინელი დაცინებაა! ნუ თუ შეუძლია მშვიდობიანად ძილი, როცა თვალის წინ ჰხედავს იმის სურათს? ნუ თუ არ იტანჯება, როცა წარმოუდგება იმისი სახე? მეგი, შენ უფრო აღრეუნდა შეგეტყო დედი-შენის ისტორია... მე ამაში დანაშაული ვარ... მაგრამ მეშინოდა შემეტყობინებინა შენთვის. შენ ისეთი ძვირფასი და საყვარელი იყავი ჩემთვის, რომ მხოლოდ შენი ბედნიერება მქონდა სახეში და არ მინდოდა შემეწუხებინე.

მოჰკიდა ხელი და განაგრძო:

— მე და შილივე ბარძინი ყმაწვილობითვე ვიცნობდით ერთმანერთს. ჩვენ ისე გვეყვარდა ერთმანერთი და ისე ვერ მოვრჩებოდით ერთი მეორეს, როგორც ერთ-ერთს ნაწილს ჩვენი სხეულისას. ის ძლიერ ჭკუიანი და ნიჭიერი ყმაწვილი იყო. ის იყო სასიქადულო თავის ამხანაგებისათვის, უკანასკნელი შტო მდიდარის და ძლიერ პატივცემულის გვარისა, საყვარელი და განუბიერებელი საზოგადოების და ქალებისაგან; რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ ლამაზს, მდიდარს და ნიჭიერს ყმაწვილ-კაცს. როგორც შენ, ისე ისიც ამ სახლშია დაბადებული; თამამად შემიძლია ვსთქვა, სწორედ მეფურად სცხოვრებდა. ღარიბიც რომ ყოფილიყო, ისეთი მშვენიერი მხატვარი იყო, რომ დიდი შრომა არ დასჭირ-

დებოდა, ამ ხელობით შეეძინა სიმდიდრე. ახლა კი ამ მდგომარეობაში მხატვრობა თავის შესაქცევად მი-
 აჩნდა. მართხელ იმის სტოლზედ ვნახე მშვენიერი გაღ-
 მოღებული სურათი ყმაწვილი კაცისა, რომლის სა-
 ხის მეტყველებაც ამტკიცებდა გონება-გახსნილობას
 და შესანიშნავს ძალას ნებიერობისას, მაგრამ მე მა-
 ინც არ მომეწონა და ვკითხე:

— «შინ არის ეს კაცი?»

— «შურადღებად არ ღირს, ეს ჯეროდღე შორ-
 ტესკიუ არის, იძულებით მომიგო ბარმანმა.

— «ჯეროდღე შორტესკიუ ე.ნ არის? მკით-
 ხე, რადგან პირველად მესმოდა იმის სახელი.

— «ჩვენს ოჯახში გაზრდილია, მამა-ჩემს გამო-
 ეძებნა სადღაც და მიეცა უმაღლესი სწავლა, მაგ-
 რამ ანდერძში არ მოუხსენებია და ამისათვის, რო-
 გორც ვატყობ, ძლიერ გაჯავრებულია. მართი ესა და
 კიდევ სხვა მიზეზების გამოც ძლიერ ვსძულვარ. თუმ-
 ცა ერთკული ძალღივით დამადევს და მითომ მხურ-
 ვალე მონაწილეობა იღებს ჩემს საზოგადო და კერ-
 ძო საქმეებში, მაგრამ მე მაინც ისე მგონია, ჭირი-
 ვით უნდა გეზიზღებოდე.

«ამ სიტყვებში ისეთი არა ყოფილა რა, რომ
 მაინც-და-მაინც შემშინებოდა, მაკრამ როგორღაც
 ისეთი უსიამოვნო გრძნობა ამეძრა, რომ ჩემდა
 უნებურად წამომცდა:

— «მრიდე მაგ კაცს, შავის სახეში მხაკრობა
 და გაუტანლობა გამოიხატება.

«მაღე გადამიყარდა გულიდგან ეს ამბავი. რამდენიმე თვის შემდეგ შილაპე ბარმინი გაემგზავრა მეროპასაკენ, ერთი წლის შემდეგ მეც გაყვევი. მის ბადენში შევხვდით ერთმანერთს და მიაპბო, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში თითქმის მთელი დედა-მიწა შემოვიარეო.

— «მართო? მკითხე მე.

— «არა, ჩემიან მოგზაურობდა შორტესკიუ. ისე რიგად გადამეკიდა, რომ ვერაფრის გზით ვერ მოვიშორე.

«იმ საღამოს პირველად შევხვდი შორტესკიუს. მაშინვე ისეთი აზრი შევადგინე, რომ ეს უნდა იყოს მოხერხებული გაიძვერა-მეთქი და საშინელი იჭვი დამებადა მის წინააღმდეგ. იმასაც არ მოვეწონე, ყველა შილიბეს მეგობრები მომეტებულად სძულდა და განსაკუთრებით მე. მამა-შენის გულ-წრფელ ნაცნობების წრეს შეადგენდა ერთი გრაფი საფრანგეთიდგან და რამდენიმე ინგლისელები. ისინი შეექცეოდნენ ბანქოს თამაშს და ერთს ამ თამაშობის დროს შილიბეს და შორტესკიუს ლაპარაკი მოუვიდათ. ბარმინი, როგორც ისპანიელი, ცხარი ხასიათის იყო შორტესკიუს უკადრისმა სიტყვამ გააცხარა, წამოვიარდა, წამოავლო კიქას და თვალეში ახეთქა. ამ გვარი შეურაცხებისათვის მეორე დღით დანიშნეს დღეელი. მე უნდა ვყოფილიყავ მამი-შენის მხრით სეკუნდატად. იარაღებად დანიშნეს ტამბაჩები. შილიბეს ერთი მეგობრისაგან შევიტყვე, რომ შორ-

ტესკიუ შესანიშნავი მსროლელია და მის მოწინააღმდეგეს სიფრთხილე მართებდა.

— «მგონია ურიგო არ იქმნებოდა, გავარჯიშებული ქაჯი სროლაში, უთხარი ჩემს მეგობარს.

«იმას გაეცინა და მომიგო:

— «იმ უმაღურსა და მაწანწალაზედ ნაკლებ, მგონი, არც მე ვისერი. ახირებული არ იქმნება, რომ შორტესკიუმ, რომელიც ამდენი ხანი მამა-ჩემის წყალობით რჩებოდა, ახლა მე მომკლას?

«მთელი ღამე მოუსვენრად გავატარე. ჩემის აზრით დუელი ბარბაროსობად მიმაჩნდა, ძალიან მეშინოდა ბარმინის, რადგან მაშინაც კი ვფიქრობდი, რომ შორტესკიუ მისი დაუძინებელი მტერი იყო. ნუ თუ არ უნდა დამეშალა, რომ ჩემი მეგობარი, ოცდა-სამი წლის კაცი არ დაღუპულიყო ამ მხეცური ჩვეულებით? შამისობა შეუქლებელი იყო. ინათლა თუ არა გავსწიე ქურგაუზის ბაღში გასაქვირებლად და ვცდილობდი, რომ დამეთრგუნა მღელვარება. ამ დროს მივბრუნდი და დავინახე შილიზე ბარმინი. შერ-წასული იმისი სახე ამტკიცებდა, რომ რაღაც მძიმე ფიქრებს შეეპყრო.

— «ღიზარტ! ღამადო მხარზედ ხელი და მითხრა: დუელი აღარ მოხდება, ახლა ეს არის შეგიტყვე ერთი ვარემოება შორტესკიუს შესახებ, რომლის გამოც მე აღარ შემიძლია მასთან შებმა. ნუ გამომკითხავ მიზეზს, ეს ჩემი საიდუმლოა. დაუყოვნებლად წავეალ მის-ბადენიდგან პარიყში.

• იმის სახემ დამარწმუნა, რომ იმისაგან მართლაც
ამაო იყო შემეტყო რამ. ბოლოს გაეფე, რომ დუელში
გამოთხოვის შემდეგ იმათ პირისპირ უნახავსთ ერთ-
მანერთი და, მოლაპარაკების შემდეგ, გადაუწყვეტიათ
დუელის მოშლა. ამ შემთხვევამ მე ძლიერ გამა-
კვირვა.

«ბარმინი იმ დღესვე წავიდა პარიჟში, და შორ-
ტესკიუც მალე გაჰყვა თან. მე წავედი შვეიცარიაში
და ჩრდილოეთ იტალიაში, იქიდან რამდენიმე კვი-
რის შემდეგ მივედი პარიჟში. შველაზედ უწინ ვნა-
ხე შილიზე ბარმინი. ის ისეთი მშვენიერება რამ იყო,
როგორც ბერძნების ღმერთა და ისეთი მხიარული
სახე ჰქონდა, რომ სანამ მეტყოდა რასმეს, მანამდის
მივხვდი, რომ ლმერთა დაუჯილდოებია ახალი
ბედნიერებით.

— «შორტესკიუ სადლა? მკითხე მე ჩვეულებ-
რივის მოკითხვის შემდეგ.

— «ის აქ არის, პარიჟში, მომიგო და მხიარუ-
ლი სახე დაეღონდა.

— «აქ არის, შენთან?

— «ღიად, ძალ-დატანებულის ღიმილით მიპა-
სუხა. როგორც ჩრდილი ისე დამდეგს. რა ვქმნა, მამა-
ჩემს უკვარდა და მეც უნდა მოვითმინო მისი პა-
ტივის ცემისათვის.

— «მე მეგონა, ის ღარიბი იყო და უსაშუა-
ლოდ როგორ სცხოვრებს პარიჟში?

— «ჩემი ქისა ყოველთვის მზად არის იმისა-

თვის, იძულებით განაგრძო ზარმინმა და ისიც უზომოდ სარგებრიობს იმით. მაგრამ კმარა იმაზედ ლაპარაკი. მე მინდა ერთი ამბავი შეგატყობინო: მომილოცე, მე ცოლის შერთვას ვემზადები, მხიარულის სახით მითხრა.

«ეს ქალების საყვარელი კაცი, აქამდის ისე იძულებით ექცეოდა დედად-სქესს, რომ მე ძლიერ გამიკვირდა ეს ამბავი და ჩემდა უნებურად წამოვიძახე:

— «რა ხუმრობაა! მატყუილებ განა?

— «არა, მე გადავსწყეიტე. მართი თვის შემდეგ უკვე ქმარი ვიქმნები; გამოთქმა არ შემიძლია, როგორ მიყვარს. უნდა გამოგიტყდე, გაგიჟებული ვარ.

— «მერმე ვინ არის შენი მომხიბლავი, შენი გამაგიჟებელი? მკითხე, თუმცა კიდეც, იქვე ვიყავი. ჩემი მეგობარი თუთხმეტი წლის ქალსავით გაწითლდა და მიპასუხა:

— «შეროლის ქალია, აგნესა, ამერიკიდგან, მაგრამ აქ მამამისთან სცხოვრებს, ესეც უნდა გითხრა რომ შორტესკიუ გაგიჟებულია იმისათვის.

«მეორე დღეს ამერიკის ელჩმა გამართა ბალი-ნიქ ვნახე პირველად მამა-შენის დამლუბველი ქალი-ჩაიხედე, მეგი, სარკეში და შენ თვალ-წინ წარმოგიდგება აგნესა შეროლი, როცა ის იო თვრამეტის წლისა და როცა იმის მშვენიერებაზედ ლაპარაკით გართული იყო მთელი ამერიკის უბნები-ნამეტანი კუკუიანი ქალი არ ყოფილა; ხასიათითაც

სუსტი იყო და გული უკეთური. ბრწყინვალე მდგომარეობას შთანქმეული და მიზიდული ჰქონდა მისი სუსტი და დაუდევარი ხასიათი. მამა-მისი თუმცა შესახედავად არ ჰგვანდა ბოროტს კაცს, მაგრამ სულ მოტყუილებით და ქალაქის თამაშობაში მცარცველობით სცხოვრებდა. მთელი თავისი სიცოცხლე დახეტილობდა შერობაში და ბოლოს დროს დაბინავდა პარიჟში, მხოლოდ იმიტომ, რომ ბლომად ესვა აბსენტის, ეთამაშნა ქალაქი და ქალიშვილისათვის მოეძებნა მდიდარი საქმრო. შეხვედროდა საღლაც თუ არა შილიპე ბარმინს, გადაეწყვიტა ქალიშვილის მიცემა. შილიპემ ნახა აგნესას მშვენიერი თვალები და გათავდა საქმე. მთელი ღამე თვალს ვადევნებდი აგნესას. თუმცა გარმინი ისე აღმერთებდა მას, მაგრამ ძლიერ მაწუხებდა, რომ ის არაფერს ყურადღებას არ აქცევდა და ეზიზღებოდა კიდევ შილიპე.

«სტუმრებში სხვათა შორის იყო შორტესკიუცი, რომლის სრული ყურადღება მიქცეული ჰქონდა შეროლს. მეოთხედი საათის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ შორტესკიუს გაგიყვებით უჯარდა შილიპე ბარმინის საცოლო.

«მე დროს შილიპე თამაშობდა ერთს გრაფინიასთან. მე გამოვედი შუშაბანდში, რომელიც საესე იყო სხვა და სხვა მცენარეებით. შევედი ტარაველში, რომ იქედგან გადამეხედნა ქუჩისკენ. მშვენიერი საკრავის ხმაზედ უშფოთველად მომდინარე სენა წარ-

მოადგენდა მომხიბლავს სურათს, რომელშიაც მოს-
ჩანდა გარშემო გაჩაღებული სახლები.

«შეცრად კარები გაიღო და გამოვიდნენ შორ-
ტესკიუ და აგნესა შეროლი. მე ამოფარებული ვი-
ყავი ბუჩქებს უკან და ჩავხველე, მინდოდა შემე-
ტყობინებინა მათთვის, რომ მარტო არ არიან,
მაგრამ ვერ გაიგონეს.

— «მაშ თქვენ მიჰყვებით სიმდიდრის გულისა-
თვის იმ ჩერჩეტ კაცს? ჰკითხა შორტესკიუმ. მართა
და იმავე დროს იმას აძლევთ ხელს და მე მეუბნე-
ბით, რომ თქვენი გული მე მეკუთვნის.

— «მე მამა-ჩემას ბრძანებას ვასრულებ, მიუგო
ქალმა. ამ ქორწინებით იმას ჰგონია გამოიხსნის
სიღარიბიდან თავს და მოხუცებულობის დროს უზ-
რუნელოდ იცხოვრებს. ის არასოდეს არ მომცემდა
ნებას ღარიბს კაცს გავყოლოდი.

— «მაშ, თქვენ გინდათ მისყიდოთ თქვენი
თავი? ოჰ, ღმერთო! როგორ იქრით თავს, რა
სასადიროცხვო საქმეს ჩადიხართ!

— «მე დავბირდი, მივეცი სიტყვა შილიბე ბარმინს,
რომ უნდა გაჰყვე ცოლად, და ავასრულებ კიდევ
ჩემს მოვალეობას, თუნდა სიცოცხლეთაც დამიჯ-
ღესა.

— «შორტესკიუ საშინლად ესაყვედურებოდა
და ეხვეწებოდა, გამოეცვალა ეს აზრი.

— «მაფიცებთ, რაც კი რამ არის თქვენთვის
წმიდა, აგნესა, წარმოიდგინეთ, რა იქმნება ჩემი

ცხოვრება, სასოწარკვეთილებით წამოიძახა ჯე-
როლდმა.

— «მარტო თქვენ არ იტანჯებით, ტირილით
მიუყო ჩემი მეგობრის საცოლომ. ჩვენ უნდა დავი-
ვიწყოთ ერთმანერთი.

— «ღვივიწყოთ ერთმანერთიო? ოჰ, არასო-
დეს! ამ სიტყვებით ჩაიკრა გულში და მხურვალედ
დაუწყო კოცნა. ბევრი უსამართლოება გადამხედია
თავს, მაგრამ ეს არც-ერთს არ შეედრება. მე რომ
მქონოდა შილიბე შარმინის შეძლება, ან იმის ნა-
ხევარი, მამა-თქვენი არ წამართმევდა თქვენს თავს.
ანის მოფიქრება სიკვდილზედ უსაშინელებია! შილიბე
მართმევს თქვენს თავს იმიტომ, რომ ლარიბი ვარ,
მაგრამ მე გავაქრობ იმას დედა-მიწის ზურგზედ. ბავ-
სრისავე ფეხ-ქვეშ იმ საზიზღრობას, როგორც შემთხვე-
ვა ჩამივარდება ხელში. არ დაივიწყოთ ეს: გახდებით
იმისი ცოლი თუ არა, მე მაინც იმდენად შეყვარე-
ბათ, რამდენათაც ის მეჭულება.

— «მ. ჩუმათ, გაჩუმილი! ბაკეიგონებენ, ეხვე-
წებოდა ქალი და ცდილობდა განთავისუფლებული-
ყო იმის მოხვევნიდგან. მე ველარ დავრჩები აქ, უნ-
და შევიდე ზალაში.

«ქრთის წამის შემდეგ ორნივე შევიდნენ. მე
პირ-და-პირ მივედი შილიბესთან და უთხარი:

— «ქრთე შორტესკუს. მე კაცი შენი მტე-
რია. მე ვიცი ნამდვილად, რომ ჭირივით ეზიზღები
და მომეტებულად ბევრს ჰფიქრობს მისს შეროლზედ,
იქმნება ითხოვა კიდევ.

— «პლვილად შესაძლებელია. იმას ძლიერ



ბევრი საქმროები ჰყავს. მისს შეროლს შეუძლია დას-დასობით გადაითვალოს მისგან დამარცხებულების რიცხვი, აგდებულად სთქვა შილიპემ. ჩემო კარგო მეგობარო! მე არ შემიძლია მტრულის, ანუ მოცილეს თვალთ შეეხედო შორტესკიუს, ის ერთობ მცირე და შორს არის ჩემსეც ამ წოდებისათვის. მე მებრალემა, თორემ შიშით—სრულებით არ მეშინია მისი.

— «შილ! ჩემის ყურით გავიგონე, რომ უშევრის პირით გლანძღავდა და გწვევლიდა.

— «მერმე რა ვუყოთ! ის ცხარი ხასიათისაა და ჰფიქრობს, რომ უსამართლოდ ვეპყრობი.

— «როგორ თუ უსამართლოდ?

— «მამა-ჩემის ანდერძის შესაჩებ; რადგან მე ვფიქრობ, რომ ზნეობითის მხრით უსამართლოდ მოექცნენ, მე მივეცი ჩემს თავს სიტყვა, არ მივაქციო ყურადღება მის უმადურებას, უსინდისობას და მოვითმინო ყოველ-გვარი შეურაცხება მისგან.

— «მერთო, შემიწყალე! არ მესმის შილ! რად გდევნის აგრე? სარგებლობს შენი გულ-კეთილობით და ყოველ ნაბიჯზედ გატყვეულებს.

— «ჩემო ლიზარტ, შენ ერთობ ბევრი მოინდომე! არის ისეთი რამ, რომელსაც, თუმცა ძმასავით მიყვარხარ, მაგრამ მაინც ვერ გეტყვი.

«ამის შემდეგ აღარაფერს ვეუბნებოდი შორტესკიუსზედ. რამდენიმე თვის შემდეგ შილიპემ დაიწერა ჯვარი და ახალ-გაზდა ცოლით გაემგზავრა ამე-

საქართველო
საქართველო

რიკასაკენ. მრთი თვის შემდეგ ჯვარის წერისა მოუკვდა სიმამრი. ამ სახლში მოიყვანა ბარმინმა მშვენიერი მეუღლე. მთელა ბოსტონი გაგიჟებული იყო იმის სილამაზით. საქმეების გამო ორი წლის განმავლობაში არ დაებრუნებულვარ და არ მინახავს შილიპე ბარმინი. სხვა-და-სხვა პირებისგან მესმოდა, რომ ჩემი მეგომარი ვერ არის ბედნიერი ცოლის ხელში. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ჩვენი პირველი შეხვედრა, როცა დაებრუნდი. ის დამხვდა თავის ოთახში, რომელიც გადაეკეთებია სამხატვროდ. წინ ედგა ცოლის სურათი, რომელზედაც გამბე წვლან, და ღრმა ფიქრით გატაცებული მისჩერებოდა სურათს. დამინახა თუ არა, მომეხვია მაშინვე, მაგრამ იმის დანახვამ კინალამ მეხი დამცა. ზამხდარი, გაყვითლებული, რალაც ახირებულად იხედებოდა. შუბლზედ და ბაგეების აქეთ-იქეთ გაკეთებოდა ღარები.

— «ღმერთო ჩემო, შილიპე! რა დაგმართნია? როგორ გამოცვლილხარ! ავად ხომ არა ხარ?»

— «ავად? არა. სხოვრებითა ვარ დაქანცული, მეტი არაფერი.»

— «შენი ცოლი სად არის?»

— «მასკარადში. იმას ძლიერ უყვარს ბალებში სიარული, ცეკვა და თამაში კიდევ უფრო, ვინემც თავისი ქმარი, ნადვლიანის ღიმილით მომიგო მან. დიზარტ, ხან-და-ხან მგონია, რომ ჭკუაზედ ვსცდები. იმას თურმე არასოდეს არ ვყვარებივარ და თუ გა-

მომეყა ცოლად, მხოლოდ სიმდიდრისათვის. ამ ორი წლის განმავლობაში იჭვი მქონდა და ახლა კი დავრწმუნდი ამაში. შენ წარმოიდგინე, რა მდგომარეობაში უნდა ვიყო, როცა ამ გვარი გრძნობა მიტრიალებს თავში. იმან მიახწია თავის მიზნამდის, არაფერზედ უარი არ შემიძლია, უხვად ვაძლევ სახარჯოს. არა ერთი და ორი ათასი გადამიგდია, რომ ამესრულებია მისი სურვილი; არასოდეს არ ვანგარიშობ, რა მიზის თვითოეული მისი ჟინი, განცხრომაში მისი ყოფნა და არ შეუდგები ამის ანგარიშს. თუმცა ჩემი მეგობრები მეუბნებიან, რომ გავკოტრდები, მაგრამ ერთი დოლარის მეტი რომ არაფერი დამრჩეს, იმასაც მისი სიამოვნებისათვის შევსწირავ.

«ის წამოვარდა და მივიდა სურათთან. საშინელი ტანჯვით მისჩერებოდა თავის დახატულს ლამაზს პირის სახეს და მიყრუებულის ხმით ვანაგრძო:

— «ღიზარტ. შენ არ იცა, რას ნიშნავს, როცა ქალი გიყვარს შენს სიცოცხლეზედ მომეტებულად და როცა ხედავ, რომ შენს მიახლოებაზედ ის შიშით კანკალებს, ჰკრთება შენის ალერსით; შენ არ იცი, რას ნიშნავს, როცა ეხვევა საყვარელს არსებას და იმავე დროს გრძნობ, რომ არა ხარ მფლობელი იმის სულისა. როცა იცი, ვეხვევა მხოლოდ იმიტომ, რომ შენ გასიამოვნოს და დათრგუნოს თავისი უბედურება. იმის თვალეში თან-და-თან ჰქრება სიცოცხლის ალი დარღითა და ნაღვლით და დასასრულს ნიშნავ უიმედო მწუხარებას. ოჰ, ღმერთო!

— ამ გვარ მდგომარეობას ხომ შეუძლია მოჰკლას ადამიანი! მე მგონია ამ სურათში საკმაოდ გამოცხატე ეს? ღაიზარტ! იცი, მე შეილი მყავს, — მაგრამ იმას არც შეილი უყვარს მამაზედ მეტად. წამოდი, გაჩვენებ უბედურს ჩემს ნამყოფს.

«შემიყვანა ძვირფასად მორთულს ოთახში, სადაც გვიძინა შენ კრუჟევეებსა და ატლასებში გახვეულს. პატარა სახეზედ მაშინვე გეტყობოდა კვალი აგნესა შეროლის უბედური სილამაზისა. მამა დაგეყუდა და დაგკოცნა.

— «როდესმე იქმნება შენ გადაუხადო ჩემს მაგიერი, ჩაგჩურჩულა მან, რასაც ძლიერ მოვკარო ყოფი.

— მამა ჩემმა სთქვა ეგ?

— ღიად, და თან დაუმატა, რომ შენა ხარ ერთადერთინუგეში და იმედი იმის სიცოცხლისა. როგორც ეტყობოდა, ძლიერ უყვარდი და ამიტომაც დაგარქვა დედა-მისის სახელი, მარგარიტა ზრეი. მრთი მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო:

— «საცოდანი ჩემი შეილი! მოსამსახურების ხელშიდ არის ჩაგდებული ამისი ბედი და უბედურება. მე ვსცდილობ დედის ალაგი დავიჭირო.

«მე თითქმის გათენებამდის ვიჯექი მასთან და მისი ცოლი კიდევ არ დაბრუნებულიყო. მკითხე: მარტო წავიდა, თუ აქლავს ვინმე მეტქი? და მან მწუხარებით მომიგო:

— «არ ვიცი, უეჭველად შორტესკიუ მოაცი-
 ლებს. ის დაჰყვება ხოლმე ხშირად.

— «ძიდევ და კიდევ ის ბოროტი სული! წა-
 მოვიდახე მე

— «წინარად, ღაიზარტ, წყნარად! ის ძლიერ
 გამიმეგობრდა ახლა. მე ვიცი, როგორი აზრისაც
 ხარ შენ იმაზედ, მაგრამ იმან დაიმაახურა ჩემი ყუ-
 რადლება და ბერს შემთხვევაში მიუცილებელს სა-
 ჭიროებას შეადგენს ჩემთვის.

— «შილიბე, სრულს ჭკუაზედა ხარ?

— «სრულებით. ჯეროლდი პატიოსანი და
 ჭკუიანი კაცია. შენ გაიგებდი ეუჭველად, როგორ
 წაიწია სამჯაფრო საქმეებში. ახლა ჩემს საქმიებს
 აწარმოებს. აი, კარეტის ხმავე მესმის; დასასრულ
 აგნესაც მოვიდა.

«ხუთი წამის შემდეგ ოთახში შემოვიდა შორ-
 ტესკიუ) თან-ხდებით აგნესა ბარმინი. ის იყო მარი
 სტიუარტის ტანისამოსით მორთული. ძვირფასი ბეწვით
 დასარჩულებული ხავერდის მოსახურაფი მძიმედ ეშვე-
 ბოდა ატლასის კაბა² ეც. შხვად ბრილიანტებ-მიყრილი
 ხავერდისა და ოქრო-მკედის ფარჩა მომხიბლავად და
 მიწიდავად ჰხატავდა საზოგადოების თვალში იმის-
 სილამაზეს. იჭვი არ არის, რომ საბრალო დედოფა-
 ლი არ იქმნებოდა ამითანა ლამაზი. პირველი შე-
 ხედვისათანავე შეეტყობოდა, რომ აგნესა უბედური
 ქალი იყო. მშვენიერი თვალებით დაღონებულად
 იხედებოდა და ისეთი ფერი ედო, როგორც მარმა-
 რილო. იძულებით ჩამომართვა ხელი. შორტესკიუმ

ძლივს მალირსა სალამი. ჰკუიანმა და გაიძვერა იმისმა სახემ მეფისტოფელი მომაგონა და აღრინდელი სიძულვილი ერთის წამის განმავლობაში ხელ-ახლად ამენთო. როგორ დაბრმავდა ისე შილივე ბარმინი, რომ იმას ენდობოდა?

— «მხიარულად გაატარე სალამო? ჰკითხა შილივემ ცოლს და მოღუშულის სახით მისჩერებოდა.

«ცოლმა არაფერი უპასუხა, ათრთოლებულის ხელით იძრობდა ბრილიანტის ქინძისთავს, რომლითაც დამაგრებული ჰქონდა ხავერდის მოსახურავი. შილივემ წააგლო ხელი, თითქმის ძალით მოგლიჯა მოსახურავი და დაუყვირა:

— «მიპამუხე, რალა! რამდენზედ გაიმარჯვე ამ სალამოს?

«ის ჩვეულებრივად გაჩუმებული იდგა. მის მაგიერად შორტესკიუმ მიუგო გულ-გრილად:

— «საყვარელო ბარმინ! შეგიძლიათ დამწვიდდეთ, თქვენი მეუღლე ვარსკვლავით ანათებდა ამამდღელს სალამოს და, როგორც ყოველთვის, გუნდ-გუნდად ეხვეოდნენ თაყვანის მცემლები.

«ბარმინის სახე დაღონდა იჭენეულობის ტანჯვით. წააგლო ცოლის ხელი ბრილიანტებით შეჭედილს ხელში და ჰკითხა:

— «ბედნიერად გრძნობდი განა შენს თავს, როცა ტრიალობდი ხელ გადახვეული უცხო კაცებთან და ისმენდი მათგან იმ დაწყევლილ ალერსი-

ანსა და საარშიყო ბაასს... სიყვარულის გამოცხადებას?

— «ერა, დარწმუნდი, რომ არა, დასასრულ მიუგო მან. არ ვგრძნობდი ბედნიერად ჩემს თავს, რადგანაც ამ ქვეყნად არ არის ბედნიერება. ბედნიერება უბრალო ზღაპარია, მაგრამ უნდა გაიარ-გამოიაროს კაცმა, უკეთესია ითამაშოს სადმე, ვინემ იჯდეს სახლში, სტიროდეს და ოხვრავდეს მუდამ.

— «შენ იმ ზომამდის მიმახწევენებ, რომ გავგიჟდები, დაიძახა შილიბემ და უწყალოდ წაჰკრა ხელი. ბასაკვირველია, რატომ აქამდის არ შემომაკვდი ხელში!

— «ჩემი სურვილიც ის არის, რომ მომკლა, წყნარის ხმით მიუგო აგნესამ და მისჩერებოდა თვალებში. სულითა და გულით მოხარული ვიქმნები, რომ მომკლავდე.

XIII

«მე და შორტესკიუ ერთად დავბრუნდით იქედგან.

— «როგორც ეტყობათ, არ არიან ბედნიერნი. ცხადად სჩანს, შემცდარნი არიან, ერთმანერთის არჩევაში, სთქვა შორტესკიუმ.

— «თქვენ აგრე გჩვენებათ. მე მახსოვს, პარიჟშიაც წინააღმდეგი იყავით ამ ქორწინების, მივუბე მე.

მეჯავრებულის თვალით გადმომხედა და გადაუხვია თავის გზაზედ. ამ გვარ შემთხვევებს ხშირად დავესწრებოდი ხოლმე ბარმინის სახლში. საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ უბედურს ქორწინებაზედ, თუმცა ბარმინს ძლიერ უყვარს თავისი ცოლი, მაგრამ მაინც უბედურია და მალე გაეყრებოდა ერთმანერთსაო. მისტრის ბარმინი ითვლებოდა მშვენიერების მეფად. ბაცხარებული დაეტაკებოდა, რაც კი ახლად შემოვიდოდა მოდაში და სადაც კი წავიდოდა, მავნე სულივით იქ გაჩნდებოდა შორტესკიუს. შოველს დღეს მათთან ეგდო და ისე დაიმონაფა ორივე ცოლ-ქმარი, რომ მის უფლებებს აღარ ჰქონდა სამზღვარი. ბარმინი, შორტესკიუს გარდა, ყოველ კაცზედ იჭვიანობდა თავის ცოლს. როგორც მე, ისე ყველა მისი მეგობრები ვაკვირვებული იყვნენ ამ გვარი მისი ქცევით და ერთი-მეორეს ეჩურჩულებოდნენ, რისიც ხმა მალლა დაძახება არ შეიძლებაოდა. მაგრამ უბედური ჩემი მეგობარი ვერაფერს ნიშნავდა. მრთს შესანიშნავს სახლში ვიჯავით მიწვეული სადილად, სადაც უკანასკნელად ვნახე ორივე ცოლ-ქმარი. აგნესას შეხედვა გააგიჟებდა იმ დღეს კაცს. შილიბე ჩვეულებრივად მოწყენილი იყო. იქვე იყო, რასაკვირველია, შორტესკიუს.

სადილის შემდეგ ძლიერ უსიამოვნო შემთხვევა მოხდა. აგნესამ იმღერა და აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. შთვალავი რიცხვი თავიანთის მცემლებისა შემოეხვიენ გარშემო. მათ-შორის



იყო ერთი ახალ-გაზდა სამხედრო პირი, რომელიც ერთობ ბევრს ნიჭას აძლევდა თავის თავს. შილიზე უყურებდა მის უზომო არშეყობას და თან-და-თან ღონდებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა, წაეღო ცოლს ხელი ისე მაგრაღ, რომ დაუღუპრჯა ნაზი ხორცი, გამოათრია და დაუწყო საშინელის სიტყვებით ლანძღვა და საყვედურები. მაყურებლები ძლიერ შეწუხდნენ ამ შემთხვევით. აგნესა უგრძობლად დაეცა, შილიზემ ჩააგლო ის კარეტაში და გააქანა სახლისაკენ.

«მეორე დღით მოვარდა ჩემთან მამი-შენის რთგული მოსამსახურე, მარტინი, საშინელი გაყვითლებული და აკანკალებული.

— «ღმერთო ჩემო, რა მოგვივიდა! შალბატონი მოგვიკლეს, მომადახა მან. წამობრძანდით ჩქარა, თორემ ბარძინი აგერ გაგიყდება მწუხარებით.

«ათი წამის შემდეგ მოვირბინე ამ სამლში. აქაურობა სავსე იყო ხალხით, ყველანი შეწუხებულის სახით იყვნენ. თავის ოთახში სარეცელზედ იწვა აგნესა ისე მორთული, როგორც ენახა მოსამსახურედედა-კაცს ნახევარის საათის წინათ სიკვდილისა. იმას ეცვა ის ძვირფასად შეკერილი კაბა, რომელიც ისე ამშვენებდა წინა-დღეს სადილზედ. ზულში ჰქონდა ჩარქობილი უცხო ქვეყნელი ხელოვნებით გაკეთებული წვრილი ხანჯალი. ახლაც თვალის წინ მიდგას იმისი მარმარილოს სითეთრის მსგავსი მშვენიერი სახე, ატლასის ბალიშებზედ მიწოლილი. ნაზი ხე-

ქართული
ენების
მეცნიერება

ლები, ძვირფასი ბეჭდებით შექედილი, ჩამოკვიდებოდა სარეცელიდგან. მოსამსახურეების ხმაურობისაგან არა ისმოდა რა. შილიბე ბარმინი იდგა მიცვალებულის წინ დაჩოქილა და იხუტებდა გულში ისეთის მწუხარებით და განწირულებით, რომ ჩემმა ხმაც ვერ მოიყვანა გრძნობაში.

— «ამ შემთხვევას ცუდი ბოლო ექმნება ჩვენი მეგობრისათვის, მომესმა ვილასიც გესლიანი ხმა ჩემს სიახლოვეს.

«მოვიხედე და დავინახე შორტესკიუ, თვლები მხეცსაყით უელაედა, მაგრამ სახე კი დამშვიდებული ჰქონდა. მივიდა შილიბესთან და ჰკითხა:

— «შილიბე, ვინ ჩაიდინა ამისთანა საქმე?

— «ღმერთმა იცის.

— «თქვენა, განა? ბაბრაზებულის ხმით ჰკითხა მან. საშინელის სახით წამოვარდა შილიბე.

— «როგორ, მე ვქენი ეს? როგორ მიბედავ, მაგ გვარის კითხვების მოცემას? ბანა შემეძლო მომეკლა ის ქალი; რომელიც ჩემს სიცოცხლეს მერჩია და რომელიც არის ჩემი შვილის დედა?

— «წუხელის არ იყო, რომ წაეჩხუბეთ?

— «ამ უკანასკნელს ხანებში ჩვენ ხშირად ეჩხუბობდით. ღმერთმა მომიტევეს ეს შეცოდება.

— «საზიზღარი შემთხვევაა, წაილაპარაკა შორტესკიუმ.

«მაშინვე დაიწყო გამოძიება. შევლა მოსამსახურეებს ჩამოართვეს ჩვენება. აგნესას მოსამსახურე



დედა-კაცმა აჩვენა შემდეგი: როდესაც ის შევიდა ქალბატონთან თერთმეტსაათზედ, ნახა, ის დადიოდა მტირალი და დაითხოვა გოგო, რომ მარტო დარჩენილიყო. დედა-კაცს იქვე გვერდით ოთახში ეძინა, მაგრამ არაფითარი სეჭვეო ხმაურობა არ გაუგონია. დილით, როცა გამოეღვიძა, უცდიდა ქალბატონის დაძახილს, მაგრამ რა კი არ დაიძახა, შევიდა ოთახში, სადაც ნახა დივანზედ მკვდარი მისტრის ბარმინი. ზამოძიება იმით გათავდა, რომ ბარმინი იცვნეს ცოლის მკვლელად, დაატუსაღეს და შეუდგნენ მის წინააღმდეგ საქმის წარმოებას.

მზული მისკდება, მეგი, როცა გამახსენდება იმ საქმის წარმოება. მამი-შენის გამამტყუნებელი საბუთები ბევრი აღმოჩნდა. მასამსახურეები ლაპარაკობდნენ, რომ გასაოცარი იქვიანი იყო, ხშირად ჩხუბობდნენ და საზოგადოდ უბედური ცოლ-ქმარნი იყვნენო. დედა-კაცმა აჩვენა, რომ დიდი-ხანია, რაც ჩემს ქალბატონს ძლიერ ეშინოდა ქმრისა. მუდამ შევიწროებულს მდგომარეობაში იყო, არაფერში მონაწილეობას არ იღებდა, ხშირად სტიროდა ჩუმი და მოწყენილი და ჩაფიქრებული ატარებდა სახლში დროსაო. სხვათა შორის დასძინა, რაღაც რევეული ჰქონდა და მუდამ სწერდა, უეჭველად ყოველდღიურ თავ-გადასავალს, და აყრიდა ზედ ცხარე ცრემლსაო. შევლამ იცოდა სახლში ბარმინის განუსაზღვრელი იქვიანობა: ერთხელ ტანზედ შემოაგლიჯა მშვენიერი აბრეშუმის კაბა, როდესაც ის ემზადებოდა ბალში

წასასვლელად. ხშირად გაუგონია დედა-კაცს, რომ ემუქრებოდა, შენც მოკვლავ და ჩემს თავსაც მოვიკლავო. აგრეთვე მისმა მოსამსახურებმა ერთ-ხმად დაამტკიცეს, რომ ის ხანჯალი ზარმინს ეკუთვნოდა და რადგან იშვიათი ხელოვნებისა იყო, მუდამ თავის ოთახში ედო სტოლზედაო.

«ზამოძიების დროს ზარმინს ძალიან მშვიდად და წესიერად ეჭირა თავი. მტკიცედ შემომთქცა, რომ ის არ არის დამნაშავე და მეჩვევით არ შემსვლია, რომ სტყუოდა. მსაჯულების წინ წარმოსთქვა, რომ თუმცა მათი ქორწინება ერთი უბედურთაგანი იყო, მაგრამ იმას იმდენად უყვარდა ცოლი, რომ ხელი არ დაემორჩილებოდა იმის თმის ბეწვსაც შეჭებოდა, არა თუ მოეკლა. მიცვალებულის ოთახი და ნივთები სულ ერთიანად გადაჩხრიკეს. მაგრამ ის რვეული, რომელიც დედა-კაცმა მოიხსენია ჩვენებაში, ვერსად იპოვეს. დედა-კაცის სიტყვით, რვეულს ჰქონდა წითელი ხავერდის ყდა ოქროს სარაჩით ვაკეთებული. იქვე არ არის, იმის შინაარსით აიხსნებოდა რამდენიმე ნაწილი ამ საშინელის საიდუმლოებისა, მაგრამ, როგორც არა ვსთქვი, ვერსად იპოვეს. შთუოდსიკვდილის წინათ დახია აგნესა ზარმინმა.

«ჯეროლდ შორტესკიუ იყო დამნაშავის დამცველად. მე ძლიერ შემაწუხა ამ შემთხვევამ, მაგრამ მამა-შენმა არ დაიშალა. შესაძლებელია, საუკეთესო დამცველიც ვერას უშვებოდა. შესაძლებელია, შორტესკიუც ძლიერ კარგად იცავედა, როგორც საზოგა-



დოდ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოსამსახურეების ჩვენება და მთელი საზოგადოებაც მის წინააღმდეგ იყო. სოლის მკვლელობამ საზიზღარი შთაბეჭდილება იქონია ყველაზედ. რამდენიმე მეგობრების გარდა, ყველანი დარწმუნებული იყვნენ მის დანაშაულობაში. დიდი-ხნის სჯის შემდეგ ბარმინს წაუკითხეს სიკვდილით დასჯის განაჩენი.

«თითქოს ამ წამში მომხდარიყო, ისე თვალწინ მიდგას ის საშინელი წამი, როცა წარმოსთქვეს ეს სიტყვები. დაქნაშავედ ცნობილის დამშვიდებულის სახის შემდეგ გადავხედე მის დამცველს და რა დავინახე? შავფერიძალი სახე გაუბრწყინდა გაიძვრულის ღიმილით და ცხადის მხიარულებით. მე მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს მომეჩვენა, არ შემეძლო წარმომედგინა, რომ შორტესკიუს გაუხარდებოდა თავის მეგობრის და მარწმუნებელის ამ გვარად დასჯა, ეს ერთობ საშინელება იყო! მაგრამ ის საზიზღრად მომღიმარე სახე არ მშორდებოდა თვალის წინ.

«შილიპე ბარმინს გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა ექვსი თვის ვადის შემდეგ. ახლა მოვიყვები, რა ჰქმნა შორტესკიუმ:

— «მე მომენდეთ, ეუბნებოდა მამა-შენს. მე გაგაპარებთ სატუსალოდგან. თქვენს ქალს და საცხოვრებელს წინ-და-წინ გავისტუმრებ სადმე მიყრუებულს, უშიშარს ალაგს, თუ მომანდობ თქვენ საცხოვრებელს, ყოველის ღონის-ძიებით ვეცდები

განგათავისუფლოთ. ამის მეტი საშუალება არ არის, დაიხსნათ თავი სახრჩობელიდან.

«პირველად-და-პირველად მამა-შენი უარს მამ-ბობდა, რადგანაც დანაშაულად არ რაცხდა თავს. რომ გავიქცე, დამიმტკიცდება დანაშაულობაო; მაგრამ შემდეგ შენზედ მზრუნველობამ დაავიწყა ყველაფერი. ზადასცა დამტკიცებულის ვეჭილობით ამ საზიზღარს კაცს, რაც კი რამ გააჩნდა, რომ მოეხმარა საჭიროების და შეხედულებებისა-და-გვარად, როგორც უნდოდა.

«ღმერთო ჩემო! სახელი მეყინება, რომ მომაცონდება ყველაფერი: მაშინვე მოინდომა შენი გაგზავნა ოკეანით, რომ მეროპაში დაჩვედროდი მამა-შენს. ამ განზრახვას არც-ერთს მამი-შენის მეგობრებთაგანს არ უმხელდა, ისე საიდუმლოდ მოქმედებდა შორტესკიუ.

«დატუსალების შემდეგ ვითხოვე, ნება მოეცათ, რომ მენახა ხოლმე შილიპე სატუსალოში. როცა მაეედი, ისეთი მხიარული და დამშვიდებული დამხვდა, რომ გამიკვირდა. სრულებით არაფერი გაუმხელია ჩემთვის, თუ რა ამბავი იყო იმასა და შორტესკიუს შუა. თუმცა ყველანი დანაშაულად რაცხდნენ და უნდოდით მისი ჩამოხრჩობა, მაგრამ მე მაინც ყოველის ღონის-ძიებით ესცდილობდი დამეხსნა ჩემი მეგობარი, რადგან ძალიან მდიდარი ვიყავი და დიდი გავლენაცა მქონდა საზოგადოებაში. ერთი წარჩინებული პირი სახე... უკან... პელი ნათე-



სავი იყო და, თუნდა ცა-და-ქვეყანაც გადაბრუნებულოყო, იმის დახმარებით უნდა შემეცვალა შილი-პე ბარმინისადმი გადაწყვეტილება.

«ახლა, ჩემო მეგი, კარგად დამიგდე ყური. ხუთის თვის განმავლობაში ატყუილა მამა-შენი შორტესკიუმ, აი დღეს გაგაპარებ, აი ხელო. სხვა და სხვა მიზეზების გამო აგრძელებდა ვადას. ბარმინის მთელი საცხოვრებელი გადავიდა იმის ხელში, და ერთს მშვენიერს დილას დაჰკრა ფეხი და გაიპარა შეროპაში, დაადგო შილიპე მხედრის ამარა და შენ ძიძის მზრუნველობაში. წასვლის წინათ გამოეგზავნა ჩემთვის ბარათი შემდეგის სიტყვებით: «სულელო! მე გავიგე, რომ შენ ცდილობ ბარმინის გამოხსნას. მაგრამ ვერას უშველი და უეჭველად ჩამოახრჩობენ. მთელი ჩემი სიცოცხლე მეჯავრებოდა ეგ კაცი და ერთი უბედნიერესთაგანი იქმნება ჩემთვის! ის დღე, როცა გავიგონებ მაგის ჩამოხრჩობას!»

«მაშინვე გავექანე საპყრობილეში, სადაც მიამბეს შორტესკიუს უსინილისო მოქმედება.

— «ჩემის სულელურის მოქმედებით გამცარცვა, ჩემის ნებით ჩაუყუარე საცხოვრებელი ხელში და არც შემძლია სამართალში მივსცე. ჩემი საცოდავი შეილი დავაგდე მათხოვრად და ულუკმა-პუროდ, ნაღვლიანად ლაპარაკობდა ბარმინი.

— «შენი შეილისათვის მე ვიზრუნებ, იმის ჯავრი ნუ გექმნება, მიუუგე მე.

«თუმცა ამისთანა საქმე უყო, მაგრამ მაინც არ უჯავრდებოდა და მე შეხვეწებოდა:

— «ზოხვე, რომ მისი გაიდევრული მოქმედება ჩვენს შორის დარჩეს საიდუმლოდ. რაც დაეკარგე, იმის დაბრუნება შეუძლებელია, ახლა კი ვხედავ, ჩემი დალუბვა სდომებია და დარწმუნებულიც არის, რომ ჩამომახრჩობენ.

«მაგრამ შორტესკიუ მოტყუილდა ამ შემთხვევაში. ღასჯის წინა-დღეებში გამოუცხადეს სამულა-მოდ დატუსალება საპურობილეში. შვილი მე ჩამაბარეს.

— «ღიზარტ, მითხრა იმან, ჩემს შვილს არაფინა ჰყავს ნათესაფი, წაიყვანე და იზრუნე მაგისათვის ჩემს სანუგეშოდ. მაგრამ ლეთის, გულისათვის, ისე გაზარდე, რომ მამა-მისზედ არაფერი გააგებინო. ლშერთმა ნუ ქმნას, შეეტყოს მაგას ჩემი დედა-მიწაზედ ცხოვრება.

«ამის შემდეგ ჩემი მეგობრის კარები დაიხშო. შენ აგიყვანე შვილად, ბიჩ-ბოლეში ჩაგაბარე ერთს სანდო პირს და მე გავსწიე მეროპაში შორტესკიუს მოსაძებნელად. ქავახანაში შევხვდით ერთმანერთს.

— «თქვენა ხართ მცარცველი და გამცემელი, უთხარი მე. რა უყავით იმ ფულს, რომელიც მოკპარეთ ვილიპე ბარმინს და მისს შვილის?

— «შემცდარი ბრძანდებით! ჭურდი და მცარცველი თვითონ ბარმინი არის; მხოლოდ სიკვდილის დღეს ამხილა სინიღისმა, დაებრუნებინა ჩემ-

თვის, რაც მომტაცა. ძლიერ ვსწუხებარ, რომ თქვენ მიგიღიათ შრომა და გადაგიჩენიათ ჩამოხრჩობისაგან. ღამერწმუნეთ, ისე ვსწუხებარ, მეტი არ შეიძლება განაჩენის შეცვლას, მიპასუხა მან.

— «ვიცი თქვენი სიძულილის მიზეზი! წამოვიძახე მე. ვიცი, რა დამოკიდებულებაც გქონდათ ბარმინის ცოლთან. მაშ გამოგონეთ: მეც მიყვარდა ის, მაგრამ იმას არც კი სცოდნია ესა. ჩემი სიყვარული იმიდენად უმანკო და ჭეშმარიტი იყო, რომ ნებას არ მამძლევედა ბოროტად მომეხმარა ისა. შესახებ თქვენის სიყვარულისა კი ნამდვილად ვხედავს სულ სხვა ანგარიშებს. ამის გამო იმედი მაქვს შევიტყო თქვენგან რალაც—რალაცეები მკვლევლობის თაობაზედ.

— «ჩემგან? არ მესმის, რისი თქმა გინდათ მაგითი, საშინელის ხმით წამოიძახა და როგორც ნაცარი ისეთი ფერი ჩაედო. მე საშინელი ცილის წამებაა! იმ ღამეს მე რამდენიმე მილის სიშორეზედ ვიყავი, ქალაქს გარეთ.

— «იქმნება, მაგრამ თქვენ მაინც სხებზედ მეტი გეცოდინებათ იმ მკვლევლობის თაობაზედ.

«ჩემმა დაჟინებით გამოკითხვამ ერთობ შეაფიწროვა და ჩახლეჩილის ხმით მკითხა:

— «ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე მოვკალი ის ქალი?

— «ძალიან ადვილად შესაძლებელია, გაბრაზებულის ხმით მიეუგე მე. ჩემის აზრით, ყოველი ბო-

როტი საქმე თქვენი ხელიდგან უნდა გამოდიოდეს. მომეცით პენსა ბარმინის შვილის ფული, ის ფული, რომელიც თქვენ მოსტაცეთ. თქვენის წყალობით ბავშვმა უნდა იმათხოვროს. დედა-მისის პატივისცემისათვის მაინც გებრალეობდესთ.

«ის მტკიცედ იღვა იმ აზრზედ, რომ ერთი გროშიც არ წაუღია იქედგან, რომელზედაც უფლება არ ჰქონებოდა და მიჩნია, ყმაწვილი მიმეცა ღარიბების თავ-შესაფარებელს სახლში. ამ სიტყვებისათვის წავკარი ხელი, წავაქციე და იმდენი ვცემე, რომ ჯონი რამდენიმედ გადავამტერიე და გამოვსწიე იქედგან. იმ დღეს აქეთია წუხანდლამდის არ მინახავს.

«იქედგან დაბრუნებული დაბინავდა ამ სახლში. შეცრად დაიმსახურა აქაურების ყურადღება და იშოვნა მსაჯულის ალაგი. დანარჩენი შენც კარგად იცი.

— მართი სიტყვა კიდევ, აღელვებულის სახით ჰკითხა მეგიმ. «შენ ჯერ არ გითქვამს, ვინ მოჰკლადედა-ჩემი?»

— ეს ისეთი საიდუმლოა, რომ მხოლოდ ლმერთმა იცის. დამნაშავე ვერ გამოიკვლიეს.

— შენ როგორ გგონია, მართლა შორტესკიუ არის მკვლელი?

— არა, მე შეეიტყვე, რომ იმ უბედურს ღამეს მართლაც ქალაქს გარეთ ყოფილიყო. მე მხოლოდ ამას ვფიქრობ, რომ ამ საქმის გარემოება იმან ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ არაფერი გაამხილა და ტყუილა უბრალოდ მისცა სამართალში ბარმინი,

როდესაც ნამდვილად იცის, რომის უმანკოა. მეგი, დარწმუნებული იყავი, მამა-შენი უბიწოა ამ საქმეში! და თუ როდისმე იქვი შეგსვლია იმის სიპართლევად, დაჩოქილი ითხოვე შემომქმედისაგან მიტევება. ის იყო იქვიანი, ცოლისაგან სიძულილი და გულ-გრილობა ხშირად გააბრაზებდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს იქამდის არ მიახწევდა, რომ ხელით შეხებოდა იმას, ვინც მიაჩნდა თავის ღმერთად, ამაშიდ მტკიცეთა ვარ დარწმუნებული. სხრამეტი წელიწადია, რაც ოთხ კედელშია დამწყდელი და მარტო ღმერთმა იცის, რა ტანჯვას იძიმენს. ზამოსალმებულია სიქმაწვილეს, ჯანსა და ღონეს. შიმედოდ და უნუგეშოდ, ცოცხლად არის დამარხული. ამდენი ხნის განმავლობაში არ მინახავს რადგან, აწუხებს ჩემი ნახვა. ერთი იმისი ერთ-გულ მოსამსახურეთაგანი მსახურობს სატუსალოში და იმისი საშუალებით ხშირად ვტყობილობდით ერთმანერთის ამბავს. ზანსოვს, ბიჩ-ზოლღეში რომ იყო ჩემთან, რომლის ლაპარაკიც შენ შემთხვევით გაიგონე ჩემს საკითხავს ოთახში?

— ღიად, მახსოვს, მიუგო მეგიმ.

პოლკოვნიკი წამოვარდა და საოცარის ხმით წამოიძახა:

— იმ დროს, როდესაც საფლავში მდებარე დედა-შენი ელის სამაგიეროს გადახდას, როდესაც მამა-შენი ღპება სატუსალოში, ატარებს გაძალღებულს სიცოცხლეს, რას უვრება ამ დროს შორტეს-

კიუ? პირველი ალაგი უჭირავს საზოგადოებაში და
ბედნიერებაც ხელს უწყობს. შოვლად შემძლებელი
ღმერთო! რა უნდა იფიქროს კაცმა?

მიუბრუნდა მეგის და განაგრძო:

— ახლა რაღას იტყვი, რას ფიქრობ იმ კაცზედ,
რომელსაც უნდა ჩაგიგდოს ხელში; იმ კაცზედ, რო-
მელმაც გაცარცვა მამა-შენი და მიახწევინა სახრჩო-
ბელამდის, იმ კაცზედ, რომლის ცოდვილმა სიყვა-
რულმა დედა-შენისადმი, გააუბედურა შენი მშობლე-
ბი. ზაგცარცვა შენ და დაგადლო უპატრონოდ? რო-
გორც სჩანს, განსვენებული აგნესას სიყვარული გად-
მოუტანია იმის ქალზედ. ღმერთო ჩემო, ეს საშინე-
ლებაა! ნუ თუ შენი დალუბვაც განუზრახავს?

მეგი წამოდგა, მომაკვდავის ფერი ჩაედო და წა-
მოიძახა:

— რას ფიქრობ იმ კაცზედ? მე ფიქრობ, რომ
ის მხეცი ყოფილა! ზახსოვს, მამა-ჩემს რომ უთქვამს
შენთვის, ბიძია, რომ იქნება როდისმე ამან გადა-
უზადოს სამაგიერო? მაშ, იცოდე, რომ მე ამისათვის
ცყოფილვარ დაბადებული.

შეცრად წაიგობოჯა თითიღვან შორტესკიუს
იბეჭედი და გადაადგო.

— რა უბედური ბედია ცყოფილვარ. ქაცი არ
გამიჩნდა გამაურთხილებელი, როცა ამ სახლში შე-
მოვლიოდი, დავერიგებინე, აესცდენოდი საშინელს
სირცხვილს და სიყვარულს ამ კაცასა და მეც გა-
დავწყვიტე, მაშეყიდნა იმისათვის ჩემი თავი! და

რამდენიმე კვირის შემდეგ გავმხდარიყავი იმის მე-
 ულღე!

— მაღლობა ლმეროს, რომ დროზედ მოგასწარ
 და აგაცდინე ეს საშინელი უბედურება! მევი, ახლა-
 ვე უნდა მოშორდე ამ სახლს. რა საშინელი უნდა
 იყოს შენთვის ჯეროლდ შორტესკიუს პურის ქამა
 და მისი ზიარი ჰაერით სულთქმა! შუკრიბე ჩქარა
 შენი ნივთები და წამოდი ჩემთან.

— სად?

— ბიჩ-ბოლესში, მიუგო პოლკოვნიკმა და და-
 ხედა საათს. მე და ქოსტანცია მივდივართ შუადღის
 მატარებლით. ლმერთო, რა რიგად მიხარია, რომ
 ვბრუნდები ჩემს საკუთარს სახლში. ამ ოთხი წლის
 განმავლობაში განდევნილი ვიყავი სწორედ.

— ბიჩ-ბოლესში უნდა წამოვიდე, ქოსტანციას-
 თან? არა, ეგ არ შემიძლია, მე აქ უნდა დავრჩე.

— აქ უნდა დარჩე?

— ბიძია, ნუ თუ შენ გინდა, რომ როგორც
 მხდალი, ისე გავიპარო აქედგან? არა, შორტესკიუ
 თავის ქალის საძებრად წავიდა ნიუორკში და სანამ
 კიდევარ ვნახამ, მანამ ვერ დავაგდებ ამ სახლს.

— მეგი, შენ ხარ შენი დაუძინებელი მტრის
 ხელში. შენი მდგომარეობა მაშინებს... იმის სიძე
 უეჭველად ეტყვის ახლა, რომ შენ შილიპე ბარმი-
 ნის ქალი ხარ.

— შთხრას, თუ ეტყვის. შორტესკიუმ მაინც
 უნდა გაიგოს ეს და ის ეტყვის თუ მე, ეგ სულ

ერთია. მე არ მეშინიან იმისი, ბიძია; ამ წამილვან მე იმის მოუსვენარი მტერი ვარ. მზათა ვარ ეი არ-გებლო თვითოცულის შემთხვევით, რომ გადაუხადო მამი-ჩემის ტანჯვა, რომელიც ისე უსამართლოდ მიუყენებია. აქ, ამ სახლში წარუდგები პირის-პირ, გავამტყუნებ და მოვსთხოვ გაასწოროს თავისი დანაშაულობა, რომელიც ჯერ კიდევ შესაძლებელია.

— მეგი, ნუ იზამ მაგას! შეშინებულის ხმით წამოიძახა პოლკოვნიკმა. — შენ ერთი სუსტი ქალი ხარ, ის ეცდება საშუალებას შენც დაგლუბოს.

მეგის თითქოს არ ესმოდა; იმის გაბედულობითი სახის შეხედულება აშინებდა პოლკოვნიკს.

— მე მინდა ვნახო მამა-ჩემი! ვინ წამიყვანს მასთან?

— მამაშენთან?

— ღიად, სატუსალოში მინდა ვნახო ის! იმან უნდა მიჩიოს, როგორ ვიმოქმედო. ხომ მომცემენ ნებას, ვნახო?

— ჩემო საყვარელო შვილო! რაც შესაძლებელი იყო ვეცადეთ, მეტი არაფერი გარიგდება.

— არა, არაფერიც არ არის ნაცადი. მაგ სიტყვით ვერ დამაკავენ. მე მინდა იმისი ნახვა. მინდა ვნახო ის კაცი, რომელსაც ჯერ არ უნახავს თავისი შვილი და რომელიც ყველასაგან მოძულეებული და მიტოვებულია. ის აღარ უნდა იტანჯებოდეს მართლობაში. შენ არ შეგიძლია, მიმიყვანო?

— როდის?

— ღღეს, აი ახლავე.

— არა, არ შემძლია; ღღეს კელიერ საჭირო საქმეები მაქვს და შემდეგ მე და კოსტანცია ბიზი-ზოლოში უნდა წავიდეთ.

— მაშ ხვალ იყოს.

— ქარგი, ხვალ შეიძლება.

— ოჰ, ლმერთო, ხვალამდის რამდენი ხანი გაივლის! მაგრამ მოვიტომენ. შენი კირიმე, ჩემო ძვირფალო ბიძია, ნუ მიმატოვებ, შენი იმელი მაქვს, ემუდარებოდა მეგი.

— ამის შემდეგ ჩემს სიცოცხლეში აღარ მიგატოვებ, ჩემო შეილო! მიუგო პოლკოვნიკმა და ჩაიხუტა გულში. მაგრამ ახლა როგორ დაგტოვო ამ სახლში? მეგი, წამოდი ჩემთან. თუ ბიზი-ზოლოში არ გინდა, სხვაგან გიშოვნი უშიშარს ბინას.

— არა, არა. მე დავრჩები მტრის სახლში. ჩემი ნუ გეშინია, შორტესკიუს დაბრუნებამდის კიდევ ვნახავთ ერთმანერთს!

— ლმერთი იყოს შენი შემწე, მაგრამ მე მგონია, შენი განზრახვა კეთილ-საიმედო არ არის და მათთან სასაშიშროა, ჩემო შეილო!

XIV

რამდენადაც ზაფხულში სასიამოვნო და მშვენიერება რამ იყო ბიზი-ზოლო, იმდენადი ზამთარში დაღუშული და მოწყენილი. მუდამ ჰქროდა ცივი

ქარი. პატარა ნავთ-სადგური აქაფებული იყო ზვირ-
თებისაგან და ზევიდგან დასჩერებოდა მოღუმული ცა,
როდესაც პოლკოვნიკის კარეტა მიჰქროდა ბიჩ-მო-
ლეს ხეივანში.

პოლკოვნიკი და მისი მეუღლე გადმოხტნენ
ეკიპაჟიდან.

— ზმადლობ, შენ უფალო! ღაიძახა პოლკოვ-
ნიკმა, როცა შეადგა თავის სასახლეში ფეხი. მისტრის
ღაიზარტმა ტუჩები დამანჭა. ზამთარში დაბრუნება
ძლიერ ეზარებოდა იმას, რადგან ამ დროს ბიჩ-მო-
ლეში საშინელი მოწყენილობა იყო. ქოსტანციას
ისრე შეუყვარდა შეროპის ქალაქები, რომ სიამოვნე-
ბით იმგზავრებდა კიდევ ერთი წელიწადი, მაგრამ
პოლკოვნიკმა აღარ დაუჯერა და ძალიან წამოიყდ-
ნა სახლიაკენ.

მედიდურის ნაბიჯით ავიდა კიბეზედ და შევიდა
დამზადებულს ოთახში. მარდი მოსამსახურე დედა-
კაცი საჩქაროდ ალაგებდა ახლად მოტანილს ნივთებს.
ბუნრები გაჩაღებული იყო. ზღვა ისე საშინლად
დღლაუდა, რომ ხმაურობა ოთახებშიაც ისმოდა.

უკანასკნელს დროს ძლიერ გამოიცვალა ქოს-
ტანცია! მრთი-ათად მოემატა ნებივრობა და ამაყო-
ბა. იმის ნაცრის ფერს თვალეში ბარბაროსობა და
უსიამოვნება გამომეტყველობდა. თხელი, ჩაპუწყნი-
ლი ტუჩები გესლინი დედა-კაცის შეხედულებას
აძლიევდა. ის ისეთი გულ-გრილი იყო, რომ არასო-
დეს არ სჯიდა სინიდისი და ახლა მაინც თან-და-თან

ემატებოდა ეს ღირსება, რომელსაც მისი მეუღლეც კარგად ჰკრძნობდა.

— მიმი, სასადილოდ მე ტანისამოსს არ გამოვიცვლი, აქ ესეც დიდია, უთხრა დედა-კაცს. ძალიან გაკვირვებული ვარ ჰეშმარიტად, რად ისურვებ პოლკოვნიკმა ამ ზამთარში აქ ცხოვრება! მოხუცებულებს ახირებულის ენის მოუვლით ხოლმე, მაგრამ მე მაინც არ დავდგები აქ ღიდ ხანს.

დედა-კაცმა ჩამოკიდა შკაფში ტანისამოსები და გავიდა ოთახიდან.

მისტრის ლაიზარტი დაფიქრებული იჯდა ფანჯარასთან. იმას საშინლად სძულდა ბიჩ-ბოლფ. თვითაეული კუთხე ამ სახლისა და გარშემო მოაგონებდა სამწუხარო შემთხვევებს. შორწინებამ ვერაფერი ბედნიერება მოუტანა პოსტანციას; იმან დასთესა შური და გესლი, რომ დაეთრგუნა დარდი და მწუხარება. იმ მცირე შურის-ძიებამ მეგისადმი ვერ დააკმაყოფილა, ვერ გააბედნიერა ის.

პრა კაცი არ იქმნებოდა პოსტანციას ხელში ბედნიერი და განსაკუთრებით იმისთანა კაცი, როგორიც იყო პოლკოვნიკი ლაიზარტი. იმინი სრულგებათ ვერ შეეთვისნენ ერთმანერთს. მათ არ ჰქონდათ ერთი-ერთმანერთის შესაფერი მიმართულება და გემოვნება, ხნოვანებით პოლკოვნიკი მამად შეეფერებოდა პოსტანციას. სამი წლის განმავლობაში დასეირნობდა მერობაში, სიამოვნებით უსრულებდა თვითოეულს სურვილს, მაგრამ მაინც ვერ მიიკვდლა იმისი გული.



ამ ბოლოს დროს პოლკოვნიკსაც გაუგრილდა სიყვარული, ხშირად წამოაკრავდა ნაკლულევანებას, მუდამ ესაყვედურებოდა და ხან-და-ხან ბრძანებითაც დაუყვირებდა ხოლმე, მაგალითად. უკანასკნელს ლამეს, როცა მეგი ნახა, ისე შეაფიწროვა, რომ გამოტენა ყველაფერში. ამას შემდეგ ერთი-ათად შეუყვარდა მეგი პოლკოვნიკს. რა შეიძინა ახლა ქოსტანციამ თავისი ღვარძლიანი მოქმედებით? ამ შემთხვევით როგორ არ უნდა გამსკდარიყო გულზედ? ღანტონ მაულტრის რომ არ ელაღატნა, მაშინ სულ სხვა ნაირად წავიდოდა მისი ცხოვრება. ნეტავი სად უნდა იყოს ეს მოღალატე, ლამაზი და გამოფუტურებული გულის საქმრო?

ძარები გაიღო, შემოვიდა მიმი და გაზეთი მიართვა.

— შეებატონმა მოგართვათ, მოახსენა მან და გავიდა ოთახიდან.

ქოსტანცია ძლიერ დაუნდობელი ხასიათისა იყო ბუნებით. რისთვის გამოუგზავნა ქმარმა ეს გაზეთი, რად უნდა, რომ მაინცა-და-მაინც წააკითხოს? საჩქაროდ გაშალა თუ არა, მაშინვე მოჰკრა თვალი ღანტონ მაულტრისა და ლილიანის, ერთად ერთი მემკვიდრეს მდიდარი შორტესკიუსა, გაპარვას. ქოსტანციამ გულ-მოდგინედ გადაიკითხა სიტყვა-სიტყვით. დასასრულ უპოვია საცოლო! ამ ამბავმა თავ-ზარი დასცა ქოსტანციას. იმას კიდევ ვერ ამოელა გულიდან სიკმაწვილის სიყვარული. უც-



რად გასაოცარი სიძულელი დაებადა ლილიან შორტესკიუსადმი, რომელსაც ვერც კი იცნობდა. ბული შეეხუთა მოუთმენელის სენით: სიყმაწვილითვე ჩანერგილი გრძნობა კიდევ არ იყო ამოფხვრილი. ისეთი სიყვარული, როგორსაც ის ჰგრძნობდა ლანტონ შაულტრისადმი, ვერ ჩაივლიდა ისე, რომ კვალი არ დაეჩნია.

ბამოალო ნივთების უჯრა, ამოიღო მედალიონი, რომელშიაც ჰქონდა ლანტონის სურათი და ნაღვლიანად დასჩერებოდა ამ ლამაზს, მაგრამ ბორბტების გამომეტყველს სახეს. თუმცა მეგის გამოგლიჯა ხელიდგან, მაგრამ ვილაც უცნობმა კი წაართვა ის!

ამავე დროს პოლკოვნიკი იჯდა თავის ოთახში და ოცნებობდა. იმისი ფიქრი სულ მეგის გარშემოტრიალებდა. საშინელი წინაღ-გრძნობა არ აძლევდა მოსვენებას. როგორ დატოვა შორტესკიუს სახლში ეს დაუფიწყარი, შეილად გამოზრდილი ქალი, რომლის აყვავებული, ლამაზი სახე თითქოს ყოველის მხრით უჭვრეტდა ამ ოთახში?

— რატომ არ წამოვიყვანე? მინ იცის, რა დემართება ხვალაძდის? ბუტბუტობდა ის.

ზაინგდა ფანჯარაში. საძაგელი ტაროსი იყო. უკანასკნელს დროს ჯანი აღარ მოსდევდა პოლკოვნიკს და ამის გამო ამისთანა ტაროსში მგზავრობა არ შეეძლო. ღაჯდა და საჩქაროდ დასწერა ტელეგრამმა:

«ღეთის გულისათვის, ახლავე გამოდი მაგ სახ-

ლოდგან. ამელამ ნუ დარჩები მანდ. ამელამ მისს
ლეიტთან გადადი, ის მოგცემს ბინას და ხეალდი-
ლით მეც მოვალ. მაშინვე დაუძახა მოსამსახურეს და
გაგზავნა ტელეგრაფის სტანციაში.

ამ დროს დარეკეს სადილის საქმელად. პოს-
ტანცია გაჯავრებული შეხვდა კიბეხედ და ერთად
შევიდნენ სასადილო ოთახში. დასხდნენ თუ არა,
პოლკოვნიკმა დაითხოვა მოსამსახურეები.

— მე რომ გაზეთი გამომიგზავნე, წაიკითხე
პოსტანცია? ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიად, გულ-გრილად მიუგო მეუღლემ.

— ძარგი მამული უშოვნია დანტონ მაულტ-
რის, ღიმილით სთქვა დანიარტმა.

— ძალიან კარგი, დაშვიდებულად მიუგო პოს-
ტანციამ.

— პოსტანცია, მოწყენილის სახით განაგრძო
პოლკოვნიკმა, ამ სამის წლის წინად შენგან დახ-
ლართულმა საქმემ ბევრით უარესი და საშინელი
მსვლელობა მიიღო, ვინემც შენ ფიქრობდი. დღეს
დილით მე ვნახე მევი!

— მე სრულებითაც არ მაკვირვებს, გულ-გრი-
ლად მიუგო პოსტანციამ, მე მაშინვე მივხვდი, რომ
უთუოდ მოსძებნიდი შენს ღმერთას და გადასცემდი
ჩემს დანაშაულობას.

— როგორ გგონია, პოსტანცია, სად ვნახე, თუ
იცხად, ის უბედური? იმას გადაუთქვამს მისს ბრევი და
ამ სახელით სცხოვრებს შორტესკიუს სახლში. ის კი-

დევ არაფერი. შორტესკიუს, რადგან არ იცის იმის ვინაობა, წინადადება მიუცია, შეუცდენია და ცოლად უპირებს შერთვას.

მეცა ისე გაქვავებული გულის იყო ქოსტანცია, მაგრამ ამ ამბავმა მაინც შეაქრო.

— მეგი უფრო მალე შეაყდენდა იმას, ვინემც ჯეროლდ შორტესკიუ. იშვიათი შემთხვევა არ არის ეს იმისთვის, წამოილაპარაკა ქოსტანციამ და საზიზღრად გადინარხარა. ღარწმუნებული ვარ, უთაგბოლო ყბედობით ჩაუფუშავდი იმას ბრწყინვალე ქორწინებას! მაშ იმიტომ იყენენ ერთად ოპერაში?

— ქოსტანცია! ნუ თუ აღარც გული გაქვს და აღარც ნამუსი? ღაუყვირა გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა.

— შენ უეჭველად გინდა მკითხო, ვნანობ თუ არა, რაც მარგარიტა ბარმინის შესახებ ჩაფილდინე? სრულებითაც არა, მე იმის მეთედრაც არა დამიშავებია რა, რაც იმან მიყო. მე მხოლოდ იმას ვნანობ, შენ რად გამოგიტყდი. ღამერწმუნე, ამ სისულელეს არაფრის გულისათვის არ ჩაფილდინდი, თუ მცოდნოდა, რომ იმას გამოკითხავდი რასმეს. მე იმედი მქონდა, ჩემი სიტყვები სულ დაღუპავდა იმას.

— მუ ის ჯერ კიდევ სულ არ დაღუპულა, ეს შენი წყალობით არ არის, ქოსტანცია, მიუგო პოლკოვნიკმა და რამდენიმე სიტყვით გადასცა მეგის თავ-გადასახალი. ქოსტანცია დამშვიდებულის

სახით, მაღიანად შეექცეოდა საქმელს. ბოლოს ლი-
მილით უთხრა:

— მარგარიტა ზარმინი იმისათვის დაბადებულა,
რომ ახირებულს შემთხვევებს წააწყდეს ხოლმე. მაშ,
ჯეროდღე შორტესკიუ იმის საქმროა? ეს კარგი
ამბავია! მეტის ღირსიც არ არის ის. მხოლოდ ამით
შეუძლია გაასწოროს თავისი დანაშაულობა. შენ
დარწმუნებული იყავი, რომ ის აქ ფეხს ვერ შემოაღ-
ვამს. მე ახლა უფრო მძულს და მეზიზღება, ვინემც
ამ სამია წლის წინედ და ერთი წამიც არ დავდგები
აქ, ის რომ მოვიდეს. რას იქამ აქლა? ძიდევ დაიჭერ
იმის მხარეს, მიიღებ ისევ ისე ალერსიანად, გაახ-
ლებ იმ ანდერძს, რომელიც დახიე, როცა სხვის
საქმროს გაეკიდა? ნუ გგონია, მე არ შემემჩნიოს,
როგორი მოწყენილი იყავი ამ სამი-ოთხი წლის
განმავლობაში უიმისოდ და როგორ ვინდოდა იმისი
ნახვა.

— მაგას მართალს ამბობ, რომ უიმისოდ ძა-
ლიან მოწყენილი ვიყავი, მიუგო პოლკოვნიკმა და
ისეთის თვალით გადახედა, რომ ძალტანცია შეჭკრთა-
პის შემდეგ ერთი-ათად უფრო ძვირფასი შეიქმნა
ის ჩემთვის და ძალიანაც გავსულოვლდი, რომ იმდენ-
ად დაგმორჩილდი და ის მოვიძულე. აქლა მინდა შე-
მოვზღუდო ის შორტესკუსა და ყველა იმის მტ-
რებისაგან. თუ აქ ვერ შემოვიყვან, სხვაგან უშოვნი
ბინას. ხვალ დილითვე დაებრუნდები ქალაქში და
მოვაწყობ იმის საქმეებს. ძალტანცია, არ ის ისეთი წა-

მები, როდესაც ბოროტი სული მგონიხარ და დელა-კაცი.

მკაცრი პასუხი უთამაშებდა ტუჩებზედ ქოსტანციას, მაგრამ შეიმაკრა თავი. სიმდიდრის გამო გაჰყვა მოხუცებულს კაცს და აღარ უნდა გაეჯავრებინა რადგანაც ქმრის მეტის-მეტის სისუსტის გამო, მალე მოელოდა, მდიდრი ქვრივი დავრჩებიო.

პირ ფერობით, ნაზის ღიმილით მიუჩოჩდა ქმარსა და ჰკითხა:

— ნუ თუ იმდენ ნებას მისცემ, რომ ჩვენ შუა ჩადგეს მეგი? ნუ თუ სრულებით აღარ გიყვარვარ? პოლკოვნიკმა ღრმად ამოიოხრა, შემოიღო შუბლზედ ხელი და მიუგო:

— არ ვიცი, მე რამდენიმეჯერ მითქვამს შენტეის, რომ ჩვენს ქორწინებაში შემცდარნი ვართ. ეს სიტყვები ისეთი ნაღვლიანის ხმით წარმოსთქვა პოლკოვნიკმა, რომ ქოსტანციას შეეშინდა, მივიდა მასთან, დაადო მხარზედ ხელი და განგებ დაიწყო ტირილი.

— შებრალებოდე, მე არ შემძლია შენი წყრომა ავიტანო; მომიტყევე, რაც გითხარი; ამას შემდეგ რასაც მიბრჩანებ, ავასრულებ. თუ გსურს მივიღო მეგი და თუ დაგამშვიდებს იმისი აქყოფნა, სიამოვნებით მივიღებ. ღმერთმანი, მე ისე შეუბრალებელიც არა ვარ, როგორც შენ ფიქრობ.

— შენ შეირიგებ მეგის? იქვით ჰკითხა პოლკოვნიკმა.



— თუ კი შენ გენბავს, თუნდა დახოქილიც მოვითხოვ მასთან ბოდიშს.

— ღმერთმა დაგიფაროს! ის იმდენად სულგრძელია, რომ მაკდენს არ მოითხოვს შენგან. ხეალდილით წავალ და თუ არ ხუმრობ, შენც წამოდი. აპატივე, რაც დაგიშავა და სთხოვე, იმანაც გაპატიოს.

ამ რიგად მეორე დღეს უნდა წასულიყვნენ მეგისტან. ქოსტანციასთვის ძლიერ სამძიმო იყო ეს შემთხვევა, მაგრამ მეტი გზა აღარ ჰქონდა, ვეღარ გაჰბედა წინააღმდეგობა.

— თუმცა ძნელია ჩემთვის ისე თავის დამდაბლება, რომ ბოდიში მოვითხოვო მასთან, მაგრამ რადგანაც შენ გსურს, დავთრგუნავ ჩემს ამაყობას და წამოვალ.

— მაშ, უეჭველად, განა ქოსტანცია? მაკვირვებით ჰკითხა პოლკოვნიკმა და გახარებულმა ჩაიხუტა გულში. შრიცხვს მადლობას შემოგწირავ, ჩემო კარგო! მართალი გითხრა, არ მოველოდი შენგან.

ღიღი ხანია ასე აღერსიანად არ ყოფილან პოლკოვნიკი და მისი ცოლი ერთმანერთთან. ქოსტანცია შესახედავად თუმცა მხიარულად იჩენდა თავს, მაგრამ გულში მთელი ჯოჯოხეთი უბრუნავდა. პოლკოვნიკის გონება მუდამ მეგიზედ ფიქრით იყო შეცული და იმის გულისათვის უნდა დაემდაბლებია თავისი ცოლი. იჭვრ არ არის, ამას შემდეგ ერთი-ორად მოიხსნამს ფრთებს და დედა-მიწასთან გაასწორებს მეფე, კბილების კრაჭუნით ჰფიქრობდა ქოსტან-



ცია. ხელ-ახლად უნდა გაახლებულიყო მათში მური და დანა-სისხლად გამხდარიყვნენ ერთმანერთთან. შველაზედ უწინ მოსტანცია სცდილობდა აღრინდელი ალაგი დაეჭირა პოლკოვნიკის გულში, თორემ საუბედუროდ შესცვლიდა ანდერძს. სადილის შემდეგ თითქმის დაქანცული წამოდგა და უთხრა ქმარს:

— მე საშინელი დაღალული ვარ, შენც კი ვეცუობა მოგზაურობა!

— მე მეგის ჯაგრი მაქვს. სად არის ახლა ის? შორტესკიუ შეიძლება უეცრად დაბრუნდეს, იქნება სულაც არ წასულა ნიუორკში და მაშინ, ღმერთმა იცის, რა მოხდება. ძარგი იქნებოდა რომ ამელამ ის რეგლით წავსულიყავი.

— ღამის მატარებლით! შეშინებული წამოიძახა მოსტანციამ. მრთი გაიხედე, რა საშინელი ქარიშხალია! მოიცადე, ზვალ მეც წამოვალ მეგისთან.

— მაშ კარგი, ყოყმანით სთქვა პოლკოვნიკმა და წავიდა თავის ოთახში. შერაფერმა ვერ გაართო, სულ მეგის ხმა მოესმოდა, რომელიც ვითომ ეხვეწებოდა მიშველებას. ისე დარწმუნდა ამ შეველის ძახილის სინამდვილეში, რომ უეცრად გაალო ფანჯარა და გასძახა:

— მეგი, მეგი, სადა ხარ?

პასუხს მხოლოდ ქარიშხალის და ზვირთების ხმა აძლევდა, რომლებიც თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანერთს. ლაკეტა ფანჯარა და მოწყენილი მიუჯდა ბუხარს.

ამაზედ ნაკლებ შფოთვასა და მწუხარებაში არც ქოსტანცია იყო. იმან დაითხოვა მოსამსახურე დედა-კაცი. მა ეთი, რომელშიაც ღანტონ მაფლტრის და ლიოიანის გაპარვა ეწერა, წინ ედვა. ხან წამოდგებოდა და წყნარის ნაბიჯით დაიწყებდა სიარულს, ხან მოაჩერდებოდა ანთებულს ბუხარს, რომლის ალებშიაც ენატებოდასურათი წასულის ბედნიერებისა. ამ მდგომარეობაში მყოფს შემოესწრო პოლკოვნიკი. სანამ ხელი არ დაადო მხარზედ, მანამ არც კი შეუტყვია იმი ი შემოსვლა.

ქოსტანცია საშინლად შეჰკრთა. წაელო გაზეთს ხელი და შეაგდო ბუხარში.

— ძარიშხალი თან-და-თან მატულობს, წაიბუტბუტა მან.

— ქოსტანცია, შენი ჭირიმე, უბრძანე, რომ მევისათვის ოთახი მოამზადონ, ჩემის აზრით, აღრინდელი თავისი ოთახი უჩვენია. იქმნება თან წამოვიყვანოთ. რადგან შენ შეუტრიგდები, მგონია წამოვიდეს.

— შენ ნუ შესწუხდები, ხვალ დილით მოვამზადებინებ ოთახს.

— ოჰ, ჩემო ქოსტანცია, რა მძიმე ტვირთი ჩამომხსენი ზურგიდგან... ახლა კი დავწევები, ძლიერ დაღალული ვარ. შევიდა იქვე ოთახში, მაგრამ ძილი არ მოსდიოდა. ნახევარი საათის შემდეგ ქოსტანცია შევიდა მასთან, პიადგა ლოგინს და ჩაჰკითხა:

— არ გძინავს, ჩემო კარგო?

— არა, ქარმა არ მომასვენა.

— დასაძინებელი წამალი ხომ არ გინდა მოგცე?

— ეს არის ახლა მინდოდა მეოხოვა, მომეცი, შენი ქირიმე!

პოლკოვნიკი ღაიზარტი ხშირად საჭიროებდა ამ წამალს. იქვე სტოლზედ იდგა წამლით კოლოფი. ძოსტანციამ აარჩია ერთი შუშა; ხელები უთრთოდა და გონება ისე გაბნეული ჰქონდა, რომ თითქოს უბრალო წყალიაო, ისე ასხამდა სტაქანში. რა იმისთანა გაუბრთხილებელი არსებაც უნდა ყოფილიყო, მაინც კი შეშინდებოდა ამის დაღვეინებაზედ, მაგრამ ძოსტანციას აღარ მოუკლოა იმისთვის. შუშა დადვა თავის ალაგას. შეურყეველის ნაბიჯით მივიდა საწოლთან და მიაწოდა სტაქანი.

— საკმაო ჩაასხი ხომ? ჰკითხა ქარმა.

— ზეყოფა.

მიიტანა ტუჩებზედ და ერთ ყლაპად გადაჰკრა, რაც იყო სტაქანში.

— ახლა კი დამეძინება.

ძოსტანციამ გამორეცხა სტაქანი, დადვა თავის ალაგას კოლოფთან, დაბრუნდა თავის ოთახში და მიუჯდა ბუხარს.

დაჰკრა ნაშუალამევის პირველი საათი. ძოსტანცია კადევ ბუხართან იჯდა და არც კი ჰფიქრობდა დაძინებას. სულ ყველა ოთახებში სამარის მსგავსი სიჩუმე სუფევდა.

დასასრულ ემაწვილი ქალი წამოდგა, წყნარად და გაუბედავის ნაბიჯით მიუახლოვდა ქმრის ოთახს, ცოტა ხანს შეჩერდა, ტანში ქრუანტელი უვლიდა, შემდეგ თრთოლით მივიდა ლოგინთან. მკრთალი სინათლე ანათებდა პოლკოვნიკი ლაიზარტის უძრავად მდებარე გეგმს. პოსტანციას სურვილისამებრ ჩააძინა ის წამალმა. მეუღლა ჩააჩერდა და ჩასძახა... ვერ გააგონა რა, მოჰკიდა ხელი, შეანძრია... არ იძვრის...

პრთი საშინელის ხმით დაიყვირა და ბნელი კუთხილამ თითქოს ბანი მისცა რალამაც: «მკვლელიო!»
 არა! ეს ტყუილად ჩაესმა ყურში.

— ლაიზარტ, გძინავს? უცნაურის ხმით ჩასძახა და წაველო ლოგინს ხელი, რომ თავი შეემაგრებინა.

ღიად, იმას ჩაეძინა ისეთის ძილით, რომლიდგანაც ვერაფერი გამოაღვიძებდა დედა-მიწაზედ. პოლკოვნიკი უძრავად იდგა გადმობრუნებული თავის მკვლელისაკენ. პოსტანცია გავარდა გოგოს ოთახში და გააღვიძა მიმი.

— ადექი ჩქარა და მოსამსახურეებს დაუძახე პოლკოვნიკი გადიცვალა.

— ზადიცვალა! ზაიმეორა გოგომ შეშინებულის სახით. ღმერთო ჩემო! შალბატონო, ასე უეცრად რა დამართა?

— სულელო, გაჩუმდი! დაუყვირა გაყვითლებულმა მისტრის ლაიზარტმა. ის დიდი-ხანია გულის ტკევილით ავადმყოფობდა.

XV.

როდესაც პოლკოვნიკი დაბრუნდა შორტეკიუსს სახლიდგან, მეგი ჩაფიქრდა და დაიწყო სჯა, თუ რა ახირებულს მდგომარეობაშია ამ ამბების შემდგ იმ კაცის სახლში, რომლითაგანაც იმას მშობლებს იმდენი უბედურება გადახდენიათ. მიტრის მაინტლენდი არ გამოდიოდა. თავის ოთახიდგან, არავის არ ნახულობდა, განსაკუთრებით მეგი. ამ რიგად მოვლი სახლი მეგის განკარგულებაში იყო.

შქანასკვნელი იჯდა ალი ფრით გაკრულს ოთახში და მეტის ფიქრისაგან თავი უსკდებოდა: როგორ უნდა იმოქმედოს? პირველი მისი დარდი ეს იყო. შეეძლო მთელი დღე და ღამე ისე გაეტარებინა, რომ მამა-მისი არ ენახა? მთელი ოც-და-ოთხი საათი! მ. ხომ ერთი საუკუნეა იმიოათვის!

— შემიძლია განა გავბედო ერთი წამი დაგვიანება? შეკითხებოდა თავის თავს. ბანა შემიძლია დავკარგო უნამყოფოდ ამდენი ძვირფასი დრო მხოლოდ იმასათვის, რომ ბიძა ჩემი უნდა მოუყადო? არა, ეს არ შეიძლება, ხვალამდის ჭკუიდგან შევიშლები. ბიძა-ჩემი მაპატიეებს. ის თვითონაც მიწვდება, რომ აღარ შემეძლო მოთმენა. რისთვის შევაწუხო ისა, როცა მე მარტოც შემიძლია ვიმოქმედო? როგორ მალე მოხუცებულა და დასუსტებულა საცოდავ! წყეული იყოს ქოსტანცია!

ქართული
ენების
მეცნიერება

მეგი შევიდა თავის ოთახში, გამოიცვალა ტანისამოსი და მოსამსახურეს უთხრა:

— მისტრის მაიტლენდმა თუ მიკითხოს, უთხარით, რომ ერთმა ჩემმა ნაცნობმა დამაიქა და საღამომდის ვერ მოვალ-თქო.

ჩამოიფარა სახეზედ პირ-ბადე და გასწია ჰენბერტონ-სკვერისაკენ. შურადღებით ათვლიერებდა აქეთ-იქით სახლებზედ ზედ-წარწერილებს. ბოლოს მოჰკრა თვალი ერთს იმათგანში: «რობინ ლეიტი, ნაფიცი ექილი და საქმეების მწარმოებელი».

ის ცოტა შესდგა და დაბრუნდა უკან, მაგრამ ცოტა ხნია შემდეგ მიარუნდა ისევ; შეალო კარები და ავიდა კიბეზედ. მართს წამის შემდეგ ის იდგა რობინ ლეიტის ოთახში.

მ, იქო მძვენიერად მორთული დიდი ოთახი, რომელიც ბევრად განსხვავდებოდა ადრინდელ რობინის სამუშაო ოთახიდან. შეელოდერს გასაშტერებელი სიწმინდე და თითქმის სიმდიდრის კვალიც ეტყობოდა. სტოლთან იჯდა ერთი ახალ-გაზდა და გულ-მოდგინედ სწერდა. მოსამსახურემ მიაწოდა სკამი მევის.

— მისტერ ლეიტი აქ დგას? შეწუხებულის სახით იკითხა მეგიმ.

— აქ დგას, მაგრამ ვილაც მთხოვნელი ჰყავს თავის ოთახში. ახლავ გამოვა, მიუგეს მევის.

უკანასკნელი უღონოდ დაეშო სკამზედ. ბავიდა რამდენიმე წამი, რომლებიც საათებად ეჩვენებოდა

მეკის, სანამ ახალ-ვაზდა დამცველი გამოვიდოდა თავის ოთახიდან. ზამოვიდა თუ არა და შეხედა მეგისა, უეცრად შეჰკრა.

— საქმეზედ გნებავსთ ჩემთან მოლაპარაკება? ჰკითხა მან.

— ღიად, თავისუფლად მინდა მოგელაპარაკოთ.

რობინმა შეიკანა ოთახში და ჩაიკეტა კარები. ლეტი სრულებით დამშვიდებულსა ჰგვანდა, მეგის გადაუარა სიწითლემ. მკრივეს უნებურად წარმოუდგა თვალ-წინ ის ზაფხულის დილა, როდესაც მეგი მოვიდა რობინთან გასაგებად, შემირთავთ ცოლად, თუ არაო.

— ზახსოვსთ ის დღე? სრემლ-ქვეშ ღიმილით ჰკითხა მეგიმ.

— ზახსოვს, — დამშვიდებით მიუკო რობინმა.

ახლა სხვა მიზნით იყო მისული, მაგრამ ისე უჭირდა თქმა იმ მიზნისა, რომ რამდენიმეჯერ დაიწყო და სიტყვები უყინდებოდა ტუჩებზედ. ბოლოს დასძლია და მოჰყვა:

— მე მინდა თქვენგან დახმარება. საჭიროებამ მომიყვანა თქვენთან. მთელს ქალაქში არაფინა მყავს, რომელსაც შემეძლოს მივმართო.

— შებედნიერებად ჩავსთელი თქვენს სამსახურს და დიდად სასიამოვნოა ჩემთვის თქვენგან ნდობის დამსახურება. ჩიტი შემეძლია სამსახური გაგიწიოთ?

— პოლკოვნიკი ღაიზარტი დაბრუნდა მერო-
 პიდგან.

— შიცი.

— თქვენ ნახეთ?

— ღიალ, დღეს დილით.

— სადა?

— აქ, ამ ოთახში, თქვენგან დაბრუნებული
 ჩემთან მოვიდა რალაც საქმეებისათვის.

— მაშ, თქვენ გეცოდინებათ ყველაფერი! წა-
 მოიძახა მეგიმ. შიამბოთ მამი-ჩემის ამბავი?

— შემოკლებით შიამბო.

მეგის უნდოდა დამშვიდებულიყო, მაგრამ სხვა-
 და-სხვა ფერი უვლიდა, როდესაც ჰკითხა:

— შითხრათ ჩვენი დღევანდელი ბაასი და
 ისიც, თუ რას ვაპირებთ ხვალ?

— ღიალ, ხვალ დილით ადრე მოვა, რომ წა-
 გიყვანოსთ მამა-თქვენთან.

მეგის ტუჩებმა დაუწყო თრთოლა, მიუახლოვდა
 რობინს და ხვეწნით უთხრა:

— რობინ, მე არ შემიძლია ხვალამდის ცდა.
 იმისათვის მოვედი თქვენთან, რომ შეგეხვეწოთ,
 წამყვეთ მამა-ჩემთან. თქვენ მხოლოდ ეს წარმო-
 იდგინეთ, რამდენი ხანია მამა-ჩემი იტანჯება მარ-
 ტოობაში! თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს სიცოცხლე-
 ში მამა არ მინახავს! შემიძლია განა მთელი დღე
 და ღამე ვიცადო კიდევ? სხრამეტი წლის განმავ-
 ლობაში ცოცხლად არის დამარხული და მისი

ერთად-ერთი შეილი ერთხელაც არ მისულა სანუ-
 გეშებლად. ზანა კიდევ შემიძლია ცლა? არა, ერთი
 წამიც არა!

ამ სიტყვებით, ვედრების ნიშნად, ხელი გაუშ-
 ეირა რობინს, რომელმაც ჩამოართვა და მაგრად
 მოუჭირა ხელი.

— თქვენ მართალი ხართ. როდის გნებავსთ
 წახვიდეთ?

— ახლავ, თუ დრო გაქვსთ.

— მე მზათა ვარ.

— როგორ გგონიათ, მისს პრიუ არ წამოვა
 ჩვენთან?

— რატომ არა, წამოვა, ახლავე შეგიყვანთ
 მასთან.

რობინი შევიდა მეორე ოთახში, გასცა რამ-
 დენიმე განკარგულება, შემდეგ ჩასხდნენ კარეტაში და
 გასწიეს. ბზაში ერთი სიტყვა არ უთქვამსთ არცერთს.
 საჩქაროდ უამბეს მისს პრიუს ყველაფერი სახლშივე და,
 თუმცა იმას ახრათაც არ მოუვიდოდა, რომ ქალისა-
 თვის შესაძლებელი იქმნებოდა სატუჟალოში შესვლა,
 მაგრამ იმისათვის, რომ ვისმეს დახმარებოდა, და გან-
 საკუ თრებით მეგის, ის მზად იყო ყოველთვის.

— მაშ, თუ შილიპე ბარმინი არ არის დამნა-
 შავე, რასაც არაფან არ დაიჯერებს, აბა ვის
 უნდა მოეკლა აგნესა შეროლი? ჰკითხულობდა მისს
 პრიუ.

— მე ისეთი კითხვაა, რომ ახლა ძნელია მაგის პასუხის მოცემა, მიუგო ლეიტმა. იმედი ვიქონიოთ, რომ მოვესწრებით, დარწმუნებით ეუბას უხოთ მაგ გვარ კითხვებს.

რობინმა დაასხა პატარა სტაქანში ღვინო და მეგის მიაწოდა.

— ღლიეთ, თორემ ისეთი შეხედულება გაქვსთ, რომ გაგიჭირდებათ მამა-თქვენის შეხედრის ატანა.

მეგიმ დასრულა იმისი თხოვნა. შამოსელის დროს მისს პრიუმ ჩაიხუტა ის გულში და უთხრა:

— შამაგრდით! ღმერთი გიწინამძღვრებსთ დღეს, ჩემო კარგო! მინ იცის, იქმნება განგებამ აგარჩიათ თქვენ მამი-თქვენის გამოსახსნელოდ.

რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ საპატიმროს, იმდენად მომეტებულად უცემდა მეგის გული. ძარეტამ შემოუხვია და გაჩერდა სატუსალოს ზედამხედველის კარებთან.

— თქვენ აქ მომითმანეთ ცოტა ხანს, უთხრა რობინმა და გადახტა კარეტიდგან.

— იქმნება მოჰყვდა კიდეც! ძანკალით წამოიძახა მეგიმ. სამი წელიწადია, პოლკოვნიკს მისი ამბავი არ გაუგია.

— რას ამბობთ! მუხნებოდა მისს პრიუმ და სცდილობდა დაემშვიდებინა.

— იქმნება ნახვის ნებაცარ მომცენ!

— თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მამა-კაცებს ქვის გული აქვსთ, მაგრამ თქვენს შემოხედვად ზედ ქვაც კი გაღებება.

ლეტი მალე დაბრუნდა, მოჰკიდა მეგის ხელი და ჩამოიყვანა კარეტიდგან.

— მაშ, ის ცოცხალია? ნება მომცეს ნახვისა? აჩქარებით ეკითხებოდა ქალი.

— ღიად.

— ღმერთო შემიწკალე! ჩურჩულებდა მისს პრიუ და მისდევდა ყმაწვილ გოგოსავით უკან. სამნივე შევიდნენ ზედამხედველის ოთახში, სადაც იჯდა სატუსალოს უფროსი და თვით ზედამხედველიც.

მს უკანასკნელი იცნო მეგიმ. მს ის იყო, რომელიც პოლკოვნიკთან მოვიდა ბიჩ-ბოლგეში და რომელსაც ღაიზარტი ეუბნებოდა: «ის მართალია, არ ჯრის დანაშაულით». ბაკვირებულის შეხედა მან მეგის, როცა რობინი და ის შევიდნენ ოთახში.

შანჯარასთან იდგა სტოლი ზედამხედველისათვის და მაზედ გატენილი ტამბაჩა, რადგან ზედამხედველი მუდამ საშიშარს მდგომარეობაში იყო. ამ ადგილიდგან ის უყურებდა, როცა ტუსალებს გამოიყვანდნენ. სასეირნოდ, ან სამუშაოდ.

რობინმა მიიყვანა მეგი სკამთან.

— ბქ ვნახავ იმას? წასჩურჩულა მეგიმ.

— ღიად, ახლავე მოიყვანებენ სამუშაოდგან.

სატუსალოს უფროსი გაკვირვებით მიჩერებოდა მეგის ლამაზს და შეწუხებულს სახეს. რამდენიმე წამის შემდეგ გაიღო კარები და შემოვიდა ორი კაცი — სატუსალოს მცველი და ტუსალი, სხვილი მაუდის ტანისამოსით ჩაცმული.

ტუსალი იყო მაღალის, ტანისა უდროოდ მო-
ხუცებული. შილიზე ბარმინი იქნებოდა ორმოცდა-
ათის წლისა, მაგრამ დარდისა და მწუხარებისაგან
ოთხმოცის წლისას დამსგავსებოდა. პატარა, ჩამომხ-
მარს და მშვენიერს დაწყობილს სახეზედ ცხადად
ეტყობოდა კეთილ-შობილება. ღიდრონს, ლამაზს
თვალეში გამომეტყველებდა მორჩილება, რომელიც,
სჩანდა, რომ დიდი ხნის უბედურებასთან ბრძოლით
შეეძინა. ძირზედ დაკრეჭილი თმა სრულებით გა-
თეთრებოდა, მაგრამ ისეთი მიმზიდველი შეხედუ-
ლება ჰქონდა, რომ აგრძნობინებდა უპირატესობას
არა თუ მცველებს, არამედ იმათაც, ვინც კი მასთან
ერთად შემოსულა სატუსალოში.

მეტი წამოხტა იმის დანახვაზედ და ცივმა ოფ-
ლმა დაასხა. რობინი და მისს პრიუ მაშინვე გავიდ-
ნენ ოთახიდგან; ვერც ერთს ვერ გაეხედნა მამა-შვი-
ლის შეჩვედრაზედ დასწრება. მცველიც გაჰყვათ
თან და ზედამხედველმა ზურგი შეაქცია.

— მამა, ჩემო მამა! საშინელის ხმით წამოიძა-
ხა მეგობ და მივარდა ტუსაღს.

ამ ხმამ და მშვენიერის ფერ-მკრთადი სახის შე-
ხედვამ ისეთი გავლენა იქონია მოხუცზედ, თითქოს
დამბლა დაეცაო.

— შეილო, ჩემო შეილო! რად მოსულხარ აქა?

მართი წუთის განმავლობაში გაშტერებული
მისჩერებოდნენ ერთმანერთს. მათი სახე გამოუთქმელს
გრძნობებს გამოხატავდა; შემდეგ ქალიშვილი გა-



დაეხვია და დაუწყო უანგარიშოდ კოცნა პირის სახეზედ და ტუსალის ტანისამოსზედ. მამა. იხუტებდა გულში და მხურვალედ ჰკოცნიდა.

— შენ გენაცვალე, ჩემო შვილო! ჩემის აგნესას შვილო! რამ მოგიყვანა ჩემთან სატუსალოში? ღიზარტი აქ არის, თუ არა? რატომ არაფერს მატყობინებდა შენსას ამ სამის წლის განმავლობაში? ღმერთო ჩემო, რა ნაირად გაგრძელდა ჩემთვის ეს სამი წელიწადი!

ზარმინი მთელი ტანით კანკალობდა, მეგვიმ შეატყო, რომ ერთობ დასუსტებულია, მიიყვანა სკამთან და დააჯდინა.

— პოლკოვნიკი არ მომყოლია, შენი ჭირიმე! რამ მომიყვანა შენთან? არა სჯობია ისა მკითხო, რატომ აქამდის არ მოვედი, რატომ უფრო ადრე არ გნახე, მაშინ როდესაც ვიცოდდი, რომ მამა მყავდა? მომიტევე, ჩემო მამა! მომიტევე! მხოლოდ დღეს შევიტყვე, რამდენი ტანჯვა გამოგივლია.

მწარის ტირილით გადაეხვია და დაუწყო კოცნა გაქალარებულს თავზედ. რამდენიმე ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამსთ ერთმანერთისათვის, ამ მოხვეწილებამ ისე უნიტყვოდ შეათვისა ამდენი ხნის დაშორებული მამა-შვილი.

— რა ნაირად გეცხარ, შვილო, დედა-შენს, უჩურობებდა დასუსტებული მამა. შენი სურათი მაქვს მე, მარტინმა მომიტანა.

— მე აღარ გკითხავ, ვიამბო, თუ არა ღიზარტი-

მა ჩემი ამბავი. რომ რამე ეთქვა, შენ წამოხვიდოდი ჩემს სანახავად.

— შევლაფერი მიაშობო და დავიფიცე კიდევ, რომ საქვეყნოდ დავამტკიცო შენი სიმართლე და განგათავისუფლო ამ საშინელი მდგომარეობიდან.

ზარმინმა გაიქნია თავი, რომელსაც ისეამაყად ატარებდა ერთ ღრეს და შეწუხებულის სახით მიუგო:

— საბრალო ჩემო შეილო! შენ თვითონ არ იცი, რას ლაპარაკობ; მე დარწმუნებული ვარ, რომ პოლკოვნიკი არ აგაგულიანებდა შენ. მე უნდა ვიცოცხლო და მოვცდდე ამ კედლებს შუა. მხოლოდ იქ, საშინელის განკითხვის დღეს დამტკიცდება ჩემი სიმართლე.

— არა, ჩემო მამა, აგრე არ იქმნება, ეუბნებოდა მეგი და უსვამდა თავზედ ხელსა. ღმერთო ჩემო, რამდენი მწუხარება გამოიარე, ჩემო ძვირფასო!

— მაგრამ კიდევ ცოცხალი ვარ. და, ღვთის მადლით, ჭკუა არ დამკარგვია.

— იმას მაინც ნუ იტყვი, გენაცვალე, რომ შეეთვისე და დამემორჩილე უსამართლო ხვედრს!

— მე შევეჩვიე ავითანო და მოვითმინო ცოცხელ-გვარი ნაკლულოვანება, დაღონებულის ხმით მიუგო მამამ. შენ ნუ გგონია, ჩემო კარგო, რამე გაარიგო ჩემთვის; დიდი ხანია შეველის დრო წავიდა. ახლა, ჩემო ძვირფასო, შენი ამბავი მიაშობე, მიაშობე, როგორ სცხოვრებ ღაიზარტთან? მარტინმა ახლა-ხან შეიტყო, რომ პოლკოვნიკი სამგზავროდ წასულა. ის

გამოვგზავნე შეეტყო შენი ამბავი და სახლები და-
 კეტილი დახვედროდა. თუმცა დიდი ხანია ჩემი მე-
 გობრის არა ვიცი რა, მაგრამ დარწმუნებული ვარ,
 რომ ის შენთვის ზრუნავდა.

— შე აღარ ვსცხვარებ პოლკოვნიკთან, უთხრა
 მეგამ და დაუფარავად უამბო ყველაფერი, რაც კა
 გადახდოდა, ისიც, თუ როგორ შესცდა და გაიტაცა
 სიყვარულმა. მრთხელაც არ შეუწყვეტინებია ლაპა-
 რაკი, ისე ყურადღებით უსმენდა მამა. მაგრამ როცა
 შორტესკიუ ახსენა, ერთი საშინლად შეჰკრთა და
 ჩაიხუტა გულში. უამბო შორტესკიუსაგან დანიშე-
 ნა და მიზეზი, რისგამოც იძულებული იყო მიეღო
 მისი წინა-დადება, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა პოლ-
 კოვნიკი, რომლისგანაც შეიტყო ყველაფერი საი-
 დუმლო. შეტრად მეგამ შენიშნა, რომ მამა მისი
 საშინლად დასუსტდა, მკვდრის ფერი ჩაეღო და
 უგრძნობლად დაეცა დედა-მიწაზედ.

მეგამ დაიკივლა საშინელი ხმით და წააელო ხელი
 ზედამხედველმა მიაწოდა წყალი, მეგამ საჩქაროდ
 მიაღო სტაქანი ტუჩებზედ. საცოდავმა მოხვია ქალს
 ხელი და ჩაიხუტა გულში, თითქოს ეშინოდა არა-
 ვინ წამართვასო.

— მართალია, მამა, რაც პოლკოვნიკმა მიაბო?
 მკითხებოდა მეგი.

— თავიდან ბოლომდის. მამ, ჯეროდ
 შორტესკიუ შენი საქმრო იყო? ოო, ლმერთო!
 ეს ნამეტანია! მე შენ ისეთი რამ უნდა გითხრა, რა-

მელიც პოლკოვნიკს აზრათაც არ მოუყვებოდა. ეს საიდუმლო იყო მიზეზი, რომ შორტესკიუზედ ისე ბრძად ვიყავი მინდობილი და რომლის გამოც ვსძულდი იმას ის, საშინლად. პოლკოვნიკმა ხომ ვითხრა, რომ ის მამი-ჩემის გაზდილია?

— ღიად.

— ეს კიდევ ცოტაა. ის მამა-ჩემის უკანონო შვილია და, მაშასადამე, ჩემი ძმა. ეს თვითონ შორტესკიუმ მითხრა, როდესაც დღეელი გვექონდა დანიშნული, რომლის გამოც უნდა გამხდარვიყავით ერთ-ერთი ძმის მკვლელი. დასამტკიცებლად მაჩვენა მამი-ჩემის ბარათი, რომლითაც დავრწმუნდი, რაშიდაც იქვი მქონდა. ჩემს დაღუპვას ჩემს თავსვე უნდა ვუმადლოდე.

— მაშ, ის შენი ძმაა! აღელვებულის ხმით წამოიძახა მეგრამ. ეს ნათესაობითი კავშირი კიდევ უფრო საზიზღარ შეხედულებას აძლევს მის დანაშაულობას. ჩემდამი მისი სიყვარული და აღერსი... ოჰ, ღმერთო, აღარ შემეძლია ამის მოგონება!..

შილიბემ კიდევ უფრო მაგრად ჩაიკრა ის გულში და მწუხარებით განაგრძო:

— მან ამოაგნო ჩენი საწყაული უბედურებით, სიმდიდრე რომელიც გარს ახვევია და რომლითაც სტკბება, ჩემი საკუთრებაა, რომელიც მომპარა გაიძვირულის მოქმედებით, მომაკლო ის ძვირფასი სამკაული, რაც კი ამშვენებდა ჩემს სიცოცხლეს. შენი თავი მცირეწლოვანი ჩამიგლო სხვის სიბ-



რალულსა და მოწყალებაში. რა იქმნებოდა შენი მდგომარეობა, რომ ღაიხარტი არ გაგჩენოდა? შორტესკიუ რომ არ გამჩენოდა, მე დავიფლობდი იმ ქალის გულს, რომელიც ერთ დროს ისე მიყვარდა... ჩემო შეილო, მკვლელი რომ გგონებოდი, ხომ არ მნახავდი?

— არა.

— დედა შენი ჩემს სიცოცხლეს მერჩია. მე ვერ შევახებდი იმას ხელს.

— ღარწმუნებული ვარ მაგაში.

— მადლობა ღმერთს! მე ვერ ავიტანდი, რომ შენი პირიდგან სხვა გვარი განაჩენი გამეგონა.

— მან არის, მამა, მკვლელი? ჰკითხა მეკიმ და გაშტერებით მისჩერებოდა თვალებში.

— არ ვიცი და ამ მდგომარეობაში მყოფი ვერც შევტყობ. საკმაო დრომ გაიარა მას შემდეგ, მაგრამ არაფერი აიხსნა. მე დარწმუნებული ვარ, არის კაცი, რომელმაც იცის ყველაფერი და, რომ უნდოდეს, ახსნის კიდევ... მაგრამ არ მოინდომებს. ჯეროლდ შორტესკიუს შეუძლია გამიღოს სატუსალოს კარები.

— სწორედ ისე მელაპარაკები, როგორც პოლკოვნიკი. შენ ფიქრობ, რომ შორტესკიუს მოკლულია დედა-ჩემი?

— ჩემო შეილო! მე იმდენი ვიფიქრე მაგ საგანზედ, რომ გასაკვირველია, რატომ ჰკუთიდგან არ შევიშალე დედა-შენის მკვლელობაში არ ვამტყუნებ შორტესკიუს, მაგრამ, როგორც პოლკოვნიკი,

ისე მეც ვფიქრობ, იმან იცის ამ საღუმლოს გასა-
ღები. იცოდა მაშინ, როცა გადამიწყვიტეს სიკვდი-
ლით დასჯა, როცა მართმევდა საცხოვრებელს და
როცა დამეჭმო საუკუნოდ ამ სასათუღაოს კარები.

— თუ აგრეა, ის კაცი კი არა, სატანა ყოფილა!
წამოიყვირა მეგიმ.

— სოტას ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძო
შილიბემ:

— ჩემო შეილო! ჩემი სურვილია შენ დაუ-
ყოვნებლად დაბრუნდე პოლკოვნიკთან. მიდი ისევ
იმასთან, იმის მეტი გულის შემატკივარი შენ არა-
ვინა გყავს.

— ჩემო მამა, შენი ჭირივე, მომეცი ნება დავრ-
ჩე შორტესკიუს სახლში, სანამ ერთი ხეირიანად არ
მოველაპარაკები. დარწმუნებული ვარ, მაულტრი
უამბობდა ჩემს ისტორიას. პირობას გაძლევ, იმის
დაბრუნების შემდეგ გადავიდე პოლკოვნიკთან.

— რას გარიგებ, რაში გინდა იმისი ნახვა?

— მინდა მოვსთხოვო შენი საცხოვრებელი,
რომელიც ცხრამეტი წლის წინათ წაგვართვა, მინდა
ავხსნა დედა-ჩემის მკვლელობის გარემოება.

— შრთხილად იყავი, ჩემო შეილო! შეიძლე-
ბა შენდამი სიყვარული სიმძულვარედ გადაექცეს,
როცა შეიტყობი, რომ ჩემი ქალი ხარ.

— შორტე კიუსი მე არ მეშინია, იმას კი უნ-
და ეშინოდეს დღეია შემდეგ ჩემი, მიუგო გაბრაზე-
ბულის სახით მეგიმ. შემდეგ დამბვილდა, მოეხვია



მამის გამხდარს სხეულს და გამოუთქმელი ალერსით განაგრძო:—ჩემო საბრალო, ჩემო უბედურო მამა! ზეფიცები, შემოგწირო ჩემი სიცოცხლე! ზეფიცები, გადაესწმინდო სირცხვილისა და გაუპატიურების ჩირქი შენს სახელს.

— ნუ მოტყუილდები, ჩემო შვილო, აგრე! მიუგო მამამ და დაუკოცნა პირის სახე. მე უკვე დიდი ხანია დაგკარგე შევლის იმედი. ჩემი ლეთისადმი სავედრებელი ახლა მხოლოდ ის არის, რომ შენ განათავისუფლოს იმ კაცის ხელიდგან. შენ ვერ წაართმევ ნაცარცეს და ვერ გამოტყუილებ იმ საიდუმლოს.

ამ დროს საათმაც დაჰკრა.

ახლა კი დროა შენი წასვლისა, შვილო! ამო-ოხვრით უთხრა მამამ. მეტს დროს აღარ მომცემენ. ნუ დაიმწარებ სიცოცხლეს და ნუ დასდებ უბრალოდ აღთქმას ჩემი გამოხსნისათვის. შენი ყვაფილოვანი სიყმაწვილე უიმისათაც დასჯილია. იმედი მაქვს, ღაიზარტიკ ჩაგაგონებს. დაუჯერე იმას. ლმერთი იყოს შენი შემწე და მუარველი, ჩემო ძვირფასო! ახლა უნდა წახვიდე.

მომცემ ნებას, რომ ხშირად გნახო? მკითხებოდა თვალ-ცრემლიანი მეგი.

— არა, გენაცვალოს მამა! მე ძლიერ შემაწუხებს შენი ნახვა ამ საშინელს სახლში. სად არიან შენი მეგობრები, რომლებმაც მოგიყვანეს?

— მეორე ოთახში მიცდიან. ისინი არიან ის

კეთილშობილნი, რომლებთაც მიმიღეს და მინათ-
რონეს ბლექ-მავენში. ღაიზარტის შემდეგ მაგათ
მეტი მეგობარი არა მყავს.

ზარმინი ეხვეოდა, ჰკოცნიდა და თან ნალელი-
ანად ეუბნებოდა:

— სხრამეტი წელიწადია არ მინახავს პოლკოვ-
ნიკი. მე მეგონა, ამ მდგომარეობაში მყოფი
ვერ ავიტანდი იმის ნახვას, მაგრამ ახლა შე-
მეცვალა აზრი; შენმა ნახვამ ხელ-ახლად განმიახლა
კავშირი ქვეყნიერებასთან. სთხოვე ჩემს მეგობარს,
მნახოს და ნუ დაივიწყებ, რომ ვერ მოვისვენებ მანემ-
დის, სანამ არ შევიტყობ, რომ შენ იმის მზრუნვე-
ლობაში ხარ.

— ჩემი დარდი ნუ გაქვს. მე გამოვეგზავნი პოლ-
კოვნიკს, მაგრამ სანამ წავიდოდე, მითხარი, რომ
მაპატივე ამდენი ხნის გულ-გრილობა და უზ-
რუნველობა.

— სულითა და გულით მაპატივებია, ჩემო
კარგო!

ძიღვე გაღაეხვიენენ ერთმანერთს და მეგიგამო-
ვიდა, სადაც უცდიდნენ რობინი და მისს პრიუ.

XVI

— შეიძლება წავიდეთ? ჰკითხა რობინმა და
თვალს არიდებდა ნამტირალევეს სახეს მევისას.

— შეიძლება.



მღუმარედ ჩასხდნენ კარეტაში და გასწიეს.

— შევტყვევევლაფერი, შორტესკოუ მამი-ჩემის ძმა ყოფილა, სქთვა მეგიმ და სიტყვა-სიტყვით გადასცა რობინს და მისს დას შილიბე ბარმინის ნამბობი. ლეტი ისმენდა დამშვიდებულის სახით, ხოლო მისს პრიუ შეშინებული იძახდა:

— ჯეროლდ შორტესკოუ ნამდვილი სატანაა, მხოლოდ სახე აქვს ადამიანის. ამისთანა კაცი მსაჯული და პატივცემულია მთელი საზოგადოებისაგან. რა საშინლებაა, რა საზიზღრობაა! ოჰ, მამა-კაცებო! მგლებიხართ ადამიანის ქერქში გახვეული.

— მისს ბრეი! ნუ თუ კიდევ შორტესკოუს სახლში გინდათ დაბნურდეთ? ჰკითხა რობინმა.

— საჭიროა, დამშვიდებულის სახით მიუგო მეგიმ.

— სიტყვა მაინც მოგვეცით, რომ თუ რაიმე დახმარება დაგჭირდებათ, შეგვატყობინებთ.

— სიამოვნებით გაძლევთ მაგის პირობას.

ბამოსალმების დროს მეგიმ ვაუშვირა ხელი რობინს და უთხრა:

— ჩემი ბრწყინვალე მოლოდინი ჩაიფუშა! ღირსეული სასჯელი მხდება ვანა? ოჰ, როგორ მეზიზღება ახლა ჩემი თავი!

სახლში საშინელი სიჩუმე მეფობდა. მისტრის მაიტლენდი არ გამოდიოდა ოთახიდან. სუფრა აულაგებელი დახვდა მეგის და თუმცა სატუსალოს მოგონებამ სრულებით წაართვა მადა, მაგრამ, მოსამ-

სახურებს რომ არაფერი შეემჩნიათ, მაინც მოითხო-
 ვა საქმელი. ჯერ სადილი არ გაეთაფებინა. რომ
 შემოუტანეს ღაიზარტის ტელეგრამმა. რამდენჯერმე
 გადაიკითხა, მაგრამ მაინც ვერ გამოაცვლევინა მისი
 განზრახვა. «პრა, ბიძა ჩემო! მე არ შემძლია ავას-
 რულო შენი თხოვნა, ცოტა ხანს უნდა დავრჩე აქა.
 ჯერ უნდა გავასწორო ცოტათი მაინც საიმედო
 საქმე; მომიტევე, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო
 ბიძიავ, რომ ვერ გეთანხმები.»

ამ სიტყვებით შევიდა თავის ოთახში და გა-
 ერთო ღრმა ფიქრს.

მაშ, ეს სახლი და ეს სიმდიდრე ეკუთვნოდა
 შილიძე ბარმინს! თუ სამართალია სადმე, ამისთანა
 ბოროტება არ უნდა დარჩენილიყო დაუსჯელად.
 მეგის სტანჯავდა მამის სიბრალოული და მზად იყო შეე-
 წირა მისთვის მთელი თავისი სიცოცხლე. შეცრად
 მოესურვა შეეხედნა დედა-მისის სურათისათვის, მაგ-
 რამ ნუ თუ ის უნდა შესულიყო შორტესკიუს
 საწოლ-ოთახში, სადაც სურათი ეკიდა! პრა, არ
 უნდა შესულიყო, იქ შესვლა არ შეეძლო.

ჩამოჰკრა ზარას ხელი და შემოვიდა მოსამსა-
 ხურე დედა-კაცი.

— სარრა, მსაჯულის ოთახში რომ ქალის სურ-
 რათი ჰკიდია, არ შეგიძლია იმისი ჩამოღება და
 მოტანა ისე, რომ არაფერ შეიტყოს? ძალიან გულით
 მინდა ახლოს გავსინჯო.

შველა მოსამსახურებს და განსაკუთრებით
 სარრას ძლიერ უყვარდა მეგი.

— ახლავე მოგარმთვეთ, მარდად მიუგო მოსამსახურემ და მაშინვე მოურბენინა სურათი.

— ღადგი ძირს და დამტოვე მარტოკა, უთხრა მეგემ.

მკროთ მოვარაყებულს რკალში ჩასმული სურათი იღვა ტახტის წინ და მეგი მისჩერებოდა მკმუნვარე სახით მამა-მისის ნამუშევარს. მოწყენილი თვალები სურათისა რალაც იღუმლის სახვედურით მისჩერებოდა ქალიშვილს და მკრთალი სინათლე ისე ციმციმობდა იმის სახეზედ, რომ მეგის ეგონა, თითქოს ჩურჩულობსო. ამ დროს გამოვარდა ლილიანის პატარა ძაღლი და დაუწყო ლაქუცი მეგის. მთელი დღის განმავლობაში არ მოჰკონებია ამ უკანასკნელს ლილიანი და ღანტონ მაულტრი. ახლა უეცრად წამოუდგა თვალ წინ, რომ ის მემკვიდრა არის ამ მღვდარი მებატონისა, რომლის დიდებასაც მიესყიდა ღანტონ მაულტრი. თუ მოახერხა მამის გამოხსნა და ფორტესკიუს უსინიღისოთ ნაცარცვის ხელიდგან გამოგლეჯა, მაშინ ვერაფერ სანატრელს მდგომარეობაში იქმნება მაულტრი. ღიდ ხანს, დიდხანს უყურებდა მეგი სურათს და შემდეგ დაუძახა სარრას:

— წაიღე უკანვე ეს სურათი!

ღედა-კაცს გაუჭირდა იმის აზიდვა.

— საშინელი მძიმეა, ქალბატონო, ძლივს ჩამოვიღე კედლიდგან.

— ძარგალ დაჰკიდე, იცოდე, არ მინდა გაიგოს ვინმემ, რომ მე ჩამოგაღებინე ეგა.

— ბატონი ბრძანდებით.

სარჩამ დასძრა სურათი თუ არა, უცერად წამოიძახა:

— ღმერთო ჩემო, რალაც ინძრევა შიგა!

— სადა? მომეცი ერთი დაეხედო! შესძახა მეგობ.

— ღარწმუნებულნი ვარ, რომ არსაით არაფერი ჩამომიმტვრევია. ეს ხმაურობა, როცა კედლიდგან ვხსნიდი, მაშინაც მომესმა.

— აბა, კიდევ დაანძრე! აღელვებულის სახით უთხრა მეგობ.

სარჩამ აღასრულა ბრძანება და კიდევ მოიხმა შრიალის ხმა.

— ბესმისთ? ნეტავი, რა უნდა ი ოს შიგა? ნუ თუ თავგი შეძერა საიდგანმე? მსაჯული არ გვამღვეს ნებას, გავსწმინდოთ და ან ხელი ვახლოთ ამას.

— სარჩა, ცოტა ხანს კიდევ დასტოვე ეგ სურათი! ნუ გეშინია, არავისგან საყვედური არ მოგხვდება მაგისათვის. როცა საჭირო იქმნები, მე დაგიძახებ.

ღარჩა თუ არა მეგი მარტო, დაუწყო ხინჯვა და მალეც გამოაჩინა სასწაული: სურათსა და უკან ფიცარს შუა იყო ცარიელი ალაგი, სადაც იდგა რალაც მაგრად. ან უნდა ძვირფასი ნივთი ყოფილიყო და ან შესანიშნავი რამ.

საჩქაროდ ამოიღო ლილიანის სტოლის უჯ-
 რიდგან პატარა დანა, გასჭრა მაუდი, რომელიც
 რკალს ჰქონდა გადაკრული მეორე მხარეს და ჩახედა,
 სადაც დაინახა რაღაც პატარა, წითელი საგანი. საჩ-
 ქაროდ ჩაჰკრა ხელი, ამოიღო ერთად შეკრული ბა-
 რათები, დიდი ხნის შენახულობით გაყვითლებული
 და პატარა წითელი წიგნი ოქროს საჩაზით. საში-
 ნელის გულის კანკალით გახსნა მეგიმ ეს წიგნი,
 რომლის პირველ ფურცელზედვე წაიკითხა, «პენესა
 შეროლი.»

მეგი არ უჯეროდა თავის თვალებს. აღელვე-
 ბული ატრიალებდა წიგნსა და წერილებს. ღიად, ეს
 ის დღიური იყო, რომელსაც ისე გულ-და-გულ
 ეძებდნენ გამოძიების დროს. ჯეროლდ შორტეს-
 კიუს განგებ შეუენახავს იმისთანა ადგილს, რომ ვერა-
 ვის მიეგნო.

იმ დროს, როდესაც შილიპე ბარმინი მტყუნ-
 დებოდა მსაჯულებისა და მოსამართლეების წინ,
 მისი მტერი გულ-და-კულ ინახავდა საბუთებს, რომ-
 ლითაც შეიძლებოდა იმისი გამართლება, რომლებ-
 თაც ისე დაეძებდნენ მისი მეგობრები.

მეგი წამოდგა, საჩქაროდ შეინახა დღიური და
 ბარათები სტოლის უჯრაში, შემდეგ დაუძახა სარ-
 რასდა გაატანა სურათი. ბაიხურა დედა-კაცმა კარები
 თუ არა, მივარდა უჯრას, რომ კარგად გაესინჯა
 ნაპოენი. პირველად გახსნა ბარათების კონვერტი.

პირველი წერილი იყო დაწერილი აგნესას ჯვარის წერამდის, პარიჟიდგან. აი რას სწერდა:

«შადლობთ ყვაეილებსათვის. მამა ძლიერ გამიჯავრდა, როცა მივიღე და ამიკრძალა, რომ კელავ აღარ მივიღო რამე თქვენგან. ამოდ გავახსენე ის ღრო, როდესაც თქვენ მოძიყვანეთ ეს დაკოდლი და ისე ზრუნავდით ამასათვის. პრაფერი არ შეისმინა, ისე სძულხარ თ. თუმცა ჩვენ ისეთი ღარიბები ვართ, რომ ღმერთმა იცის, რითი ვრჩებით, მაგრამ ამის თვალში სიღარიბე ერთი იმ ნაკლოებათაგანია, რომლის მიტევებაც არ შეიძლება. ღლეს ჩვენთან ისადილა ერთმა ამერიკელმა ყმაწვილმა, რომელიც ძლიერ მდიდარია, განათლებული და ლამაზიც. მწოდება შილიპე ბარმინი. ძლიერ ყურადღებას მაქცევდა მე და მამა-ჩემიც ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ღარწმუნებული ვარ, ის განაგრძობს ჩვენს ნაცნობობას. ბული მიკვდება, რომ ვერ გამოვტეხივარ მამა-ჩემს თქვენს სიყვარულში. ძლიერ ავი გულისაა და მეშინია მისი გაჯავრების. მე ვშიშობ: ვაი თუ შილიპე ბარმინს მიმათხოვოს. ღმერთო, დაგვიფარე!»

მეორე ბარათში სჩნდა, რომ ბარმინს უთხოვნია აგნესასთვის ხელი და მამის ბრძანებით უნდა გაჰყვეს. სხვათა შორის სწერდა:

«შენ მწერ, რომ გამოეუტყდე შილიპე ბარმინს ყველაფერში და სამუდამოდ დაერჩე შენი ერთგული. მე ვერ გამიბედნია ესა. მამა-ჩემის ბედი და



უბედურება ამ ქორწინებაზეა დამოკიდებული და მე იმდენად ვიცნობ იმის ხასიათს, რომ არ შემიძლია წინააღმდეგობა გაეუწიო. ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო, მომიტევე, რომ სამუდამოდ უნდა გამოგეთხოვო.»

რამდენიმე ბარათებში სჩნდა სასოწარკვეთილება, რომელიც ამტკიცებდა აგნესას სუსტს ხასიათს. ჯვარის წერის წინათ მიწერილს ბარათში საუკუნოდ ეთხოვებოდა შორტესკიუს. მხვეწებოდა, თავი დამანებეო და ცხოვრების გზას ნუ გადამიღობამო. ამის შემდეგ ორი წლის გათხოვილს გაუახლებია მიწერ-მოწერა შორტესკიუსთან შემდეგის სახით:

«თქვენ შეუბრალებლად მტანჯავთ და მდევნით მე არ შემიძლია ამის მოთმენა. თუ გყვარებივართ როდისმე და თუ გაქვსთ ერთი ნამცეცა ჩემი პატივისცემა, დაანებეთ თავი ჩვენსას სიარულს. ნურც ივლით იქ, სადაც მე დავდივარ. ნუ ჩაუღებთ საზოგადოებას ჩემზედ ცუდს აზრს. წარსულს საღამოს მისტრის შორენისას ძლიერ უწესოდ მექცეოდით. ნუ თუ საკმაოდ არ ვარ დასჯილი და უბედური! ბინდათ ჭკუიდგანაც შევიშალო? ღაჩოქილი გვევლრებით, ნუ მომეკარებით სიახლოვეს, ნუ დამელაპარაკებით. დამალვა არსად შემიძლია, არც არავინა მყავს დამცველი. იყავით სულ-გრძელი! ღედა-მიწა თართა, მოსძებნეთ სხვა ქალაქი, სხვა პატივი და დიდება. წადით, მომშორდით, რომ არ დავინახო თქვენი სახე. მე მომბეზრდა სიცოცხლე და მზათა ვარ

გამოვესალმო მას. იმ ქალს, რომელსაც არ შეუძ-
ლია ქმრისა და შვილის სიყვარული, არა აქვს სი-
ცოცხლის უფლება, ის პირუტყვია. მომიმართავს
თქვენნი გულ-კეთილობისა და სულ-გრძელობისა-
თვის. ნულარ მტანჯავთ. შილიბეს აქვს თქვენი
ნდობა. მუდამ გეპატიჟებათ, რითაც ისე ავიწროებს
ჩემს მდგომარეობას, რომ აღარ შემიძლია ავიტონო
და ვერც გამოვტეხივარ.»

«ჩემი სულ-მდაბლობისა და უბედურების საწ-
ყაული ამოივსო. მე წაფიკითხე ბარათი, რომელიც
თეატრში ჩამაჩიხეთ ხელში. ღმერთმა ხომ იცის,
რომ არ ვფიქრობდი, თუ ასე დავეცემოდი სულით.
თქვენ თხოულობთ დავაგდო სახლი ჩემი ქმრისა,
შვილი და მდგომარეობა რომელსაც თუმცა ბედ-
ნიერება არ მოუცია ჩემთვის, მაგრამ დამიმსახურა
საზოგადოების ყურადღება და წამოვიდე თქვენთან.
არა, ათასჯერ არა! იქვე არ არის, მე სუსტი ქმნი-
ლება ვარ, საცოდავი რაღაცა, მაგრამ არა ვარ დამ-
ნაშავე. ზამოვეუტყდები ყველაფერში შილიბეს.»

მეგის შეუმსუბუქდა მწუხარება და თავისუფ-
ლიად ამოისუნთქა, მაგრამ შემდეგმა ბარათმა გული
გაუყინა. «შენ გაიმარჯვე! ბედის წერა ჩემზედ ძლიერი
ყოფილა. მშვიდობით პატიოსნებაე, მშვიდობით ქვეყ-
ნიერება, მომიტევე ქმარო, შვილო, სამშობლოვ!...»

სუ, კარებზედ დააკაკუნეს. მეგიმ გამოცქვიტა
ყურები, საჩქაროდ წამოაფლო ბარათებს ხელი და
შეინახა შკაფის საიდუმლო უჯრაში. ჯერ კიდევ



უჯრა არ დაეკეტა, რომ კარები გაიღო და შეველა მისტრის მაიტლენდი. მეგის შეშფოთებულმა და გაყვითლებულმა სახემ მიიქცია იმისი ყურადღება და მკაცრას ხმით ჰკითხა:

— რას აკეთებთ?

— არაფერს, მიუგო მეგიმ და საჩქაროდ მოშორდა უჯრას, სადაც შენახული ჰქონდა თავის საუნჯე. მაიტლენდს სახე დაეღრანჯა სიანჩხლით.

— როგორი ფერ-მკრთალი და აშფოთებული ხართ, დაცინებით შენიშნა მან. — როგორც მოსამსახურეებმა გადმომცეს, დღეს, მგონია, სხვაგან იყავით?

— ღიად, ერთს ჩემს ნაცნობთან ვიყავი.

— ჩემის აზრით, ეგ დიდი უზრდელობაა. თქვენ არ თანაუგრძნობთ მსაჯულის ოჯახის უბედურებას. ჩემგან მაიც უნდა აგელოთ მაგალითი და მთელი დღე მჯდარიყავით თქვენს ოთახში.

— მე არ შემიძლია მარტო ყოფნა, გულ-გრილად მიუგო მეგიმ.

— მეც არ მიყვარს მარტოობა და ამიტომ დავრჩები თქვენთან ცოტა ხანს. ამ სიტუაციით, მეგის სამწუხაროდ, ჩამოჯდა ტახტზედ. ლილიანის მდგომარეობა გულს მიკლავს, განაგრძო მან. მართალი რომ სთქვას კაცმა, სულ თქვენ ხართ დანაშაული იმის გაქცევაში. ღარწმუნებული ვარ, თქვენ რომ არ გარეულიყავით ამ საქმეში, მშვიდობიანად დაიწერდნენ ჯვარს და იცხოვრებდნენ ბედნიერად. სად არის ახლა ჩემი საცოდავი ლილი? ნახა თუ არა, ნეტავი, მსაჯულმა.

მეგი ხმას არ იღებდა, მისი გონება შკაფის უჯრისაკენ იყო მიქცეული.

— იმელი მაქვს, მსაჯულზედ არ მოიხმართ იმდენს გავლენას, რომ ლილიანის საენებელი რამ ჩაიდინოს. შევლამ იცის, როცა ხანში შესული კაცი ახალ-გაზდა ცოლს შეირთავს, ადვილად შეატოპინებს მას უსამართლოებაში. მე ვფიქრობ, რომ თქვენ გქულისთ ლილიანი და განსაკუთრებით ღანტონ მაულტრი, რომელმაც პირ-და-პირ წარმოიტქვა, რომ არასოდეს არ ჰყვარებიხართ. თუ ღმერთი გწამსთ, ნუ დააკარგვიანებთ მემკვიდრეობას ქალიშვილისათვის შორტესკიუსს. მისს ბრგვი, თქვენ ვესმისთ ჩემი სიტყვები? არა მგონია. იმაზედ უარესი არა არის-რა, როცა ვისმეს ელაპარაკები და ის კი განგებ მოიყრუებს თავს.

— მე ძლიერ მიყვარს ლილიანი და არასოდეს იმის საენებელს საქმეს არ ჩავიდენ, იძულებით მიუგო მეგიმ. სხვის ცოდვებში ის რა დანაშაულია! მე ვსცდილობდი გადამერჩინა უბედურობისაგან, მაგრამ ვერ მოვახერხე. ახლა სულითა და გულით ვისურვებ, რომ მაულტრიმ გააბედნიეროს ისა, მაგრამ იმავე დროს დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ იქმნება ბედნიერი.

— რასაკვირველია, თქვენ დარწმუნებული იქმნებით მაგაში, დაცინებით ჩაილაპარაკა მაიტლენდმა. მე კი სულ სხვა ნაირად მწამს ის ყმაწვილი კაცი. ხვალიდგან უნდა მოველოოდეთ მსაჯულს, იქმნება ახალი ჯვარ-დაწერილებიც თან მოიყვანოს. თქვენთვის, რასაკვირველია, ეს სასიამოვნო არ იქმნება...

ღმერთო ჩემო, რა სიჩუმეა ამ საღამოს ჩვენს სახლებში! ის რა ქალღმერთი ავღია ხალიჩაზედ?

სისხლი აუფარდა მეგის თავში. მართი ბარათთაგანი დაეარდნოდა ძირს. დასწვდა და აკანკალებულის ხელით აიღო წერილი.

— რა ახირებული კონვერტია! დაიძახა მაიტლენდმა, რომლის დასუსტებული მხედველობა ამ დროს ძლიერ კარგად არჩევდა ბარათს. ძალღმერთი დაობებულსა ჰგავს, მაჩვენეთ აბა!

— უკაცრავად, მიუგო მეგიმ და ბარათი ჩაიღო ჯიბეში.

მისტრის მაიტლენდმა გაჯავრებული სახით მხრები ასწია და დაიწყო წიგნის შლა, თითქოს უნდოდა მთელი საღამო მეკისთან გაეტარებინა.

ნახევარი საათი მეტად გაგრძელდა მეკისათვის. მისტრის მაიტლენდი თუმცა ყურადღებით ჰკითხულობდა წიგნსა, მაგრამ ხან-და-ხან ეშმაკურად გადახედავდა მეგის, რომლისათვის ადვილი არ იყო აგრე ტყუილა ჯდომა ამ დროს და სულითა და გულით უნდოდა იმის გარეთ გადღება. მაიტლენდს კი უხაროდა, რომ გულზედ ხეთქავდა ქალს.

მეგი წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან და კოტახანს უყურებდა საშინელს წვიმასა და ქარიშხალს, შემდეგ დაბრუნდა თავის ალაგს და დაჯდა.

— როგორი აშფოთებული ხარ ამ საღამოს! მთვალეებიც ამღვრეული გაქვს! მართლა, მე ახლა

გამახსენდა, რომ ჩაი არ დავეულებია ამ სალამოს, თუ შეიძლება დაუძახეთ, მოგვართვან.

— ახლა ხომ ძლიერ გვიანაა, მიუგო მეგიმ და დახვდა საათს.

— რა ვუყოთ მერმე? ჩვენი მოსამსახურებდა ყოველ დროს მზად არიან.

მეგიმ დარეკა ზარა და მაშინვე მოართვეს ჩაი. მაიტლენდმა დიდ ხანს გამოიზოგა ჩაის სმა.

— ღლეს იმდენი მეძინა, რომ მგონია ამაღამ სრულებით არ დამეძინოს, განაგრძო მაიტლენდმა. მქვენი კი გირჩევთ დაიძინოთ, თორემ საშინელი დაქანცული შეხედულება გაქვსთ.

მუმცა მაიტლენდი ამ ნაირ რჩევას აძლევდა, მაგრამ მეგი ფეხს არ იცვლიდა ოთახიდგან. მაჰკრა ათი საათი, თერთმეტი, მაგრამ მისტრის მაიტლენდი, ნე-ბივრად გაწოლილი სავარძელში, არც კი ჰფიქრობდა ოთახიდგან გასვლას. მეგის მოთმინება დაეკარგა და წამოიძახა:

— ახლა ძლიერ გვიანაა!

— რატომ არ წახვალთ დასაძინებლად?

მეგის ცოტა დააკლდა, კინაღამ ტირილი დაიწყო, სული ეგუბებოდა სიანჩხლით, შევიდა თავის ოთახში, მიეგდო ტახტზედ და უცდიდა, როდის გავიგონებ მიმავალი მაიტლენდის ფეხის ხმასაო, მაგრამ მწუხარებისა და დაქანცულობისაგან ძალე ჩაეძინა.

შათენებისას გამოეღვიძა და დაფეთებული წა-



მოვარდა ლოგინიდგან; საჩქაროდ შევარდა ლილია-
ნის ოთახში, მისტრის მაიტლენდი აღარ იყო იქა.
ძანკალით გამოაღო შკაფის უჯრა და საშინელის
ხმით დაიკივლა. არც დღიური და არც ბარათები იქ
არ იყო.

XVII.

ამოდ ეძებდა მეგი საიდუმლო უჯრაში, შკაფ-
ში და ხალიჩაზედ, არც წერილები და არც ბარა-
თები იქ აღარ სჩნდა, თითქოს უხილავს ძალას მოე-
ტაცნოს. მაშინვე წარმოიდგინა, ვისი მოპარულიც
უნდა ყოფილიყო ისინი. წამოავლო სანთელს ხელი,
გასწია მაიტლენდის ოთახისაკენ და დაუკაკუნა კა-
რებს. პასუხი არ მისცა, შემდეგ დაუძახა. რალაც
ფაჩუნის შემდეგ უეცრად გაიღო კარები და გაკ-
ვირვებულის სახით გამოჩნდა მაიტლენდი, ხელში
ეკავა პატარა წიგნი და ეტყობოდა, ჯერ არ დასძი-
ნებოდა.

— ღმერთო ჩემო! მისს ბრეი! თქვენ კიდევ
არ დაგიძინიათ? რა ამბავია?

ზაყვითლებულმა, თმა გაპუწულმა და ანთებული
თვალეებით მკაცრად მიუგო მეგომ:

— უმორჩილესად გთხოვთ დამიბრუნოთ, რაც
შკაფის უჯრიდგან ამოიღეთ და წამოიღეთ.

— რაო? რა წამოვიღე? ჰკითხა მაიტლენდმა
და გაკვირვებით დაიწია უკან.

— წიგნი და ბარათები.

— ბარათები თქვენ სახელზედ?

— არა, მსაჯულის სახელზედ მინაწერი.

— იმედი მაქვს, 'მემიძლია გკითხოთ, რა უფლებით წაიღეთ 'ზორტესკიუს' ბარათები? მე არა მგონია, რამდენათაც დაბრმავებული არ უნდა იყოს თქვენგან თქვენი საქმრო, მაინც მოგიწონოსთ აგრეთი თავ-ხედობა.

— მე არა მსურს, მაგ კითხვებზედ ანგარიში მოგცეთ, მხოლოდ გთხოვთ, დამიბრუნოთ ჩემი წიგნი და ბარათები.

— მე არც წიგნი მინახავს და არც ბარათები ამის მეტი, რაც ხელში არ მიქირავს, ზიზღით მიუგო მაიტლენდმა. მე არა მაქვს ჩვეულებად გავეზიოს ხვის საქმეებში. ჰკუა დაგიკარგავს, როგორც სხანს, რომ მაგ გვარი კითხვებით ბედავთ ამ დროს ჩემთან შემოსვლას.

— მომეცით, თუ ღმერთი გწამსთ, ჩემი საქონელი, ჩემია ისინი! შევერწებოდა მეგი. თქვენ არ იცით, რა ძვირფასია ისინი ჩემთვის. რათ ფიცავთ? მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი წამოღებულია. მე გთხოვთ, რომ დამიბრუნოთ.

— თქვენ ძალიან 'მემცდარიხართ, მისს ბრეი! ახლა თითქმის თენდება და გირჩევთ დაიძინოთ. როცა 'ზორტესკიუს' დაბრუნდება, იმას ვუამბობ ყველაფერს.

— მე მხოლოდ წიგნსა გთხოვთ, ის ჩემი საკუთრებაა; ბარათები დაიტოვეთ, თუ გნებავსთ.

— ნუ თუ კიდევ უნდა გაგიმეოროთ, რომ არ მესმის, რას თხოულობთ ჩემგან? ხომ არ შეიშალებთ?



თქვენი წიგნისა და ბარათების მე არა ვიცი რა და გთხოვთ თავი დამანებოთ.

ამ სიტყვებით ზედ ცხვირ-პირზედ მიახალა კარები. მეგი დაბრუნდა დარწმუნებული, რომ წიგნიცა და ბარათებიც მაიტლენდსა აქვს. ძილი არ მოდიოდა მწუხარებისაგან. მეორე დღით მოელოდა პოლკოვნიკს და შორტესკიუს დაბრუნებას. ისინი თუ არ დაბრუნდებიან, წერილები მაინც მოგივაო. მეგიმ ჩაიცვა ტანისამოსი და ჩავიდა საუზმის საჭმელად. მისტრის მაიტლენდი, ჩვეულების წინააღმდეგ, აღრე ამდგარიყო და ლილიანის პატარა ძაღლს ეთამაშებოდა. თუმცა აღერსიანად გაიღიმა, მაგრამ ეშმაკურად გადახედა მეგის. არცერთს იმათგანს არ ეტყობოდა წასული ღამის თავ-გადასავალი.

— იმედი მაქვს, წუხელის კარგად გაატარეთ ღამე, მისს ზრეი? ჰკითხა ბებერმა.

— ძარგად.

— ძალიან მოხარული ვარ. ღღეს უეჭველად მოგივა რამე ამბავი შორტესკიუსგან. მე მოუთმენელად მოველი იმის დაბრუნებას.

— მეც ძლიერ მეჩქარება მისი მოსვლა, დამშვიდებით მიუგო მეგიმ.

— ძალიან შესაძლებელია, რომ უჩვეულებრივო რაიმე გავიგოთ, გესლიანის ღიმილით შენიშნა მაიტლენდმა.

— ძალიან შესაძლებელია, დაემოწმა მეგი.

ისე მშვიდობიანად ისაუზმეს, თითქოს აქ არა-

ფერი ამბავიაო. მაიტლენდი ჩეულებს წინააღმდეგ
აღერსიანად იყო.

— რა ტკბილად ვისაუზმეთ ორივემ, სთქვა
ბებერმა, დარწმუნებული ვარ, მეორე საუზმესაც
კარგად გავატარებთ, მხოლოდ გაუფრთხილდით
თქვენს თავს, საყვარელო მისს ბრეი! ლუმატა მან
და გავიდა ოთახიდან.

მეგი შევიდა ლილიანის ოთახში და ხელ-ახ-
ლად დაუწყო ძებნა. იმედი მიეცა, იქნება მაიტლენდმა
შეინანა და ჩასდო ისევე უჯრაშიო; მაგრამ ამო-
იყო ეს იმედი. იქვე არ არის, იმ დღიურში იყო მამა-მისის
სიმართლის საბუთები, მაგრამ რაღა ნაირად ჩაივლოს
ხელში? შეწუხებული მიადგა ფანჯარას და გაჰყუ-
რებდა ქუჩას. ამ დროს ვიღამაც გაიარა ქუჩაზედ,
ამოიხედა ზევითკენ და დაინახა თუ არა მეგი, მოუ-
ხადა ქუდი. მეგიმაც ღიმილით დაუკრა თავი.

— მე მგონია, ის ჰფიქრობდა, რომ დღეს დი-
ლით ცოცხალს ვერ მნახავდა, იფიქრა მეგიმ. შექ-
ველად მისს პრიუმ სთხოვა გამოეყო აქეთკენ და
შეეტყო, გადაეფრჩი თუ არა წუხელის ჩემს მტერს.

მეგი მალ-მალ ხედავდა საათს და მოუთმენე-
ლობით მოელოდა პოლკოვნიკს. დრო გადიოდა და
ის არსად სჩნდა. შორტესკიუსაგანაც არაფერი ამბავი
იყო. ეს ძლიერ აკვირებდა მას და ნამეტურ
მისტრის მაიტლენდს ვეღარ მოესვენა.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ლილიანს
ნახავდა ისა, საუზმის დროს ელაპარაკებოდა მეგის.

ლილიანს არ შეეძლო შორს წასვლა. ახირებულია, რატომ აქამდის არაფერი შეგვატყობინა! არ მეგონა, თუ შორტესკიუ, რომელსაც ისე გაგიჟებით უყვარხართ, აქამდის უმბოდ დაგაგდებდათ! საკვირველია, განა?

— სწორედ გასაკვირველია, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მიუგო მეგიმ და თან დაუმატა: გახსოვსთ, წუხელის რომ თქვენთან შემოვედი?

— ძალიან კარგად.

— ძიღვეა გკითხავთ, სად არის ჩემი წიგნი და ბარათები, რომლებიც უჯრიდგან ამოიღეთ? მკაცრის ხმით ჰკითხა მეგიმ.

მაიტლენდმა უპასუხა: როგორც წუხელის გითხარით, არაფერი არ ვიცი იმ ნივთებისა, რომელსაც თქვენ მკითხავთ, და ვფიქრობ, რომ თქვენთვისაც საუმჯობესო იქმნებოდა, არ გენახათ ისინი. შაკვირვებული ვარ, როგორ ჩავივარდათ ხელში მაშინ, როცა მსაჯული შინ არ არის.

— მე თავის დროზედ აიხსნება, ახირებულის ღიმილით მიუგო მეგიმ. და მანემდის კი მომეცით, რაც ჩემგან წაიღეთ.

— არასოდეს! წამოიძახა მოთმინებიდგან გამოსულმა მაიტლენდმა. მართლაც რომ მე მქონდეს ისინი, პირ-და-პირ მსაჯულს მივსცემდი და არა თქვენ.

— ჩემი აზრი მართლდება. თქვენი პასუხი მიმტკიცებს, რომ უსამართლოდ არ შემომბიტანია თქვენზედ იქვი.

მე არა მაურს მაგ სავანხედ საუბარი, მოკმუნ-
ნულის სახით სთქვა ბებერმა.

მეგი წამოდგა და თავის ოთახში გავიდა. პოლ-
კოენიკის მოუსვლელიობით გულ-შემოყრილმა, და-
უძახა სარრას და შემოვიდა თუ არა დედა-კაცი,
უბრძანა კარების ჩაკეტა.

— სარრა, ჩემთვის ძლიერ საჭიროა შენი დახ-
მარება. მიშველე რამე, თუ ღმერთი გრწამს.

— სიამოვნებით, რა გნებავსთ?

— შენ ემსახურები მისტრის მაიტლენდს?

— ღაღ, მას შემდეგ, რაც სელესტა წავი-
და აქედგან.

— არსად გინახავს მაიტლენდის ოთახში წი-
თელ-ყდიანი წიგნი? მე მომტაცა იმან და ჩემს სი-
ცოცხლეს შევსწირავ მახვერბლად, ოღონდ იმას
დავიბრუნებდე როგორმე, მასთან ბარათებიც იყო.

— არა, არ მინახავს, მაგრამ რა დავმართნიათ,
როგორი აღელვებული ხართ? მიბრძანებთ მოვს-
ძებნო? თუმცა მისტრის მაიტლენდი ძალიან ეშმა-
კია, მაგრამ მე ვერსად დამიძალავს.

მეკიმ ჩაავლო ხელი და ათრთოლებულის
ხმით უთხრა:

— ჩემო სარრა, თუ იმას მომიძებნი, საუკუ-
ნოდ დამავალე. ამ სიტყვებით ბანკის ბილეთი ჩა-
უდო ხელში.

— რაც შემიძლება, ვეცდები, კმაყოფილების
სახით მიუგო სარრამ.



— სარჩა, იმ ქალღმერთის პოვნით შეიძლება სიცოცხლე დაუბრუნდეს ჩემთვის ძვირფასს პირს. მხოლოდ ეცადე, მაიტლენდმა არ შეგიტყოს და მალე დაიწყე ძებნა.

მეგის ეს დღე დაუსრულებლად მოეჩვენა, სალამოზედ შემოვიდა სარჩა მეგის ოთახში და იმის სახის შეხედულება ამტკიცებდა, რომ ვერ შეესრულებია თავისი წადილი.

— არ დამიჯოვებია არც ერთი კუთხე და არც ჭვრიტიმალნი, იმის გასაღებებიც კი ჩაფიგდენ ხელში და სულ ერთიან გადავაბრუნე კამოდის უჯრები და შკაფი, მაგრამ ვერსად ვერაფერი ვერ ვნახე.

— ოჰ, ღმერთო, რა უნდა ვქმნა? რა მეშველება? ხელების მტრევეთ იძახდა გადაფითრებული მეგი.

— ღმერთმანი, არ ვიცი! თანა-გრძნობით მიუგო დედა-კაცმა.

საშინელის სიზმრებით გაატარა მეგიმ ღამე. ჰხედავდა შილიბე ბარმინს სატუსალოში, რომელსაც ხვედრად რგებოდა ვითომ იქვე სიკვდილი და ვერაფრით დახმარებოდა მშობელს მამას. ბანთიადისას უეცრად გამოაღვიძა საშინელმა ყვირილმა. შეშინებული წამოვარდა ლოგინიდგან. საჩქაროდ გადაიკვა ხალათი და გაიქცა მაიტლენდის ოთახისაკენ, რადგან იქედგან გამოდიოდა ხმა.

— მიშველეთ, მომეხმარეთ! შეიროდა მოჩუცებული. მისს ბრევი, სარჩა, მომეშველეთ!

მეგი შევარდა ოთახში. შიშისა და მწუხარებისაგან გაშტერებული მაიტლენდი იჯდა თავის ქვეშსაგებში, რომლის ფარდასაც გარშემო მოდებოდა ცეცხლი. პატარა სტოლი, რომელზედაც ლამპა მდგარიყო, წაქცეული ეგდო ხალიჩაზედ, ეტყობოდა, კითხვაში ჩასძინებოდა, სტოლი წაექცია, ლამპა გატეხილიყო და ცეცხლი გასჩენოდა.

— მიშველეთ, მისს ბრეი, მიშველეთ! მიაყვინა განწირულებით, როცა კვამლსა და ალში გარჩია მეგის ლამაზი სახე.

მეგიმ წამოაეღო ხელი დოქს და გადაასხა წყალი ბებერს, რომლის ტანისამოსს უკვე ეკიდებოდა ცეცხლი. ამასობაში შემოცვინდნენ მოსამსახურეებიც. შეიქმნა საშინელი ფაცა-ფუცი; მაიტლენდს გული შეუწუხდა, ის მჯორე ოთახში გაიყვანეს და მეგი ეხმარებოდა ცეცხლის დაქრობას. მან წააეღო ბალიშებს ხელი და კმუშნიდა პოლზედ, რომ გაექრო ცეცხლი. მრთი ბალიში საშინელი მძიმედ დაეცა პოლზედ; მეგი შეაკრთო ამ ხმამ. შეცრად შეარბენინა თავის ოთახში, ათრთოლებულის ხელით გასჭრა ბალიშის პირი და ამოიღო წიგნი ბარათებით.

— ღმერთო, შენ გმადლობ, ტირილით და კანკალით იძახდა საცოდავი.

ზადაშალა წიგნი თუ არა, პირველს ფურცელზედვე წაიკითხა: «შილიპე, გევედრები, რომ არასოდეს ჩემს შვილს არ აჩენო ეს წიგნი და არც სიტყვით გადასცე, რაც აქ სწერია. შბედური დედა გევედრება აუსრულო ეს უკანასკნელი თხოვნა.»



მეგის გული გაუსკდა. ზანსვენებული შეროლი უკრძალავდა იმ წიგნის წაკითხვას თავის ქალს, მაშინ, როცა მეგი ისე ალტაცებით მოელოდა დედის ნაწერიწის წაკითხვას. რაღაც უცნაურმა შიშმა შეიკო მეგი და ვერ გაებედნა წაკითხვა.

— ხვალ დილითვე წავალ მამა-ჩემთან სატუსალოში და წაეუღებ ამ წიგნს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯერ არც იმას წაუკითხავს ეს, თუმც საკუთრად იმისათვის არის დაწერილი.

სასოებით გამოხვია ერთად და აღარ უშვებდა ხელს. შემდეგ მიწვა და ჩაეძინა, თვისი საუნჯე გულში ჩაიკრა მაგრად. ძარგა გვიან იყო, როცა გამოეღვიძა, მაშინვე ჩაიკვა ტანისამოსი და დაუძახა სარრას.

— როგორ არის მისტრის მაიტლენდი, ჰკითხა დედა-კაცს.

— ძალიან ავათაა შიშისა და დამწვრობისაგან. იმ დალოცვილისაგან ხშირად ვამიგონია, რომ ღამე კითხვა საფრთხილო არისო და ის კი მუდამ ჰკითხულობს ხოლმე. საშინლად წვალობს; ექიმმა დასაძინებელი წამალი მისცა და ახლა ჩაეძინა ზასაკვირველი არ არის? მიბრძანა, ჩემი ბალიშები შკაფში ჩაკეტეო და ერთი დაკარგულა, ვერსად ვერ ვიპოვე.

— აი, აქ არის, სარრა, ღიმილით მიუთითა მეგიმ.

დედა-კაცმა გაიტანა ბალიში, მეტი კი საუზრისათვის ჩავიდა.

მისტრი, მაიტლენდი ისე დაიწვა, რომ რამდენიმე კვირა ქვეშაგებიდგან ვერ აღგებოდა. იმისი აღარ ეშინოდა მეგის, მაგრამ შორტესკიუ? შოველი კარის გაღება გულს უხვთქავედა მას. შოველ წამში მის მოლოდინში უნდა ყოფილიყო. მაშინ... პოლკოვნიკის მოუსვლელიობა და უამბობა ძლიერ აკვირვებდა.

მეგი დიდ ხანს დარჩა სასადილო ოთახში, ქოთნებში ყვავილებს ალაგებდა მხოლოდ იმისათვის, რომ მოეკლა დრო და არ დატანჯულიყო აგრე ლოდინით. დასასრულ კარები გაიღო.

— სასტუმროში ვილაც იცდის და მისს ზრეის ნახვა ჰსურს.

— რა გვარია? ზულის კანკალით ჰკითხა მეგიმ.

— ზვარი არ უთქვამს. მხოლოდ მიბრძანა გადმოგცეთ, რომ ძლიერ საჭირო საქმისათვის ვარ მოსულიო.

რასაკვირველია ეს პოლკოვნიკი უნდა იყოს. როგორც იქმნა მოვიდა! მეგი გაიქცა სასტუმროსაკენ და როცა შეალო კარები, ბიძა მისის მაგივრად დაინახა ჩაფიქრებული, ფერ-მკრთალი სახე რობინ ლეიტისა.

— მე მეგონა, პოლკოვნიკი დაიზარტი მოვიდა-თქო, სთქვა მეგიმ.

ამ სიტყვებზედ რობინის სახე კიდევ უფრო

დაღონდა, მიუახლოვდა მეგის და მონაწილეობით
 უთხრა:

— მე თქვენ ცუდი ამბავი მოგიტანეთ.

— მამა ჩემის? ღიძიახა მევიმ და საშინლად
 გაყვითლდა.

— არა.

— აბა მისი? ღვთისა გულისთვის, მალე მითხა-
 რით.

— პოლკოვნიკი ღიზარტი გადაიცვალა.

(გაგრძელება შემდეგში)



— მოიცადე, ნუ სჩქარობ! შეიძლება აჩქარების გამო ვერ გრძნობდე ტკივილს. საშინლად კი დამეტაკე; ხელი, ან ფეხი ხომ არ გიტკენია? ნება მომეცი დაგისინჯო!

— თუე დამანებე, დაიყვირა ქორვინმა და თან სცდილობდა საჩქაროდ ვილასაც გაღვეწებოდა, — გამიშვი, თორემ ის გაიქცევა.

— ვინ ის? საით გაიქცევა? მუბნებოდა გმირი და ამასთანავე ქორვინს გზას უჭერდა.

— ეს პანკრატი იყო! ზანა არ გაგიგონია იმისი ხმა? იმან მამა-ჩემი შეურაცხყო.

— პანკრატი? სთქვა ავადრატოსმა. ვითომ გაკვირვებით და აქეთ-იქეთ მიიხედ-მოიხედა; — აქ ვერა ვხედავ იმას; სად არის? შთურდ მოგეჩვენა!

და მაშინ ძლავს გაუშვა ხელი ქორვინს. ქორვინი გაეშურა, მაგრამ ხალხი ცოტ-ცოტად კიდევ იშლებოდა და მიდიოდა; პანკრატი არსად არ სჩნდა.

პრეფექტმა ბრძანა ცეცალიას სხეული ტიბრში ჩაადგეთო, მაგრამ მეორე, მოსახურავში გახვეულმა აფიცრმა ჯალათს რაღაც ანიშნა. უკანასკნელმა, როგორც კი მოხერხებულა დრო ნახა, აფიცრს გაჰყვა ყრუ ქუჩიკენ და მისგან მაგრად გატენილი ქისა მიიღო.

— მხე რომ ჩავიდეს, ძაბურს ალყაფურს კარებშიდგან გაიტანე და ლუციანის აგარის სიახლოვეს დასდე. უთხრა აფიცრმა.

— ძარგი! მიუგო ჯალათმა.

აფიცერი, რომელიც სებასტიანე იყო, საჩქაროდ გაემგზავრა, განის ქუჩაში გადაუხვია და მალე გაჰქრა.

XXI.

რომის-ქალაქის პრეფექტი სასახლეში წავიდა იმპერატორ მაქსიმიანესთან, რომ იმ ლამიანდელი და მეორე დილის შემთხვევები მოეხსენებინა; მაგრამ მაქსიმიანეს კიდევ შეეტყო ყველაფერი და მეტად გარისხებული დახვდა. ტერტულიოსს ერთი სიტყვის თქმაც აღარ დააცალა და დაუყვირა:

— სად არის შენი სულელი შვილი?

— ია შენს ბრძანებას ელის, რომ გამოგეცხადოს და მეტად ჰსურს აგისხნას, თუ როგორ მოუშალა განგებამ ყოველი მისი განზრახვა და პლანები.

— ბანგებამ! წამოიძახა მაქსიმიანემ, — განგებამო! უმჯობესი იქმნება სთქვა — მისმა უკუნურობამ და სამხდლემ. დაუქანეთ!

— შიშისაგან ძლიერ-ლა ცოცხალი ძარგინი შემოვიდა; მან კარგად იცოდა, რომ მაქსიმიანე მეტად სასტიკი და ენისანი იყო, რომ ყოველთვის დაუფიქრებლად, გულ-ფიცხად და განუსჯელად მოქმედებდა.

— მოდი, აქ მოდი! დაუძახა მაქსიმიანემ, ძარგინი რომ დაინახა. — მოდი და შენის ღვაწლის ამბავი მომიყევ. როგორ გაჰქრა განცხადება? ან მიწის-ქვეშეთში მარტო ერთი ბრმა ქალი როგორ დაიჭირე?

ძორვინმა ენის ბორძიკით და არევით მოჰყვა
 გრძელს მოთხრობას, რომელშიაც, რასაკვირველია,
 ქრისტიანები არ დაუზოგავს. არწმუნებდა, რომ ამისი
 კარგად მოგონილის პლანის დარღვევა მხოლოდ კუ-
 დიანობას და ჯადოქრობას შეეძლო და დასამტკიცებ-
 ლად ისე უცრად, მთელის ჯარის თვალ-წინ ტორ-
 კვატოსის გაქრობა მოიყვანა. მაქსიმიანე ამ ლაპა-
 რაკს ყურადღებით ისმენდა და ხან-და-ხან კიდევ
 იცინოდა, ძორვინის მხდალობას რომ ატყობდა.
 ძორვინი თავიდან ფეხებამდის თრთოდა და ბო-
 ლოს ფეხთ-ქვეშ დაუეზარდა მაქსიმიანეს; მის წინ
 ფართხვა და ვედრება დაიწყო. მაქსიმიანეს ჩვეულებ-
 ბად არა ჰქონდა ძალიან კარგად მიღება და ზრდი-
 ლობიანი ლაპარაკი; ძორვინს მოუჩივებლად ჰკრა
 ფეხი და თავისს მხლებლებს უბრძანა, გარეთ გა-
 იყვანეთო!

ძორვინმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, იფიქრა,
 მოსაკლავად მიეყავართო და ღრიალი შეჰქმნა:

— შემიბრალე! ნუ მომკლავ! მღონდ ნუ
 მომკლავ და ბევრს შესანიშნავს საიდუმლოებს გამო-
 ვაცხადებ!

— როგორ თუ საიდუმლოებს? ჩქარა სთქვი, მე
 ცდა არ მიყვარს!

— ზანცხადება მოიპარა ერთმა ყმაწვილმა კაცმა,
 სახელდობრ პანკრატიმ და დაჰხია. მე იმისი დანა ვი-
 პოვე სვეტთან და ამაში დარწმუნებულიცა ვარ.

— რატომ მაშინვე არ დაიჭირე ისა და მსაჯულებს არ გადაეცი?

— ორჯერ დავაპირე იმისი დაჭერა და ორივეჯერ ხელიდგან დამისხლტა.

— მაშ მესამედ აღარ გაგექცეს, თორემ, იცოდე, შენის სიცოცხლით გაზღვევინებ. რა იცი, რომ დანა მას ეყუთენის?

— მე და ის ერთს სასწაელებელში ვსწაელობდით და ეს დანა მის ხელში ხშირად მიხახავს. ჩვენი შკოლის მასწაელებელი ქაიხაიეც ქრისტიანია.

შკოლის მასწაელებელი ქრისტიანიაო! ღაიყვირა მაქაიმიანემ,—ეს კი ნამეტანია! სად არის ის, ის ქაიხაიე?

— ქრისტიანობისაგან განდგომილმა ტორკვატოსმა უნდა იცოდეს ეგა, მიუგო ჯერ კიდევ შიშისაგან მთრთოლვარე პორვინმა. ქაიხაიე და სხვა მრავალი ქრისტიანები დიდ-ხანს იდგნენ წინანდელის პრეფექტი, ხრამტოლის საზაფხულო სახლში.

— როგორ? წინანდელ პრეფექტიც ქრისტიანია და იმ ავაზაკებს ინახავს სახლში?! შოველის მხრით ღალატი! სოტა ხანს უკან აღარც კი მეცოდინება, ვის მიემართო. პრეფექტი ქრისტიანიაო?! ამ წამშივე სალდათები გავზავნეთ ყოველს მხარეს და სადაც ნახოთ ის კაცები, ყველა დაიჭირეთ და მათთანავე ტორკვატოსიც.

— მან ხომ უარ-ჰყო ქრისტიანობა? სთქვა ტერტულიოსმა გაუბედავად.

— სულ ერთია! ახლა იმის ჩიქვას მოცუფეა, ვინ უარი-ჰყო და ვინ არა! ის ქრისტიანებთან იყო, იცნობდა მათ—მაშ გათავებულია!

— ჯა მაკრამის ხომ დაიკარგა? ეს ის კაცია, რომელიც კუდიანობით...

— კუდიანობაო! მე სიცრუევა, სიუღლევა! მონახეთ ის! უსათუოდ მონახეთ!

— ამას შემდეგ მაქსიმიანე ადგა, ვახშმის დროს გაახსენდა, და საჩქაროდ გავიდა ზალიდგან.

სებასტიანემ, რომელიც მთელის ამ სცენის მოწამე იყო, აგრეთვე საჩქაროდ გაიყვანა ზალიდგან გვარდოს სალდათება, რომლის უფროსადაც იყო და, საჩქარო ბრძანების მაცემის შემდეგ, საჩქაროდ წავიდა სასახლიდგან.

ახლა ტორკვატოს დაუბრუნდეთ. იქმნება ჩვენს მკითხველებს ჰსურდესთ შეიტკონ, თუ რა დემართა მას? როდესაც შემინებული ტორკვატოსი განის დერეჟანში გაიქცა, ის უფეროდ გადავიარდა მივიწყებულს და ნახევრად დანგრეულს კიბეზედ, რომელიც აკალდაშებას მეორე, ქვედა ეტაჟში ჩადიოდა, და მოსხლეტით დაეცა. შინყლილი ხელიდგან გაუვარდა და გაჰქრა. ტორკვატოსი საძაგლად დაეცა და უთუოდ კიდევ მოჰკვდებოდა, რომ დერეჟანის ქვიშის იატაკზედ არ დაეკრა თავი. ღიდ-ხანს ეკლო გულ-შეწუხებული, ბოლოს ძლივს გამოფხიზლდა და თავი წამოასწია. ბარშემო საშინელი სიბნელე სუფევდა. იმას არა ახსოვდა-რა და ხელის ცეცებით,

თითქმის ალალ-ბედზედ დაიწყო სიარული. რამდენსამე წამს შემდეგ გრძნობაში მოვიდა, შეჩერდა, სასოწარკვეთილებით იტაცა თმაში ხელები და სცდილობდა გაეხსენებინა, თუ სად იყო, რა დაემართა, ან ამ სიბნელეში მარტოროგორ გაჩნდა? თან-და-თან ხსოვნა დაუბრუნდა; მოაგონდა, რომ მას კაბის საყელოში და სარტყელში ჰქონდა შენახული რამდენიმე ღერი თაულის სანთელი და აგრეთვე კვესაბედი და წუნწუბა. შრთს სანთელს მოუკიდა და იქაურობას დათვალიერება დაუწყო. ბნელაში ფორთხვის დროს, ის მოჰშორებოდა კიბეს, რომლიღვანაც ჩამოვარდა და, ახლა იმას რომ ველარ ჰხედავდა, ვერ მიმეხდარიყო, თუ სად დაემართა ასეთი ახირებული შემთხვევა. მარდასწყეიტა, რომ კარების საძებნად წასულიყო და ამისათვის დაიწყო ხეტიალი: ხან მარცხნივ მიუხევედა ალალ-ბედზედ და ხან მარჯვნივ. მის გარშემო, ყველა ღერეფნებში მხოლოდ საფლავეები და ზედწარწერები სჩანდნენ. ტორკვატოსს ეშინოდა მათი შეხედვის; სინიღისი აყვედრიდა ლალატისათვის და ის გაჩქარებული დადიოდა იმ იქედით, რომ ამ მიწის-ქვეშეთის სასაფლაოდგან წმინდა ჰაერში გაეილო. აკალდამებში გზის დაკარგვის ყოველ-კაცს შეეშინებოდა; მარტო, საფლავეებს შორის შიმშილით სიკვდილი წმინდა სინიღისიანისა და უმანკო გულის მექონე კაცისათვისაც კი საშინელი ხეედრია! შეიძლება კაცმა ადვილად წარმოიდგინოს ის გრძნობა, რომე-

ლიც თან-და-თან უფრო იმორჩილებდა ტორტოსას. ჯერ იმას იმედი ჰქონდა კარებს მივაგნებო, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ეს იმედი ამაო იყო! სანთელი ელეოდა; დაღალულობის, მღვლეარებისა და შიმშილის გამო (დილას აქეთ არა ექამარა) ღონე აკლდებოდა. მისს ტანჯვას ყოველს წამს ემატებოდა. მაგრამ როგორ უნდა გამოესთქვათ შიში, რომელმაც იგი შეიპყრა, როდესაც რამდენიმე საათის უგზო-უკვლო ხეტიალის შემდეგ, იმავე ადგილს დაბრუნდა, საიდგანაც წასულიყო. აქეთ-იქით იხედებოდა და ყოველგან იმავე საფლავებსა და იმავე ზედ-წარწერათ ჰხედავდა: «განისვენებს მშვიდობით», ეწერა ერთს საფლავზედ, «ქრისტეს მიერ განისვენა», წაიკითხა მეორეზედ. მის გარშემო იყო ათასი საფლავი და ათასი ზედ-წარწერა. მსეც იმათსავეთ მოჰკვდება და უსათუოდ ძალიან მალეც; მაგრამ ეს საშინელი სიკვდილია! ის არის გამცემელი, მოღალატე, განდგომილი! იმისათვის აღარც მიტყეებაა ქვეყანაზედ და აღარც შეწყნარება! უკანასკნელი თაფლის სანთელიც ესეს იყო დაიწვოდა; მისს მკრთოლვარე აღს შიშით შეჰყურებდა საბრალო.

მართი-მეორეზედ უფრო უნუგეშო ფიქრებით დატანჯული, სასოწარკვეთილებით დაეცა მიწაზედ და უძრავად ეკდო. თივი უბურდა და გული უძგერდა. ბაცივებული ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდნენ



მას. თუ რამდენს-ხანს იწვა ამ მდგომარეობაში თვითონაც არ იცოდა. დრო მიფრინავს, ან მილოდავს იმისდა გვარად, რასაც იმ დროს ვერძნობდა; ტორკვატოსს ეს რამდენიმე საათი მთელს საუკუნედ ეჩვენა. ორს ქვას-შუა ჩარკმული სანთელი თითქმის სულ დაიწვა; მისი ალი ირყეოდა, უცვებ აინთებოდა და მერე ისევ თითქმის სულ ჰქრებოდა. ტორკვატოსი ჰფიქრობდა, ეს სანთელი ერთს, ან ბევრი-ბევრი ორს წამს კიდევ იკმარებდა, მაგრამ უეცრად ნოტიობის წვერი ჰქრიდგან პირ-და-პირ მბეჭუტავს სანთლის ალს დაეცა და თვალის დახამხამებამდის გააქრო. მისს გარშემო ისევ საშინელი სიბნელე შეიქმნა.

ნეტა რა უფრო უსაშინელესი იყო: ღამის სიბნელე, რომელიც ტორკვატოსს ვარს ეხვია, თუ იმისი გულის სიბნელე? სინიღისი ჭიასავით ღრღნიდა მას. ტორკვატოსს არ უნდოდა წარსულზედ ეფიქრნა, მაგრამ, უნებლიეთ, არა თუ ჰფიქრობდა მაზედ, დაწვრილებით იგონებდა ყოველს გარემოებას და ამით იორკეცებდა თვისს დანაშაულობას და შეცოდებას. რა უყვეს მას ქრისტიანებმა? არაფერი, სიკეთის მეტი არაფერი! იმათ ტორკვატოსი როდი უძებნიათ, არც მოუხიბლავესთ, არც ბედნიერებას, არც ფულებს და არც ბრწყინვალე მომავალს არ დაჰპირებიან. პირ-და-პირ ეუბნებოდნენ, თუ რა გაკირვებასა და დევნულებას უნდა მოელოდეს იმათის დაახლოვების გამო და ყოველს წამს სასიკვდილოდ უნდა ემზადე.

ბოდეს. რა გულ-კეთილად ექცეოდნენ მას ყველა
 რა სიყვარულით აწავლიდა მას მღვდელი პოლი-
 კარბე! როგორის მზრუნველობით და სიყვარულით
 აძლევდა მას შემწეობას ხრამატოსი როგორც ფუ-
 ლებით, აგრეთვე დარიგებითაც და კეთილის სიტყვე-
 ბითაც! როგორ ძმასავით ეპყრობოდნენ ყველა
 ქრისტიანები! ამან კი ისინი გასცა, უღალატა მათ!
 ქრისტიანები გაჰყიდა! გაჰყიდა!... მერე ვის მიჰყიდა?
 შულციუსსა და პორცინს,—ბოროტს, გაუმადლარს
 შულციუსს და სულელს, მხცვს პორცინს! თავისი
 მგვობრები გაჰყიდა და ვერც თავის-თავს უშველა.
 და კიდევ რომ ეშველა, განა ის ფიქრი, რომ იმდენი
 კაი კაცების ტანჯვისა და სიკვდილის მიზეზი ეს
 არის, ეთს წამსაც არის მოსცემდა განა მოსვენე-
 ბას?... ტორკვატოსი ისევ მიწაზედ დაეცა, მაგ-
 რამ ახლა კი სხვა აზრებმა მოიცივა იგი—ეს იყო
 აკლდამებიდგან ამოსვლის სურვილი: როგორ და
 რა საშუალებითაც უნდა იყოს, იქიდგან ამოვი-
 დეს, თავი გადაიჩრჩინოს და ისევ იცოცხლოს! ჰგრძობ-
 და, რომ სიცოცხლე სამძიმოა, როცა კაცს სინიდი-
 სი ჰხრავს და ღრღნის, როცა მეხსიერება წარსუ-
 ლის მოგონებით კიდევ უფრო უმატებს ამ უღმობ-
 ბელის სინილისას აფედრებას! პირზედ ხელებ-მიფარე-
 ბული ეგდო იგი მიწაზედ და უეცრად ბოვშსავით
 ტირილი დაიწყო... სამინელმა და მხურვალე სინა-
 ნულმა მოიცივა იგი. ტორკვატოსი დიდ-ხანს იწვა
 და ცრემლებს ჰღვრიდა... უეცრად შორეულმა,
 წყნარმა და ძლიერს გასაგონმა ვალობამ გრძობაში

მოიყვანა. ის შეჰკრთა და თავი წამოსწია... დაუფლო... გალობა ახლა უფრო ცხადად ისმოდა... ეს იყო დამაღონებელი და სამწუხარო გალობა, რომელიც თანხმად განისმოდა სამარის მყუდრო სიბნელეში. მთელი გუნდი დაბალის ხმით გალობდა. ტორკვატოსმა შორს, იქ, საიდგანაც გალობა მოისმოდა, რაღაც სანთლის მსგავსი ნათელი წინწყალი დაინახა. ბოლოს მახვილის ყურით გაიგონა გალობის სიტყვებიც: წმიდათა თანა განუსყურე!..

— ეს სიტყვები ჩემთვის როდია ნათქვამი, იფიქრა ტორკვატოსმა და უხვი, ცხარე ცრემლები ისევ გადმოედინა პირი-სახეზედ. ამისთანა სიტყვების ღირსი შე არას დროს არ ვიქმნები! მე განდგომილი ვარ სთქვა მან და დაიჩოქა.

სინათლე კი თან-და-თან უფრო სჩნდებოდა, თან-და-თან უფრო ფართოვდებოდა და უეცრად დერეფნის კედლები გაანათა. მამოჩნდა შორიდგან მომავალი ჩაღბი: წინ თეთრ კაბებიანი ქალიშვილები მოდიოდნენ ხელში ლამპრებით; იმათ ოთხი სხვა ქალი მოჰყვებოდნენ და ვიღაც თეთრში გახვეული მოჰქონდათ. იმათ უკან ახალ ნაკურთხს ემაწვილს დიაკვანს, ტერსიტოსს, მოჰქონდა საცეცხური, რომლიდგანაც გუნდრუკის გამჭვირვალე კვამლი ამოდებოდა; დიაკენის უკან მრავალი მღვდლები მოდიოდნენ. ღა ბოლოს ორს დიაკვანს ეპისკოპოსი მოჰყავდათ ხელ-მოკიდებული. მათ მიჰყვებოდნენ წყნარად ღიოგენი და მისი ორი ვაჟი-შვილი, მწუხარებისაგან დაღონებულნი და მრავალი სხვა დასხვა ასაკის ქრისტიანები. მოველს ქრისტიანს ლამპარი,



ან ჟინჯლილი ეჭირა ზელში, ასე რომ იმათი სახე განათებული იყო და ტორკვატოსმა ბევრი თავისი დაახლოებული ნაცნობები და სხვათა შორის სებასტიანეც იცნო მათში. მგალობლებმა გადაიარეს ის დერეფანიც, სადაც ტორკვატოსი იდგა, და თან ისევ სამწუხარო გალობას განაგრძობდნენ. ტორკვატოსმა შემდეგი სიტყვები გაარჩია ამ გალობაში:

განჯდინთ წინაშე უღელისა ვუღრუბა ჩუმი და ჭირი ჩუმი წინაშე მისა მიუთხრას, რამეთუ აღივსო ბჟირთაგან სული ჩუმი და ცხოვრუბა ჩუმი ჯთჯოთხოთსა მიყასლას!

— ეს სიტყვები კი ჩემთვის არის ნათქვამი, ეს ჩემზეა, წამოიძახა ტორკვატოსმა და საშინელის მწუხარებით გაიმეორა: რამეთუ სული ჩემი ბოროტებითა აღივსო!.. მან დაიჩოქა, მიწას დაემხო და ლჷეროს სთხოვდა საშინელი შეცოდება და დანაშაულობა მიეტყვიებინა მისთვის.

მერე ტორკვატოსმა ძლიერ შეიკრიბა ღონე, აღგა და ბარბაცით წავიდა იქითკენ, საიდგანაც ჯერ კიდევ სინათლე გამოკრთოდა. მალე მივიდა იქამდის და დერეფნის კუთხეს რომ მოუხვია, დიდებული, მაგრამ ამასთანავე მეტად შემადრწუნებელი საზილველი წარმოუდგა წინ: იატაკზედ, ქვებზედ ესვენათეთრად ჩაცმული და თავზედ თეთრ-ყვავილების გვირგვინით შემკული ყმაწვილი ქალის გვამი. მგალობლები ლოცვებს ჰგალობდნენ, ეპისკოპოსი და მღვდლები მიცვალებულს გარს ეხვივნენ, საცეც-

ხურებით აკმევდნენ და პატარა სამლოცველოს
 ღებს ოქროს ფერისა და სუნნელოვანის კვამლით
 აფებდნენ. ქრისტიანები მღუმარედ იდგნენ: ზოგნი
 დაჩოქილნი ლოცულობდნენ, ზოგნი მწარეთა სტი-
 როდნენ. ბოლოს მიცვალებული აიღეს და თაღს
 ქვეშ, წინათვე მომზადებულს საფლავში ჩაუშვეს.

თორკვატოსი მივიდა ერთს, მის ახლოს მდგო-
 მარე ქრისტიანთან და მღელვარების გამო ათრო-
 ლებულის ხმითჰკითხა: „აი მარხავთო?“

— აი არ ვმარხავთ, მიუგო ქრისტიანმა,—ვას-
 ვენებთ ნეტარს ცეცილიას, რომელიც ღღეს დილით
 სალდათებმა აკლდამებში დაიჭირეს და გამოკითხვის
 დროს წამებით მოჰკლეს.

— მე ვარ, მე ვარ მაგისი მკვლელი! დაიხვირა
 თორკვატოსმა ისეთი საშონელის ხმით, რომ ქრის-
 ტიანებმა გაოცებით დაიწიეს უკან და თითქოს ეა-
 მიანიო, ისე უნებლიეთ მოშორდნენ. მაგრამ თორ-
 კვატოსი ვერც ამ შიშსა და ვერც მღელვარებას
 ვერა ჰხედავდა; ის თავისის მტანჯველის გრძნობით
 იყო შეპყრობილი. მთვრალსავეთ ბარბაცით წავიდა
 პირ-და-პირ ეპისკოპოსისაკენ და მის ფეხთ-ქვეშ
 დაეცა.

— მე შევსცოდე, სთქვა მან დიდი-ხნის სიჩუ-
 მის შემდეგ,—მე შევსცოდე და შენს ფერხთა-ქვეშ
 გდების ღირსიც არა ვარ, შენს შვილად წოდებას
 არა ვღირსვარ.

ეპისკოპოსმა ააყენა იგი და უთხრა:

— მინც უნდა იყო, მოვედ სახლსა მამისა ჩვენისასა! აკურთხე სახელი მისი და ვევედრე, რათა მოგიტევოს შეცოდებანი შენნი. ჩვენც შენთან ელოცავთ შენთვის. სინანული არს გზა ცხოვნებისადმი.

ქრისტიანებმა ეს სიტყვები რომ გაიგონეს, დასძლიეს მათს ამაღელვებელს ზიზლსა და დტრვინვას; მაცხოვრისაგან მათდა ნაანდერძები მოყვსისადმი სიყვარულით აპატრვეს. ტორკვატოსს ეს მძიმე შეცოდება, მივიდნენ მასთან და უცხადებდნენ თანაგრძნობას და უხაროდათ კიდევ, რომ ეს გზა-დაბნეული ცხოვარი ქრისტიანეთა გუნდს შეუერთდა. ისინი გარს შემოეხვივნენ ტორკვატოსს, მაგრამ იგი, ამ გულკეთილობასა და ქრისტიანულს სიყვარულს რომ ჰხედავდა, კიდევ უფრო სწუხდა და გამოუთქმელად იტანჯებოდა. მისკობოსმა ტორკვატოსი ჩააბარა ღიოგენსა და მისს შევიღებს, რომელთაც შუღვიუსისა და პორციონის დენისაგან უნდა დაემალათ ის თავიანთს სახლში. იგი ჩაწერეს შემნანებელთ რიცხვში და თავისი მძიმე ცოდვა, თავის ნამოქმედვეი ბოროტება შენანებით უნდა გამოესყიდნა.

სებასტიანე აცცილიას დასაფლავების დროს მარტო მისთვის კი არ დასწრებია, რომ მიცვალებულისათვის უკანასკნელი პატივი ეცა; ამას გარდა მისთვისაც მოვიდა, რომ ევისკობოსი მარკელოსისათვის ეცნობებინა, თუ რა უბედურება მოელოდა მას. ამ ევისკობოსის სილოცხლვ ქრისტიანების სა-

ზოგადოებას ისე ძვირფასად და სასარგებლოდ მიაჩნდა, რომ ამ დევნულების დროს იმისი დაკარგვა უსაშინელებსი უბედურობა იქმნებოდა. ტორკვატოლმა გულ-წრფელად უამბო მათ, ერთხელ წირვის დროს შულოვიუსი ეკკლესიაში შემოვიყვანეო და ამის გამო შულოვიუსი მარკელოსის სახეს კარგად იცნობს და, რასაკვირველია, სადაც უნდა შეჭვდეს, უთუოდ დაიჭერსო. როგორც უნდა ყოფილიყო, ეპისკოპოსი უნდა დაემალათ როგორმე და სებასტიანემ იმის დასამალავად და გადასარჩენად გამბედავი, მაგრამ თითქმის ნამდვილი საშუალება მოიხატა: ურჩია ეპისკოპოსს, რომ ის წასულიყო ქეისრების სასახლეში მცხოვრებს ერთს ქრისტიან-ქალთან. იქვე არ იყო, რომ კერპთ - თაყვანის - მცემელის ქეისრის სასახლეში, რომელიც ქრისტიანების უსასტიკესი მდევნელი იყო, ეპისკოპოსის ძებნას ვერაფერ ვერ იფიქრებდა. იქ სცხოვრებდა კეთილშობილი რომაელი ქალი ირინა, რომლის ქმარს ოდესმე წარჩინებული ალაგი ეჭირა სასახლეში. ამ ქალს არაფრის შიში არ ჰქონდა და თავის სადგომში რამდენსამე ოთახს სიხარულით უთმობდა ეპისკოპოსს; გადასწყვიტეს, რომ ეპისკოპოსი ამ ქალის სახლში უნდა დამალულიყო და მარკელოსი იმ დღესვე წავიდა და ირინას სახლში დაიხიზნა.

მეორე დღეს, დილით ადრე სებასტიანე პანკრატიან წავიდა.

— ჩემო კარგო, უთხრა მან პანკრატს, ახლავე უნდა მოშორდე რომს და კამპანიის მაზრისაკენ უნდა გაემგზავრო. სხენები მზად არის. ტორკვატოსიც შენთან უნდა წამოვიდეს. საჩქაროდ მოემზადე; ერთის წამით დაგვიანებაც არ ივარგებს.

— რად უნდა წავიდე? ჰკითხა უსიამოვნოდ პანკრატმა;—განა მე მხდელი, ან საიჭვეო კაცი ვარ?

— მე რა ახირებული აზრია? უთხრა სებასტიანემ.—ახლა ბაასის დრო აღარ არის, უნდა დაგვემორჩილო.

— მე მორჩილებაზედ უკარს არ ვამბობ; ლმერთ-მა დამიფაროს! მაგრამ მინდა შევიტყო, რით დავიმსახურე ეს შეურაცხება, რომელსაც მე მაყენებენ! შიშის, დევნისა და სიკვდილის დროს ქალაქიდგან მაგდებენ, თითქო მე ღირსი არ ვიყო, რომ ჩვენის გოძმების უბედურების დროს მათი თანაზიარი გავხდე.

— შენ მაგ ნაირს სიტყვებს არ მემართლები, მაგრამ სჩანს უნდა გითხრა, თუ რაში მდგომარეობს საქმე მიუგო სებასტიანემ;—ჩვენ შევიტყვეთ, რომ პორვინი დაუყონებლივ უნდა წავიდეს კამპანიის მაზრაში ხრამატოსისა და იქ მცხოვრების ქრისტიანების დასაჭერად. ისინი ახლად-მოქცეულები არიან; ჩვენ იმათი გვეშინია: შეიძლება ისინიც ტორკვატოსსავით შესცდნენ. ისინი უნდა გავაფრთხილოთ და გადავარჩინოთ, თუ კი შეიძლება. ამას გარდა, პორვინს აქვს ნაბრძანები, ძასიანე დაიჭიროს; თუ შეიძლება, იმასაც უნდა შევატყობინოთ და მოვარჩინოთ. ახ-

ლა ხომ ხედავ, რომ შენ კი არ გიშორებენ, როგორც
 საიჭვო კაცს, დიდს საქმეს გაძლევენ, განდობენ
 საღვთო ვალს: შენის მოძმეების გადარჩენას.

პანკრატს პარი-სახე გაუნათლდა. ის ამაყობდა
 იმ ნდობით, რომელიც ჰქონდათ მასზედ სებასტიანეს
 და აგრეთვე მთელს ქრისტიანების საზოგადოებას.

— შენი ბრძანება ჩემთვის წმიდა არის, უპა-
 სუხა მან, მაგრამ გამოატეხილს გეტყვი: მაგ ბრძანე-
 ბი ასრულება მეტადრე იმისთვის შესაძლებლობა, რომ
 პასიანეს შეეცება. იმის საშველად მთელს ქვეყანა-
 საც კი მოვივლიდი. ის ჩემი მასწავლებელი იყო და
 სულითა და გულით მიყვარს.

პანკრატი მაშინვე მოემზადა და თავის დედას-
 თან შევიდა გამოსათხოვრად. დედა არას დროს არ
 უშლიდა მას აესრულებინა ყოველივე მინდობილება,
 რაც უნდა საშიშარი ყოფილიყო, თუმცა კი იმისი
 მოშორება და სიკვდილი, რომელიც მას მუდამ ელო-
 და, ერთობ თავ-ზარ დამცემი იყო დედისათვის. მაგ-
 რამ იგი ლოცვაში ჰპოულობდა ნუგეშსა და სიმხ-
 ნეს. პანკრატი რომ სამგზავრო ტანისამოსით დაი-
 ნახა, გაფითრდა, მაგრამ სცდილობდა თავისი მღელ-
 ვარება დაეჟარა და დაბალის, თითქმის დამშვიდე-
 ბულის ხმით ჰკითხა:

— სად მიდიხარ კადევ?

პანკრატმა უამბო მას, სად და რისთვისაც მი-
 დიოდა და დაუმატა:

— დამლოცე, დედა-ჩემო!

— ჩემი კურთხევა მარად შენთანა არს, მიუგო დედამ და მოეხვია შვილს. ბახსოვდეს, რომ მონდობილებათა ასრულების დროს შენს თავს არ უნდა ზოგავდე; მაგრამ ისიც გახსოვდეს, რომ მომეტებულმა თავ-გამოდებამ და გამბედაობამ შეიძლება საშინელს სატანჯველში ჩაგაგდოს, — და მე კი მარტო შენა მყავხარ!

პანკრატიმა დედის წინ დაიხოქა; ქალმა დალოცა შვილი; დედის სახეზედ ბრწყინავდა განსხვავებული სიყვარული ერთად ერთის შვილისადმი, რომელიც მას შესძინა ბედნიერმა ქორწინებამ. შვილისა და გმირულად მომკვდარის მამა-მისის პირი-სახეში, ხასიათსა და გრძნობაში ის დღითი-დღე უფრო მეტს მსგავსებას ჰპოებდა, შეჰხაროდა თავის შვილს, მაგრამ ამასთანავე ეშინოდა უბედურება არ შეემთხვასო. მინ ასწერს დედის გრძნობას, რომელიც ამაყობს, როდესაც ჰხედავს, თუ რა კეთილშობილება, სიმხნე და მაღალი გრძნობა აქვს მისს შვილს ბუნებისაგან მინიჭებული და რა საშინელს გაჭირვებაში აგდებს მას ყოველივე ეს თვისება მძიმე განსაცდელის დროს. პანკრატი ერთობ ააღელვა დედის გამოთხოვებამ, რომელიც მას ძლიერ უყვარდა, მაგრამ სცდილობდა თავისი გულ-ჩხვილობა და თვალეზზედ მომდგარი ცრემლები დაეფარა გულგრილობით და თავ-შემკავებელის მსჯელობით და

ისე გავიდა ოთახიდან. ღელამ კარებამდის გააყოლა მას. ღიდ ხანს მიჩერებოდა ლიუცინა იმ ადგილს, სადაც გამოთხოვების დროს იდგა პანკრატი, თითქოს შეიღოს სახე ღედას არ ჰშორებოდა. შემდეგ ნელად მოაშორა მან კარებს თვალი, ამოიოხრა, პირჯვარი დაიწერა და თავის სამლოცველოსკენ გასწია.

XXII.

ქორვინი წავიდა რომიდგან და რამდენიმე ცხენოსანი მხლებელი წაიტანა. წასვლელად მზადებამ ცოტათი შეაგვიანა იგი და ამიტომ პანკრატმა გაასწრო. მან დროან ტების სასახლეში რომ მივიდა პანკრატი, ყველა ქრისტიანები ძლიერ აღელვებულნი დაჰხვდნენ. მათ კიდევ გაეგოთ, თუ რა ბრძანება იყო გამოცემული და დევნულებისა და წაშების დაწყებას როგორ ემზადებოდნენ. ადვილად წარმოსადგენია, რა აღტაცებით და წაფელის გულით მიეგებებოდნენ ისინი პანკრატს! სებასტიანეს წერილი ყველამ საერთოდ წაიკითხა, შემდეგ ეცნო ქრისტიანები ზალაში შეიკრიბნენ, ლოცულობდნენ და სთხოვდნენ ღმერთს, რომ განამტკიცოს ისინი და, თუ ვინცოცაა სიკვდილით დასჯა ეწიოსთ, მისცეს ძალა და მხნეობა, რომ ეს სიკვდილი უძრწოლველად იტვირთონ. ამას შემდეგ ყველანი სხვა-და-სხვა მხარეზე წავიდ-წამოვიდნენ საჩქაროდ; ზოგნი რომს წავიდნენ და ზოგნი სხვა-და-სხვა მახრებში; ხრამა-

ტოსი შაბიოლას სასახლეში დაიძალა. ანდრია-
 ტების სასახლე დაკალიერდა, იქ დარჩნენ მხო-
 ლოდ ორი თუ სამი მოსამსახურე, რომელთა პა-
 ტიოსნებასაც ენდობოდნენ. ამათ უნდა დაეკეტათ
 ეს სახლი და თვითონ მეკრეებად დამდგარიყენენ. პან-
 კრატი ანდრიატების სასახლიდგან თავისის უწინდე-
 ლის მასწავლებლის, ძასიანესაკენ გაეშურა. მოხუცმა
 სიხარულით მიიღო. პანკრატმა რომ თავისი მოსვ-
 ლის მიზეზი უამბო და სთხოვა დაიძალეო, ძასიანემ,
 რომელმაც ამისი ლაპარაკი ყურადღებით მოისმინა,
 გარდაწყვეტით მიუგო:

— ნება ღვთისა იყოს ჩემზედა! მე მოხუცი ვარ
 და უსიხარულო ცხოვრებით დაღალული. იმ-
 დენის უსამართლოობის, უწყალოების, უსინიღისო
 სიცრუისა და ჩემი მოძმე ქრისტიანებისადმი ამოუფ-
 ხვრელის სიძულვილია მოწამე ეყოფილვარ, ისეთს
 საყოველთაო გარყვნილებას ვხედავ, რომ ჩემი გუ-
 ლი აღსავესება უზომო მწუხარებით. მასწავლელო-
 ბას გულ-მხურვალედ მოგვიდებხელი, მაგრამ აქაც დაე-
 მარცხდი, დაემარცხდი ისე საშინლად, რომ მეტი აღარ
 შეიძლება. ჩემს მოწაფეებში არც ერთი ქრისტიანი არ
 ურევია. მისაც მათგანს წინეთ ვუყვარდი, ახლა ისი-
 ნი მერიდებიან; ბევრი მათგანი შეურაცხებით და
 სიძულვილითაც კი მიყურებენ. ხმა გავარდა, რომ
 მე ქრისტიანი ვარ და საზოგადო მიმართულება ხომ
 ჩვენი წინააღმდეგია! ღრწმულებული ვარ, თვითოვე-
 ლი აქაური მცხოვრებთაგანი, ჩვენს წინააღმდეგად

ჩაგონებული, სიამოვნებით მომკლავდა, თუ იცოდეს, რომ ამისი ასრულება დაუსჯელად ჩაუვლის მას. მართოდ ცხოვრება სამძიმოა, მაგრამ ამაზედ კიდევ უფრო სამძიმო არის ყველასაგან სიმძულვილის ატანა, როდესაც შენს სიმართლესა და უბრალოებას გრძნობ. ეს უგუნური და გარყვნილი ხალხი ჰყვირის ჩვენს წინააღმდეგ, ერთხმად იმეორებს აღმაშფოთებელს და უშვერს ცილის-წამებას იმ წინამძღოლის სიტყვით, რომელსაც თვითონაც არა სჯერა ის, რა ხმასაც ხალხში ავრცელებს. მე შენ გარწმუნებ, რომ სიცოცხლე სამძიმოა ჩემთვის. მე ყველაფერს ვემორჩილებოდი, როგორც ქრისტიანი, ყოველისთვის ვითმენდი! ახლა დევნულება იწყება! მე არ დავიძალეები, იქმნება ჩემმა სიკვდილმა იმ სიკრუესა და ცოდვებში ჩათლულ უბედურთაგანი ერთი მაინც მოაქციოს ჭეშმარიტს გზაზედ. ნება ღვთისა იყოს ჩემზედა!

ამაოდ სთხოვდა პანკრატი მოხუცი, ამაოდ ევედრებოდა; იგი ადგა თავისს აზრს შეურყვევლად და გულ-დამშვიდებით. ღიდ-ხანს აღარ უცდია მას თავის ბედის-წერის გადაწყვეტისათვის; მეორე დღეს დილით ადრე მოვიდა პორვინიც; მისის ბრძანებით შეამტვრიეს მოხუცის სახლის კარები, მაგრამ ძასიანე იქ ვეღარ ნახეს; ის ჩვეულებისამებრ შკოლაში ყმაწვილებს ასწავლიდა. პორვინმა იქითკენ გასწია, 'მეუპოვრად და თავ-ხედად შევიდა შკოლაში, ბრძანა მაშინვე, კარები დაკეტეთო, თითქოს

ეშინოდა, ძასიანე არ გამეპაროსო. ძარები რა დაკ-
 კეტეს, ძორვინი ძასიანესთან შივიდა და ლანძღვა
 დაუწყო; ბევრი უაზრო და ერთი-მეორის წინააღმ-
 დეგი სიტყვები წამოროშა: ხან ამტკიცებდა, რომ
 ძასიანე სახელმწიფო დამნაშავე და შემთქმელი კა-
 ცია, ხან—რომ ის არის საძაგელი მხდალი და მთელს
 ქვეყანაში განთქმული ინტრიგანი და ფარისეველი.
 შკოლაში მყოფი ყმაწვილები და ქაბუკები გაფაცი-
 ცებით ყურს უგდებდნენ თავიანთის მასწავლებლის
 ბრალდებას; დიდი ხანია, რაც საძულველის სიტყვის,
 ქრისტიანი და მასთან შეერთებულის ცილის წა-
 მების წყალობით, იმათ მოხუცი შეიძულეს. ძერძთ-
 თაყვანის მცემელი მშობლები შეიღებს ათას-ნარ
 საშინელებათ უამბობდნენ ხოლმე ქრისტიანებზედ
 და ყოველს უბედურებას, რაც კი მოჰხდებოდა ქა-
 ლაქში, მაზრებში, ან ოჯახებში მათ აბრალებდნენ.
 ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ მარტო ერთი
 სახელი, ქრისტიანი, ბრმა სიძულვილსა და შურის
 ძიების სურვილს აღსძრავდა ამ ყმაწვილებში. მოს-
 წავლეები ძორვინის ცილის-წამებას რომ გაიგო-
 ნებდნენ, გარისხდებოდნენ და თან-და-თან უფრო იწ-
 ვოდნენ სურვილით, რომ რაც ქრისტიანობის ჯავრი
 მათ ჰქონდათ, საბრალო მოხუცზედ ამოეყარათ. თუ
 კაცს ქრისტიანობრივი სწავლა არ მიუღია, მისი მა-
 ლალი ზნეობა არ შეუთვისებია, ადვილად შესაძლე-
 ბელია, რომ მას აღეძრას მხეცური, უწყალო ინს-
 ტინკტები. ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს სასიოცხვო და

სისხლის-მ. მელი გრძნობანი დაეიმონოთ და, კვირეელია, ამ ვალდებულების ასრულება კიდევ შეგვიძლია; მაგრამ კერპთ-თაყვანის მცემლებმა როდი იცოდნენ, რა იყო ქრისტიანული ზნეობითი გრძნობა და მოყვასის სიყვარული. ისინი შურის ძიებას საძრახისად როდი სთვლიდნენ, უწყალოება როდი აშინებდათ მათ, როგორც საძრახისი რამე; იქმნება შურის ძიებასა და შეუბრალებლობას ზოგიერთს შემთხვევაში კეთილ საქმეთაც სთვლიდნენ. ძაცს ადვილად გაიტაცებს ყოველივე მაცდურება და მცბიერი ქადაგება, თუ რომ ის მარტოვსა და ადვილად ვასაგებს ჭეშმარიტებას გადაუდგა. ეს საუკუნო ჭეშმარიტებანი მოგვანიჭა ჩვენ ქრისტიანებრივმა სწავლამ. ძნელი არ არის ამ სწავლის შეთვისება: წავიკითხოთ ყოველმა ჩვენგანმა მცნებანი, წავიკითხოთ სახარება, — და იქ ვიპოვით კანონებს, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელ-მძღვანელოთ: „არა კაც-კლოა“ გვეუბნება ათი მცნება. „შეიყვარეო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“, გვიქადაგებს მაცხოვარი. მაგრამ პასიანეს მოწაფეები წარმართები იყვნენ; იმათ არ იცოდნენ მოყვასის სიყვარული, შეურაცხების მოტევება არ ესმოდათ; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პასიანე ქრისტიანი იყო, ე. ი. მათის აზრით, ბოროტის მომქმედი, უკეთური და დიდის რომის სახელმწიფოს მტერი.

ძორვიშმა პასიანე მისს მოწაფეებს მისცა სწამებელად... და მათაც იქამდის სტანჯეს საბრალო, სანამ საკვდალზედ არ მიაქენეს. ჩვენ არ ავაწერთ

დაწვრილებით, თუ როგორ მოჰკვდა კეთილი მო-
 ხუცი, ან როგორ მივიდნენ მისი მტანჯველები უკი-
 ღურესს მხეცობამდე. მა ნამეტნავად საზარელი სუ-
 რათი იქმნებოდა! საზოგადოდ ყველაფერში და
 ყოველთვის, მეტადრე ბოროტს საქმეში, მხო-
 ლოდ პირველი ნაბიჯია სამძიმო. პირველის ბიჯის
 გადაღმა ძნელია, მეორე უფრო ადვილი და შემ-
 დგე კაცი კი აღარ მიდის, მირბის ბოროტების სასხლ-
 ტომს გზაზედ. მოხუცმა დიდ-ხანს ითმინა ტანჯვა,
 ხმას არა სცემდა თავისს მწამებლებს და სასტიკს
 ცემასა და წვალებას მხნედ იტანდა. წამებულხედ
 უფრო ადრე მწამებელნი დაილაონენ. წყლულებით
 დაფარულს ძასიანეს ერთის სიტყვითაც არ გამოფეთ-
 ქვამს ყვედრება, ან ჩივილი, ისე ეგდო ძირს
 და სისხლისაგან იცლებოდა. ძორენმა რა კი გაიძ-
 ლო თავისი ბოროტი გული, უკოლიდგან გავიდა
 და მას უკან გასდიეს უბედურმა ახალ-გაზდა კაცებ-
 მაც. რომელნიც მან გაარისხა და საშინელი დანა-
 შაულობა ჩაადენინა. სისხლის ღვარში უმოძრაოდ
 მწოლარე ძასიანე მარტო მიატოვეს. წავიდნენ ისინი
 თუ არა, ძასიანესთან მაშინვე მიირბინა მისმა მსა-
 ხურმა, ცრემლების ღვრით ასწია იგი და სახლში
 წაიყვანა. მოვიდა პანკრატიც, რომელსაც ეს ამბავი
 მაშინვე შეატყობინეს. იგი შეიპყრო სიბრალოულმა
 და უზომო მწუხარებამ; სრულიად დაფლეთილისა და
 წყლულებით შეფარულის მოხუცის დანახვაზედ მწა-
 რედ ასტირდა. ძასიანე რომ გრძნობაზედ მოვიდა,

არც ერთი სიტყვა სამღურავე არ უთქვამს, არც ერთი კენესა არ წასცდენია. პანკრატი რომ დაინახა, ძალ-დატანებით გაუღიმა და ხელი სუსტად მოუჭირა ხელზედ, მაგრამ სიტყვის თქმის ღონე კი აღარა ჰქონდა. მეორე დილას განუტყევა მან თვისი წმიდა და უმანკო სული. პანკრატმა დაასაფლავა იგი და მწუხარებით სავსე გულით დაბრუნდა შინისკენ.

პორვინმა თავისი შურის ძიება რომ დააკმაყოფილა, — იმას ძასიანე ბოვშობილდგანვე სძუოდა, — მერე ან დრიანტის სასახლისაკენ გაეშურა. იქ დილით მივიდა და დაუყონებლივ შეიჭრინა სახლი. ში იმ იმედით, რომ ყველა ქრისტიანებს ერთად დაეიჭერო; მაგრამ ეს იმედი გაუცუდდა: სახლი ცალიერი და მიტოვებული დაჰხვდა. ამაოდ ეძებდა პორვინი ყოველს კუთხეში, ამაოდ დაძვრებოდა სარდაფებში და ჩარდახებზედ, ამაოდ ამტვრევდა შკაფებისა და კამოდების კლიტეებს, იღებდა იატაკს და ყველა საკუქნაოებში იხედებოდა, ვერც კაცი, ვერც წიგნები და ვერცა-რა ქალღმერთი ვერ იპოვა. — სრულიად ვერა ნახა-რა ორს მოსამსახურეს გარდა და მათ დაუწყო მკაცრად გამოკითხვა. — სად არის სახლის პატრონიო? ჰკითხა მან მოსამსახურეს.

— სადღაც წავიდა და არ დაუბარებია კი, თუ სად მიდის, მიუგო მოსამსახურემ.

— რომელის გზით წავიდა? ჰკითხა პორვინმა.

— ამ კარებში გავიდა, მიუგო მსახურმა, — მე ზღაღში ვმუშაობდი და არ დამინახავს, საით წავიდა.

— რომელ საათზედ წავიდა? ეს მაინც უნდა იცოდე!

— როგორც რომიღვან ორი კაცი მოვიდა, მაშინვე წავიდა ის.

— შინ ორი კაცი?

— რა ვიცი ვინ იყვნენ, სთქვა მსახურმა.—
 ერთი ყმაწვილი იყო და მეორე მსხვილი, მალალი და ღონიერი. აი, ყოველივე ნიშნეული და მეტი მე არა ვიცი-რა.

— მაშ, მე ვიცი, დაიყვინძა ძორვინმა მრისხანედ. მე ვიცნობ! მრნიო! ეს ისევ ისინი არიან! ის წყეული ბიჭი ყველგან გზაზედ მიხვდება! ხელში თუ ჩაფიგდე, ვაყურებიანებ მისს სერს!...

სოჯა-ხნის დასვენების შემდეგ ძორვინი რომისაკენ დაბრუნდა. წვიმებისაგან გადარეცხილს გზაზედ გავლა თითქმის შეუძლებელი იყო. სხენები წყნარად მიდიოდნენ. როგორც ყოველივე ბორბოტი კაცი, რომელიც ვერასოდეს ვერ ჰგრძობს თავის გულში მოსვენებას და მყუდროებას, ძორვინი ყოველს უბრალო რაზედმე სჯავრობდა; გულ-მოსულობით წამოავლო მათრახს ხელი და დაუწყო ცემა ცხენებს, ისინი საშინლად გაქენდნენ. ამ დროს იმათ უკანით ცხენების ფეხის ხმა მოისმა. სხენები შეშინდნენ და გზიდგან გადახტნენ, ეტლი ხეს მოედო, გადაბრუნდა და ძორვინი ჩაეარდა თხრილში, რომელიც შარა-გზას ჩაუყვებოდა. სხენოსნებმა გვერდით ჩაურბინეს და არც

იმას და არც მისს კუჩერს, რომელიც გადმოვიარდნის
 ღროს მწარედ დამტვრეულიყო და ცოცხალ-მკედარ-
 სავით ევდო, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს.
 პანკრატი თავის მხლებელს ცხენოსნებს უკან მის-
 დევდა და უეცრად, მთვარის სინათლეზედ დაინახა
 პორვინი, რომელიც უკანასკნელს ღონის-ძიებას
 ხმარობდა, რომ ღრმა თხრილის მღვრიე წყალიდგან
 ამოსულიყო როგორმე. თხრილის ნაპირი გვარიანი
 მალალი და ამასთანავე სრიალაც იყო, ამის გამო,
 ყოველთვის, როგორც კი ხელს მოაგლებდა მიწას,
 ხელი მოუხსნლტებოდა და ისევე წყალშივე ჩავარდ-
 ბოდა ხოლმე. სიცვიისაგან ყოველი სხეული უშემ-
 დენოდა და ეტყობოდა, ღონე თან-და-თან ეკარგ-
 ბოდა. პანკრატი ერთ წამსაც არ დაყოყნებულა, იმ
 წამსვე ჩამოხტა ცხენიდან და მომაკვდავ ბოროტ-
 მომქმედს, თავის დაუძინებელს მტერს ხელი მიაწო-
 და.

— ძალიან საჭიროა მაგის გადარჩენა! წაიბუტ-
 ბუტა გაჯავრებულმა ასის-თავმა, რომელიც პანკრატს
 უკან მოჰყვებოდა, — ძალს სიკვდილიც ძალ-
 ლური უნდა ჰქონდეს.

— ბაჩუმდი, ძეადრატოს! მაგისთანა სიტყვები
 რამ გათქმევინა? წყრომით მიუგო პანკრატმა და
 თან პორვინს წყლიდგან ათრევედა.

პანკრატმა რომ ცოცხალ-მკედარი პორვინი
 წყლიდგან ამოათრია, მაშინვე ტანზედ ხელის სმა
 დაუწყო. ს.ოტა ხანს უკან პორვინის ხლებულებმაც

მოაწიეს. პანკრატმა ქორეინი მათ გადასცა და თე-
 თონ ხმა-ამოუღებლად გაჰქუსლა თავისი მგზავრე-
 ბის მისაწევნელად. მანაც უზლო თავისს მტერს, მაგ-
 რამ ქრისტიანულად: ავისათვის კარგი უქმნა, დეე-
 ნულობისათვის სიკვდილს გადაარჩინა.

XXIII.

იმპერატორის ბრძანების (ელიქტის) გამოცხადე-
 ბამდისაც ღიოკლიტიანეს სასახლის ამშენებელ მუშა-
 თაგან უმეტესი ნაწილი ქრისტიანები იყვნენ. ეს
 მუშები იყვნენ ტყვეები და დამნაშავენი, რომელნიც
 მოეყვანათ რომში ყოველის მხრიდგან. იმათ ყო-
 ველ-დღეს უმატებდნენ ქრისტიანების ახალს გროვას,
 რომელთაც იჭერდნენ ამ ვრცელის სახელმწიფოს
 ყოველს მხარეში. იმათ ჯოგებსავეით მოდენილდნენ
 შორი ქვეყნებიდგან: ხერსონესიდგან, სარდინიიდან
 და სხვა-და-სხვა მაზრებიდგან და უფრო სამძიმო სამუ-
 შაო საქმეებსაც ამათ აძლევდნენ: აზიდვინებდნენ
 უშველებელს ქვებს, მარმარილოს უშველებელს
 ლოდებს, მენობის კედლებს აშენებინებდნენ და კირს
 აზეღინებდნენ. რასაკვირველია, ამ ქრისტიანების
 უმეტესი ნაწილი ამისთანა მძიმე მუშაობას ნაჩვევი
 არ ყოფილა. მთელს დღეს მოუსვენრად მუშაობის
 შემდეგ იმათ ბოსლებში ამწყდევდნენ და ისე მცი-
 რე საქმელს აძლევდნენ, რომ სულის ძლივს იბრუ-
 ნებდნენ, ფეხებში ბორკილი გყარათ; ზედა-მხედვე-

ლები მეტად სასტიკად ექცეოდნენ: მუდამ მათრახი ეჭირათ ხელში და დალაულებსა და მოუძღურებულებს შეუბრალებლად სცემდნენ. რომაელმა ქრისტიანებმა კარგად იცოდნენ თავისი თანა-მორწმუნეების მდგომარეობა და რითიც შეეძლოთ, სცდილობდნენ მათს უგეშის ცემას: დადიონდნენ მათს სანახავად, საქმელი და ტანისამოსი მოჰქონდათ, მოჰქონდათ ისიც რაც ყოველისფერზედ უფრო ამსუბუქებს უბედურთ ხვედრს—კეთილი და ალერსიანი სიტყვა. რომაელი ახალ-გაზდა ქრისტიანები ძლიერ თავ-დადებულნი და ძლიერ უშიშარნი იყვნენ. ისინი ტყვეებთან მიიპარებოდნენ, ბაასობდნენ მათთან და, რაც კი თვითონ გააჩნდათ, მათაც უნაწილებდნენ ხოლმე.

როცა იმპერატორები ხალხის გასართობად და გასამხიარულებლად წარმოდგენას, ან ცირკში თამაშს დანიშნავდნენ ხოლმე, მაშინაც მხეცების მსხვერპლად უფრო ხშირად ქრისტიანები მიჰყავდათ. იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვსწერთ, ხალხი თხოულობდა შექცევას და სხვა-და-სხვა გვარს თვალისვირს; ისმოდა საშინელი ყვირილი, რომელიც უწინაც ბევრჯერ გაისმოდა რომის ქუჩებზედ: «ქრისტიანები მხეცებს მიეცით და საგლეჯათო!»

დეკემბრის დამლევს პორცინი შევიდა დიოკლიტიანეს აბანოში; მას თან შეჰყვა ძატულოსი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამოერჩია ცირკის სავარგისი ქრისტიანები.

პორფინმა მუშების უფროსი ზედა-მხედარი
 მონახა და უთხრა:

— მომავალის დღესასწაულისათვის ქრისტიანები გვეჭირვება; იმათ ღირსად ვხდით, რომ ხალხის შესაქცევად მხეცებთან იბრძოლონ.

— ძლიერ ვსწუხვარ, მიუგო ზედა-მხედარმა, — რომ არ შემიძლია შენი სურვილი ავასრულო, მაგრამ დანიშნულს ვადისათვის გასათავებელი სამუშაო მაქვს და ვერც ერთს მუშას ვერ დაგიტოვებ.

— შენ შეგიძლია კიდევ ძალიან მალე იშოვო სხვები, ახლა კი ეგ კაცები მიუცილებელი საქირთა ჩვენთვის. წაგვიყვანე სამუშაო ალაგს და თვითონ გამოვარჩევთ, ვინც ჩვენთვის საქირთა.

ეს ორი, გარეულის მხეცებისათვის ცირკში დასაგლეჯად წარმდგენი კაცი, ზედამხედარმა უნებურად წაიყვანა გრძელს ზალაში, რომლის თალი ესეს არის ახლა გაეთავებინათ. ამ ზალაში შესვლამდის უნდა გაგველოთ პანტეონივით ზვირდგან განათებული, დიდი, ნახევრიად მრგვალი ოთახი. ზალიდგან გახვიდოდით მეორე, უფრო დიდს ზალაში, რომელსაც ჯვარის ფორმა ჰქონდა და რომლის გარშემო იყო მრავალი პატარა, მაგრამ ლამაზი ოთახები. ამ დროს ამ ზალას აშენებდნენ. ზალის ყოველს კუთხეში უნდა გაეკეთებინათ მთელი გრანიტის უშველებელი სვეტები. ორი მათგანი კიდევ გაეთავებინათ და მესამეს ახლა დგამდნენ. მრავალი მუშები მიათრევდნენ ვეება ქვებს და მის გარშემო ცოდ-

ვილოზდნენ. ქატულოსმა პორვინს დაანახა ორი ყმა-
წილი კაცი, რომელნიც სილამაზითაც და ღონითაც
განირჩეოდნენ ყველასგან.

— აი, ესენი მიმყავს, სთქვა პორვინმა და მათ-
კენ გაიშვირა ხელი;— დარწმუნებული ვარ, რომ
ეკენი ქრისტიანები არიან.

— მე კი სწორედ მაგათ ვერ დაგიტომობთ, მი-
უგო ზედა-მხედამა;— ენის ექვსის მუშის მაგიე-
რობას შერებიან და ღონით კარგს ბედაურს ცხენს
შეედრებიან. სოტა მოიტადე, როცა უძნელესს სა-
მუშაოს გავათავებთ, მერე დიდი სიამოვნებით გამო-
გიგზავნი მაგათ.

— მაგათს სახელებს მაინც ჩაეწერ დასამახსოვ-
ნებლად. რა ჰქვიათ?

— ლარგი და სმარაგლი; ორნივე კარგი ოჯახის
შვილები არიან, მაგრამ რაკი დაიჭირეს, ახლა გლეხ-
კაცებივით გულ-მოდგინედ და სინიდისიანად მუ-
შაობენ. დარწმუნებული ვარ, რომ ესენი ძალ-დაუ-
ტანებლად დათანხმდებიან წამოვიდნენ მხეცებთან
საბრძოლად.

— ჰო, ეს ყველა კარგია შემდეგისათვის, მაგ-
რამ ახლა?... სთქვა პორვინმა და თან განაგრძობდა
მუშების თვალთვრებას. როგორც კი ვინმე მოეწონე-
ბოდა, ზედა-მხედავი მაშინვე დავას დაუწყებდა, სცდი-
ლობდა თავისი მუშები დაეფარა და ვინც კი პორ-
ვინმა მოითხოვა, არც ერთი მათგანი არ დაუთმო.
ბოლოს პორვინი და იმისი ამბანაგი მივიდნენ ერთს.



ხალხის პატარა გროვასთან, რომლის შუაში პატრი-
ცემულის შეხედულობის მოხუცი იდგა. ბრძელი,
თეთრი წვერი წელამდის სწდებოდა მოხუცს; იმისი
ნათელი დამშვიდი პირის სახე ცხადად წარმოადგენდა
მისს სიმშვიდეს, ჭკუას და მოძმეთადმი სიყვარულს.
შესახედავად ოთხმოცდაათს წელწედ მეტი იყო;
სახელად სატურნინი ერქვა. შებებში მძიმე ბორკი-
ლი ეყარა; მის გვერდით იდგნენ ორი ყმაწვილი კა-
ცი, რომელნიც ბორკილებს უზიდავდნენ მოხუცს
ერთის ალაგიდგან მეორეზედ გადასვლის დროს,
რადგანაც თვითონ იმათი თრევის ღონე აღარა ჰქონ-
და. ბევრი დაღალული ქრისტიანები მოხუცის სიახ-
ლოვეს იწვნენ, სხვები ისხდნენ იქვე და მისს წყნარს
მუსაიფს ისმენდნენ. მოხუცი ნუგეშს სცემდა მათ,
ელაპარაკებოდა მომავალში ძრისტეს სარწმუნოების
ძლიერებაზედ და გამარჯვებაზედ, საიქაოს ცხოვრე-
ბაზედ, შეკოდებათ მიტევაზედ და ღვთისა და
მოყვანისადმი სიყვარულზედ.

— თუ გინდა, ეს ბებერი წაიყვანე, უთხრა ზედა-
მხედაემა ძორციანს. — მე ჩემთვის საჭარო არ არის;
დღიური ლუკმის დამსახურების ღონეც აღარა აქვს.

— მზადლობ, უთხრა ძორციანმა მრისხანედ, —
ხალხს ბებრები როდი უყვარს; ციგრის, ან დათვის
ერთი ტოტის დაკვრაც საკმაოა, რომ უფერად მოჰკლას
ეკ. ხალხს უყვარს ყმაწვილი-კაცები, უყვარს ძალი და
სიყმაწვილის სიკვდილთან ბრძოლა და ჭაბუკების
მღულარე სისხლი! მაგრამ ის ვინ არის? ტუალის

ტანისამოსი არ აცვია? პირი-სახეზედ ვერა ვხედავ, აქეთ ზურგი აქვს მოქცეული. — აბა, შეხედე, ის ყმაწვილიც უნდა იყოს და ლონიერიც. ვინ არის?

— არ ვიცი, ის ყოველ-დღეს მოდის აქ, საქმელი და ტანისამოსი მოაქვს ტყვეებთან, მუშაობა-შიაც ხშირად ეხმარება მათ და კეთილის სიტყვებით ანუგეშებს. რადგანაც აქ შემოშვებისათვის ქრთამად კაი-ძალ ფულს გვაძლევს, ამიტომ სიამოვნებით ვუშვებთ ხოლმე და სახელსაც არა ვკითხავთ. ვინც ფულს იხდის, იმას ნება აქვს ჩუმად იყოს; ხომ მართალია? ღაუმატა ზედა-მხედავმა სიცილით. — ისიც გაჩუმებულია, ჩვენც და არც არასა ვკითხავთ.

— მე და შენ ერთი და იგივე ხომ არა ვართ, უთხრა პორვინმა და საჩქაროდ მივიდა ჭაბუკთან, რომელიც ცქვიტად მობრუნდა, ეს ნამეტნავად ნაცნობი და მისთვის ნამეტნავად საზიზლარი ხმა რომ გაიგონა.

პორვინი გაშტერდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთს წუთს გაგრძელდა. როგორც ცოფიანი, როგორც დამშეული ველური მხეცი დაეტაკება თავისს მსხვერპლს, ისე დაეტაკა იგი ყმაწვილს კაცს და ორივე ხელებში ჩააფრინდა.

— აქეთ, აქეთ წამოდი! ღაიყვირა მან ბორბოტის სიხარულისაგან სულ-შეგუბებულმა. — შეკარით ეს! ჩქარა შეკარით! ა! აწი კი ველარ წამიხვალ ხელიდგან!

ეს ყმაწვილი კაცი პანკრატი იყო.



როდესაც თქვენ, მკითხველნო, რომის ქალაქში მიხვიდეთ, ნახეთ არა თუ მარტო აკალდამები, სადაც ქრისტიანები ლოცულობდნენ, იტანჯებოდნენ და იმარხებოდნენ, ნახეთ დღემდის დარჩენილი საპრობილებიც და მოწამეების ცხოვრება და მოქმედებანი წაიკითხეთ. ამით შეიტყობთ, თუ რა საშინელი ტანჯვა უნდა გამოეყოთ ქრისტიანებს სიკვდილის წინათ, გამოკითხვისა და წამების დროს. ქალაქის საპრობილე უჭაერო, უსინათლო, ცივი და ნაგვით სავსე საშიშარი მიწის-ქვეშეთი ორმო იყო. ამისთანა ადგილის მარტო აწერაც კი შეაძრწუნებს ადამიანის გულს! აი, აქ გაგზავნეს როგორც ყველა იმ დღეს დატყვევებულნი, აგრეთვე პანკრატიც. ქველანი ერთად გადააბეს დიდს ჯაჭვზედ, მთელი ქალაქი გაატარეს და მერე ქალაქის საპრობილეში შეჰყარეს. მზაზედ ხალხი ლანძღავდა მათ და ქვასა და ტალახს ესროდა. იმ დროებში ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გაგება, რომ ბრალ-დებულებს და თვით შემცოდებებსაც კი ხელი არ უნდა ახლოს კაცმა და არ აწვალოს. მა არაი შემდეგში შემუშავდა ქრისტიანულის განათლების შემწეობით. ახლა ბრალ-დებულების შეწუხების ნებას აღარ აძლევენ: თუ დანაშაულობა დაუმტკიცდება მას, მაშინ კანონისაგან დასჯა მოელოს. ბრალ-დებულის ლანძღვა და ტუსადის ცემა საშინელი სულის სიმდაბლეა, ამიტომ რომ ის სამართალში არის მიცემული და კანონი დანაშაულობისა დაგვარად დასჯის მას.

სანამ პანკრატს ბორკილებს უყრიდნენ, მან მოახერხა გადაეხურჩხულებია ერთის ქრისტიანისათვის, რომ ეს ამბავი შეატყობინოს დედასა და სებასტიანეს. პანკრატის მხრით საჭიროც არ იყო ამის გახსენება; ქრისტიანები ისე მტკიცე მეგობრულად და ისე ძმურად სცხოვრებდნენ ერთმანერთში, ერთი-მეორის მოხმარება ისე საღვთო ვალად მიჰჩნდათ, რომ თუ ერთს იმათგანს რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, ყველაწი საზოგადო უბედურებად სთვლიდნენ. შოველი ქრისტიანი სცდილობდა დატუსაღებულის მოძმის ზვედრი შეემსუბუქებინა რითმე და მალე შეეტყობინებია იმისის მშობლებისა და მფარველებისათვის. როგორც კი მცველებმა პანკრატი წაიყვანეს, ქრისტიანები დაფაცურდნენ მაწინვე და მაყურებლებში იშოვეს ერთი კაცი, რომელიც კაი ქირით დათანხმდა წასული ო პანკრატის დედის სახლში და გაეცხადებინა მისთვის შვილის უბედურება.

პანკრატი ჩააგდეს მამერტინის საპყრობილეში. მს საპყრობილე შესდგებოდა ერთი-მეორეზედ დადგმულის ორის ნიწის-ქვეშეთის ზვრელისაგან. ზევით ოთახს მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა ანათებდა; ამ მყრაოს ორმეს სხვა სანათური არა ჰქონდა-რა. შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, თუ რა კარგი ჰვერი და რამდენი სინათლე ჩავიდოდა საპყრობილის ქვემო განყოფილებაში, განსაკუთრებით მაწინ, როცა ზევით განყოფილება ტუსაღებით გაივსებოდა. საპყრობილეს ჰქონდა სქელი კედლები, რომელშიაც

დიდრონი რკინის რგოლები იყო ჩატანებული. აი, ამ რგოლებზედ აბამდნენ ტუსალებს. ეს რგოლები დღემდისაც დარჩენილან და რომში მიმსვლელს ახლაც შეუძლია ნახოს. ტუსალები უნდა ჰყრილიყვნენ ნოტიოს, ცივსა და ბინძურობისაგან ამყრალებულს მიწაზედ, თითქმის აჩაფერს არ აკმევედენ; ჰაერი იეთი მყრალი იყო, რომ ბევრი ვერ აიტანდენ ამ ტყვეობას და სამსჯავროში მიწოდებამდის იხოცებოდნენ. ზოგნი კი მიაწევდნენ გამოკითხვამდინ, საშინელს წამებას ითმენდნენ და ბოლოს ცირკის ასპარეზზედ მხეცებისაგან დაგლეჯილები ლმერთს სულს აძლევდნენ.

თუმცა პანკრატს ძლიერ კარგად ჰქონდა წარმოდგენილი თავისის ტყვეობის საშინელება, მაგრამ სასოებას მაინც არა ჰკარგავდა, მხოლოდ თავისი დედის ჯავრი აწუხებდა, მაგრამ ლმერთზედ იმედოვნებდა და სასოებდა, რომ ია, ლმერთი, მისცემს დედას ძალას და ღონეს აიტანოს და მოითმინოს ეს საშინელი, თავ-ზარ-დამცემი უბედურება. პანკრატი დიღხანს როდი იტანჯებოდა საპყრობილეში: ის მალე მოითხოვეს სასამართლოში ბევრს სხვა ქრისტიანებთან ერთად. იქ იყვნენ მოხუცებულები, დედა-კაცები, ქალიწვილები და ყმაწვილ-კაცები. შველა ქრისტიანებს ერთი-მეორის შემდეგ იბარებდნენ სასამართლოში და თითქმის ყველას ერთ-ნაირს კითხვებს აძლევდნენ.

— მინ არის ქრისტიანების ლმერთი? ჰკითხა მ-აჯუღმა ლიონის ეპისკოპოსს, მოხუცს-შოტინიუსს,

რომელიც პანკრატთან იჯდა საპყრობილეში და გამოსაკითხავად მოიყვანეს სამსჯავროში.

— როცა ღირსი შეიქმნები, მაშინ შეიტყობ, უპასუხა ეპისკოპოსმა დაძუილებით.

ხან-და-ხან ისიც მოჰხდებოდა, რომ მსაჯული ბაასს დაუწყებდა ქრისტიანებს, სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ისინი შემცდარნი არიან, მაგრამ ქრისტიანები არც კი შეკოკმდებოდნენ და ყოველს კითხვაზედ მოკლე პასუხს აძლევდნენ. ხშირად, მსაჯული რომ დაილაღებოდა და მოთმინებას დაჰკარგავდა, დამნაშავეის წამებას ბრძანებდა; ხშირად მოჰხდებოდა ხოლმე, რომ მსაჯულს ენდობებოდა გამოკითხვის ჩქარა გათაყება და ჰკითხავდა: «შენ ქრისტიანი ხარო?» და დარწმუნებითს პასუხს რომ მიიღებდა, სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტდა.

მრავალის ქრისტიანებისა და მათ შორის დედაკაცებისა და ქალიშვილების გამოკითხვის შემდეგ პრეფექტი პანკრატს მიუბრუნდა.

— ზამიგონე, უთხრა მან, — ჩვენ ყოველისფერი შეტყობილი გვაქვს; ვიცით, რომ ღვთიურის იმპერატორის განცხადება შენ მოიპარე, ხრამატოსის სახლშიაც შენ წახვედი შესატყობინებლად, შენითანა-მორწმუნეების ყოველ-გვარს მანქანობასა და ევრაგობაში მოწაწილეობას იღებდი, მაგრამ ჯერ ყმაწვილი, თითქმის ბოვში ხარ, ამიტომ მოწყალეობით მოგექცევი და მოგიტყუებთ, თუ შენს ღმერთს უარსა ჰყოფ და სახელმწიფოას ღმერთებს მსხვერპლს

შესწირავ. შენ დედის-ერთა შეილი ხარ... იფიქრე
 იმაზედ! შეიბრალებ შენი თავი! საშინელი ხვედრი
 მოგელის!

პანკრატი ჩუმად იყო. პირის სახე ოდნავ გაუ-
 ფითრდა, მაგრამ კი არ შესცვლია; ამისმა სახემ რა-
 ლაც განსაკუთრებით გამოხატულებაც მიიღო, თით-
 ქვას დაფარულის ძლიერის გრძნობისაგან გაუნათლ-
 და სახეო. მართი ბიჯი წინ გადადგა და ამ მოძრაობაში
 სჩანდა შეუცვლელი და მოუღრეკელი გამბედაობა.
 პანკრატმა წყნარად და მტკიცედ დაიწერა პირჯვარი:

— მე ქრისტიანი ვარ, სთქვა მან, — და მხოლოდ
 ჩემს შფალს, მისს ძეს და სულს — შმიდას ვსცემ
 თაყვანს, ისინი მიყვარს და მხოლოდ მათ
 მოუწოდებ ხოლმე. სახელმწიფოს ღმერთები,
 თქვენი ღმერთები შეურაცხსაყოფნი და დასავიწყებელ-
 ნი არიან.

— მე მიეცეს ჯალათებს! ღაიქახა პრეფექტმა.

სხდომა გათავდა გარდაწყვეტილებით, რომლის
 ძალითაც ლუკიანი, პანკრატი, იუსტინე და ბევრი
 სხვები და მათ შორის ორი ქალი: სეკუნდა და
 რუფინა მხეცებს უნდა მისცემოდნენ დასაგლეჯად,
 რადგანაც ისინი გამოტყდნენ, რომ ქრისტიანები
 არიან და ამის გამო არ დაემორჩილეს კანონს, სა-
 ხელმწიფოს ღმერთებს თაყვანი არა სცეს და
 მსხვერპლი არ შესწირეს მათ.

ხაღიხმა აღტაცებითა და ტაშის კვრით მიიღო
 ამ გარდაწყვეტილების გამოცხადება და უბედური
 ტყვეები სიძულვილის მხეცურის კიჟინით გააცილა

საყრობილის კარებამდის; მაგრამ როცა ტყვეების შივნით შესვლის შემდეგ კარები დაიკეტა, მაშინ ბევრი მათგანი უნებლიეთ ჩაფიქრდნენ. დასაჯელი ქრისტიანების მშვიდობიანმა და ნათელმა პირობებმა ბევრს მათგანზედ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ქველა, ვინც კი სიძულვილისა და ბოროტობის გამო გონებით დაბრმავებული არ იყო, უნდა გამოტყენილიყო, რომ ეს დევნილი ქრისტიანები არც ავაზაკებს და არც უკეთურსა და ბოროტ-კაცებს არა ჰგავდნენ. ასე ჰფიქრობდნენ ზოგიერთი გონიერი კაცები, მაგრამ ამისთანაი ხომ ყოფელთვის ცოტანი არიან! დიდი ქალაქის განიერს ქუჩებზედ წყნარად იშლებოდა ხალხი და მომავლის დღესასწაულებისა და თვალისიერის ნახვას შეჰხაროდა. ხალხი შორს იყო იმ აზრისაგან, რომ ეს ქუჩები, ეს ხელოვნების სამახსოვრო შენობები და თვით ეს რომის სახელმწიფოც ბარბაროსებისაგან უნდა დაღუპულიყო, რომ რომაელების სისხლი უნდა დაღვრილიყო იქ, სადაც აქამდის მხოლოდ მოწამეების სისხლი იღვრებოდა. თვითონ ქალაქს, საუკუნო რომის-ქალაქს, დიდისხნით უნდა ჩაეღუნა თავი და ბარბაროსების უფლება უნდა მოეთმინა. ღვთის განგება გამოუკვლეველია! ძველად მაგიერის მიგებას შურის ძიებას, ნემეზიდას, ეძახდნენ, მორწმუნენი კი იმას ღვთის სამართლისა და სიკრუის, უსჯულოების და უსამართლოდ დაღვრილის სისხლისათვის დამსჯელს ღვთის ხელს ეძახიან.

XXIV

სანამ ჩვენა მოთხრობას განვაგრძობდეთ, რამდენიმე სიტყვა კოლიზეუმზედ *) უნდა ვსთქვათ. ახლაც კიდევ აკვირვებს ყოველს მოგზაურს იმის ვეება, ერთის მხრით ჩამონგრეული კედლები, წარჩინებული სიდიდე, განიერი თალები, გრძელი დერეფნები და თვალ-უწვდენელს სიმაღლეზედ ამფითეატრულად აყვანილი დასაჯდომი ალაგები. აღამიანი ძლივს უჯერის თავისს თვალს, როცა ჰხედავს ამ ვეება და დიდად მშვენიერს შენობას, რომლის მსგავსი, როგორც სიდიდით, აგრეთვე სიმშვენიერით მთელს ქვეყანაში თითქმის არა მოიპოვება-რა. შესასიანემ და ტიტოსმა, ერთი-მეორის შემდეგ, უანგარიშო ფულები დახარჯეს იმის აშენებაზედ. კოლიზეუმის არქიტექტურაში ბერძნული გემოვნების სიმშვენიერე და ეკვიპტური და სირიული გემოვნების სიდიდე არია შეერთებული. თავიანთ სიდიდის გამო დაერქვა მას სახელი: კოლიზეუმი, COLOSSEUM, ე. ი. კოლოსი, უზარ-მაზარი. მართლაც, ეს ქვითკირის შენობა სიმაღლით მხოლოდ ეკვიპტის პირამიდებს თუ ჩამორჩება და სისრულით კი იმისი მსგავსი არსად არა იქმნება-რა. ნამდვილად არ იციან სახელი იმ ხუროთ-მოძღვრისა, ანუ ხუროთ-მოძღვართა, რომ-

*) კოლიზეუმი იყო რომში დიდი და მშვენიერი თეატრი.

მელთაც ეს გენიოსური, მშვენიერი და დიდებული პლანი მოუგონიათ და ასე გასაოცრად აუშენებიათ ეს შენობა. პოლიზეუმს, როგორც ყველა ბერძულ-რომაელს შენობებს, ნახევრად მრგვალი ფორმა ჰქონდა. მის გარშემო აშენებული იყო: რომის იმპერატორების სასახლეები, სალდათების კაზარმები, გლადიატორების სადგომი სახლენი, მხეცების დასამწყვდევი სოროები, საწამებელის და დასასჯელის იარაღების გასასყიდი ღუქნები, კერპების საყდარი, სასამართლო, რომელშიაც ქრისტიანებს ასამართლებდნენ და ქვა, რომლიდგანაც სიკვდილით დასჯას გამოუცხადებდნენ მათ. პოლიზეუმში შესასვლელს კარებთან ნერონის ვეება ანდრიანტი იდგა. მითქო ამ დიდის-ხნის საფლავში დაბრწინოს ქრისტიანობის პირველს მღვწელს ჰსურდა, რომ მათს წამებას და სიკვდილით დასჯას მთელის საუკუნეების განმავლობაში კიდევ დასწრებოდა ხოლმე. მეთონ კოლიზეუმის აწერა ჩვენთვის ძნელია; კაცმა თვითონ უნდა ნახოს, რომ იმისის სიმშვენიერის, დიდებულობის და სიერცის წარმოდგენა შეიძლოს. შუაზედ იყო ასპარეზი, რომელზედაც აბრძოლებდნენ მხეცებს, კაცებს და ამას გარდა კაცებსა და მხეცებს ერთმანერთთან. ასპარეზს გარშემოვლებული ჰქონდა მოაჯირი, რომელიც მაყურებლებს ჰყოფდა მხეცებისაგან და იფარავდა მათ. მოაჯირს აქეთ მორგვალოდ რამდენიმე წყებად კიბე-კიბე ჰმემოვლებული იყო ფართე ქეები, რომელზედაც

მაკურებლები ისხდნენ და უკანასკნელი წყებები ისე
 მალლა იყო, რომ კაცს შეხედვის შეეშინებოდა.
 ძირს, როგორც ჩვენს თეატრებშიაც არის, პატივ-
 ცემულთ პირთათვია გაკეთებული იყო ლოყები.
 მალლა ხალხი ჯდებოდა. ამფითეატრს რამდენიმე
 კარები, უშველებელი თაღები და ვეება დერეფნები
 ჰქონდა გარს-შემოვლებული. ახლა ნება მომეცით
 ვიამბოთ, თუ როგორ მოჰხდებოდა ხოლმე კრივი,
 ან ხალხს როგორი წყობილება ჰქონდა კოლიზეუმ-
 ში წარმოდგენის დღეს. მზის ამოსვლის დროს, რო-
 გორც კი მზის პირველი სხივები კოლიზეუმის აღ-
 მოსავლეთის მხარეს მიადგებოდა და შენობას შიგ-
 ნით შეატანდა, გამოჩნდებოდნენ მონები, რომელ-
 თაც წითელ-ბაწარ-ჩაბმული მოშინაურებული მხეცები
 მოჰყავდათ; სხვა, შორის ქვეყნიდან გამოწერილი
 მხეცები ყვავილებით მართულს გაღაებში დამწყვდე-
 ული მოჰყავდათ უშველებელის ურმებით. ურმებს
 გვერდით მოჰყვებოდნენ მხეცების მომვლელი ზანგი-
 მონები. პატარა ხანს უკან გამოჩნდებოდნენ სალ-
 დათების ჯარები, რომელთ დანიშნულება მღგომა-
 რეობდა იმაში, რომ აესრულებინათ იმათი ბრძანე-
 ბა, ვისაც მინდობილი ჰქონდა ამ დღესასწაულობაში
 გამგეობა და ზედამხედველობა. უსაქმო კაცები მზის
 ამოსვლიდგანვე ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ ნერო-
 ნის ანდრიატთან და რომის ქუჩებზედ და ელოდნენ იმ
 წამს, თუ როდის გაიღებოდა ცირკის კარები. ზანთია-
 დიდგანვე შორიდგან მოიხმოდა ყრუ ხმა, რომელიც
 აცნობებდა, რომ დიდი რომის ყოვლის მხრიდგან ხალხი

მოეშურებოდა ერთის მიზნისაკენ, დიდის კოლიზუ-
 მისაკენ და ეს დიდი კოლიზუმიც თითქოს შთანთქავდა
 მთელს დიდი რომის მცხოვრებლებს. შევლამ იცის,
 რომ კოლიზუმის ამფითეატრში აი-ათასი კაცი ძლი-
 ერ თავისუფლად ეტეოდა.

შველაზედ უწინ წარმოდგენის გამგე ზედამხედ-
 ველები და უფროსები შევიდოდნენ კოლიზუმში,
 მზრუნველობით ათვალიერებდნენ, ხომ ყველაფერი
 კარგად მოწყობილი და დალაგებული არისო, ხომ
 არა დაეიწყებიათ რა, ან გარეული მხეცებისაგან
 მაყურობლების დამფარველი მოაჯირები თუ მაგარია
 და ან ასპარეზზედ თუ ქვიშა დაუ რიათო. ასპარეზზედ
 ქვიშას მიტომ აყრიდნენ, რომ სისხლის ღვარი არ
 დამდგარიყო; ქვიშა მაშინვე შესვამდა სისხლს და
 საკმაო იყო, ცოტა ქვიშა კიდევ მოეყარათ, რომ
 სისხლის კვალი სრულიად გამქრალიყო. ძალიგულა
 და ნერონი წითელის ქვიშით აფენინებდნენ ასპა-
 რეზს, რომ სისხლა სრულიად არ დაჩნეოდა. შე-
 ნობია კედლებს დატანებული ჰქონდა ლანდურებ-,
 ანუ კოჭები და ამ ლანდურებზედ მიმაგრებული იყო
 გრძელი და გემი, იალქნებსავეით ფართე ფარდები,
 რომელთაც ბორბლებზედ დახვეულას მაგარის თო-
 კების შემწეობით შლადნენ და ჰკეცდნენ. ამ ფარ-
 დებთან იდგნენ იალქნების მართვაზედ კარგად გაჩ-
 ვეული მატროსები, რომელნიც საგანგებოდ მოჰ-
 ყავდათ ხოლმე გემებიდგან. როგორც კი უფროსები
 ანიშნებდნენ, მატროსები მაშინვე მარდად და
 მსწრაფლად აცოცდებოდნენ ძელებზედ; ყოველი
 მათგანი დანიშნულს ადგილისკენ მიეშურებოდა და

ყოველის მხრიდგან შლიდნენ ძვირფასს ქსოვილებს,
 რომელთაგან ამ გვარად შესდგებოდა თავანი, რომელიც
 სინათლეს კი უშვებდა ძირს, მაგრამ მაყურებლებს
 იფარავდა მზის მხურვალე სხივებისაგან, ან უეცარის
 წვიმისაგან. ეს ქსოვილებისაგან შემდგარი სახურავი
 შესანიშნავი ზამთრის როგორც თავისის სიმშვენიერით,
 აგრეთვე ძვირფასობითაც. ნერონის დროს მასზედ იყო
 დახატული თვითონ ნერონი, რომელიც ვარსკვლავებიანს
 ცაზედ ეტლის მმართველად იყო წარმოდგენილი. ტიტოსის დროს
 თავანი იყო გაკეთებული სხვა-და-სხვა ნაირის სახეებით
 მოქარვულის ოქრომკედისა და აბრეშუმის ქსოვილებით.
 ხან-და-ხან ამ ფარდებს ფერად-ფერადის ქსოვილებიდან
 აკეთებდნენ, მაგრამ უფრო ხშირად კი ალისფერი იყო
 ხოლმე. წითელს ქსოვილში გამჭვირვალე მზის
 სხივები ოქროს ფერს აფენდა კოლიზეუმის კედლებს
 და თვით შენობასა და იქ მახლობლად
 მაყურებელთაც თილისმურს შეხედულობას
 აძლევდა. პაპარეზს, ანდრიანტებს, მარმარილოს
 სვეტებს, ბროლის ბალიუსტრადებს და ოქროს მოაჯარებს
 ეფიქებოდა ნაზი ვარდის ფერი. სხივი და იქაურობას
 კიდევ უფრო ამშვენიერებდა. სანამ ცირკუსში
 ჭერზედ ფარდებს აფარებდნენ, მიწის-ქვეშეთში
 მონები სულ სხვა სამზადისში იყვნენ: ღრმა ორმოები
 დიდგან მხეცებს უშვებდნენ ცირკის ქვეშ გაკეთებულს
 ქვის მღვიმეებში, საიდგანაც ნიშნის მიცემისათანავე
 კარებსა და მოაჯირს გაუღებდნენ და მხე-

ცებს ასპარეზზედ გამოუშვებდნენ. მოხდებოდა ხოლმე, რომ დიდს დღესასწაულებზედ ღრმა ორ-მოებს წყლით გაავსებდნენ, მერე იქიდგან ასპარეზზედ შეუშვებდნენ და ამ გვარად წარმოსდგებოდა დიდი ტბა, რომელშიაც გემები სცურავდნენ და ერთმანერთს ებრძოდნენ. ხან-და-ხან ამ ტბაზედ გამოჩნდებოდა ერთი ვეება გემი, რომელსაც უეცრად გაეხსნებოდა გვერდები, იქიდგან სხვა-და-სხვა ცხოველები გამოხტებოდნენ და ხელოვნურის ტბის ხელოვნურად გაკეთებულს ტალღებს ცურვით აპობდნენ. ხან-და-ხან, თვალისერიის განსახსნავებლად, ასპარეზზედ მოულოდნელად გასკდებოდა განიერი ნაპრალი და იქიდგან მაღალი, ოქროს ხიდიგ-მოსხმული ხეები გამოჩნდებოდა. ეს წარმოადგენდა ზესპერიდის ბაღს. მრფეოსი თავისკენ მიიზიდავდა მათ და თვითონ ჰკვდებოდა დათვისაგან დაგლეჯილი. ამ მაშინებს მიწის-ქვეშეთში მონები მართავდნენ და დიდის მზრუნველობითაც უგდებდნენ ყურს, ამიტომ რომ ეს საქმე საკუთარს სიცოცხლედ უღირდათ მათ. ღმერთი რომ გასწყრომოდათ და რომელსამე მაშინას ვერ ემოქმედნა როგორც რიგი იყო, ხალხი მაშინვე დრტვინვას მოჰყვებოდა და შემცოდეს უცილოდ მოელოდა სიკვდილი. იმ საშინელს დროებში კაცის სიცოცხლე არაფრად არ მიაჩნდათ და მონის სიცოცხლე ხომ, რასაკვირველია, პირუტყვის სიცოცხლეთაც არ უღირდათ.

სანამ აქ ყოველივე სამზადისს გაათავებდნენ, ყრუ ხმაურობა თან-და-თან უახლოვდებოდა კოლიზეუმს. მს ხმა ოკეანის გრგვინვას, ზღვის ღელვის ხმაურობას მიემსგავსებოდა, — ეს იყო რომის ქალაქის ყოველის მხრიდგან კოლიზეუმისაკენ მომავალი ურიცხვი ხალხის ხმა. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ხალხი და ზედი-ზედ იერიშით, თითქო ზღვის ზვირთები, გარს ასკდებოდა ხოლმე ამ ვეება შენობის კედლებს. ბოლოს კარები ძლივს გაიღებოდა. ურიცხვი ხალხი მიცვივოდა ქვედა ეტაჟის კარებში, ადიოდა განიერს კიბეებზედ და ამფითეატრის გარშემო დერეფნებს ერთიანად ავსებდა. მალე ეს ათასი და ათი-ათასი მაყურებელი თავ-თავის ალაგს დასხდებოდნენ ამ თვალუწვდენელს ცირკში და ვეება ამფითეატრს თავიდგან ბოლომდის გაავსებდნენ. ცირკი ორ ნაწილად გაიყოფებოდა: ერთი ზემოთ და მეორე ქვემო ეტაჟად. ქვემო-ეტაჟა სამს ნაწილად გაიყოფებოდა. პირველს ნაწილს ეძახდნენ ორკესტრს და დანიშნული იყო უწარჩინებულელის კაცებისათვის, სენატორებისა და მოსამართლეებისათვის. მეორე EQUESTRIA — მხედრებისათვის; მესამე POPULARIA — ხალხისათვის, ე. ი. რომის მოქალაქეთათვის, რომელნიც არც სენატორებისა და არც მხედრების რიცხვს არ ეკუთვნოდნენ. სენატორები ყველაზედ უფრო ახლოს ისხდნენ ასპარეზთან. ამავე განყოფილების საუკეთესო ნაწილში, ცირკის აღმოსავლეთის მხარეს იმპერატორის ალაგი იყო; იმისი ოქროთა და სპილოს ძვლით შემკული

სავარძელი მდიდრულად მორთულს ბალდახინს ქვეშ იდგა ამაღლებულს ადგილზედ. ზვერდით ქურუმები და ვესტალკები უხანდენ. ცირკის ზემო ნაწილში უბრალო სკამებზედ იჯდა რომის უბრალო ხალხი. სკამების წყებებს მაღალი ვალერეები ჰყოფდენ ერთმანერთიდგან; აქ ქალები ჯდებოდენ. აგვისტოს იმპერატორის ბრძანებით ქალებს მხოლოდ შორიდგან შეეძლოთ ეყურებიანთ მოასპარევეთ ბრძოლისათვის. ამუითეატრის ზემო-ეტაჟის გარშემო შემოვლებული იყო მოაჯირი და აქ იდგნენ მესაკრავეები, რომელთ დაფები და საკრავები ამხნეებდნენ მებრძოლთ და ქებას უფასხამდნენ გამარჯვებულებს.

დამზადებდნენ თუ არა ყველაფერს და მესაკრავენი თავიანთს ალაგს დაიჭერდნენ, მაშინვე გამოჩნდებოდნენ ვესტალკები, რომელნიც ტახტრევანდით მოჰყავდათ ხოლმე. მხეცების ღმუფილი და ბლავილი აყრუებდა მთელს ცირკს და აცნობებდა ხალხს, რომ მხეცები მიწის-ქვეშ გაკეთებულს მღვიმეებში არიანო და მოუთმენელად ელიანო ერთის წამის თავისუფლებას. ამ დროდგან ყველას თვალი იყო ხოლმე მიქცეული აკვილინის მთისკენ გასასვლელ კარისაკენ, საიდგანაც შემოდისოდა ხოლმე ძეისარი მრავალის ხლებულებით და თავის ალაგისაკენ წავიდოდა. ამ დროს ყველანი წამოდგებოდნენ; მაყურებელთ უნგარიშო გროვა მოძრაობას იწყებდა; გაისმოდა მაღალი ტაშის ცემა და ყვირილი: ამბრძანებელს გაუმარჯოს! მაგიმარჯოს, ყველაზედ უბედ-

ნიერესო! შენ უკუნისაჲდე გამარჯვებულ იქმნები! მეება შენობის კედლები საშინელის ხმაურობით აძლევდა ბანს ამ ყვირილს. ისე მალლა, საშინელს ქუხილსავით გაიძოდა ეს ბანი ცირკის ყოველს მხარეს, რომ ყურთა სმენა აღარ იყო; ამ კიჳინით შეწინებულნი ველური მხეცები სჩუმდებოდნენ თავიანთს სოროებში. ლომების ქუხილი, როგორც მაშინ ამბობდნენ, შესწყდებოდა და ფარისევლები ამბობდნენ: ღვთაებრივი იმპერატორის აქ ყოფნას თვით მხეცებიც კი ჰგრძნობენ, თაყვანს სცემენ მას და ბიზგან აღძრულს საყოველთაო აღტაცებას ინაწილებენო. თუ რაიმე შემთხვევით იმპერატორი არ მოვიდოდა საყურებლად, მაშინ თავის მაგიერად დანიშნავდა კომმისარს, რომელსაც თავმჯდომარის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. კომმისარი შემოვიდოდა ხელში სპილოს ძვლის სკიპტრით, რომლის თავზედ ფრთებ-გაშლილია ოქროს არწივი იჯდა. მთელის წარმოდგენის დროს ხელში უნდა ჰკავებოდა მონას კომმისარის თავზედ ოქროს გვირგვინი.

მაგრამ ის კი არ იფიქროთ, რომ კოლიზეუმში წარმოდგენები მარტო გლადიატორების ბრძოლით, ან მხეცებსა და იმათ დასაგლეჯად მიცემულს ქრისტიანებს შორის იმით თავდებოდაო. რომაელებს სწვა-და-სხვა გვარი თვალისერი უყვარდათ. იქაც, როგორც ახლა ჩვენს თეატრებშია, გამოდიოდნენ ჯამბაზები, თვალთ-მაქცები და ომიბაზები. ძალურის

ტანისამოსით მორთული დათევები დაიარებოდნენ
 ოთახებში და ათას-ნაირს ოინებსა შერებოდნენ.
 მოშინაურებული ლომები, რომელთაც კლანჭები
 მოოქრული ჰქონდათ და კისერზედ ძვირფასი ყელ-
 საბამები ეკიდათ, ეთამაშებოდნენ კურდღლებს, რომ-
 მელთაც მათ პირში აძლევდნენ და ისინი მე-
 ტის-მეტის სიფრთხილით ჰკიდებდნენ კბილს და სრუ-
 ლიად არრას უშაევდნენ. შემდეგ რწყვილ-რწყვი-
 ლად შემოდოდნენ ქალურად და კაცურად ჩაცმუ-
 ლი მოშინაურებული სპილოები, მართებულად სხ-
 დებოდნენ სტოლზედ და ძლიერ შეფერებით სვამ-
 დენ და სჭამდენ ოქროს თასებზედ მორთმეულს
 სასმელ-საჭმელს და შემდეგ, ხუმრობით, ახლოს
 მახდომ მაყურებელთ სუნნელოვანის წყლით აკუ-
 რებდნენ. მერე თავის ადგილს უთმობდნენ სხვა
 სპილოებს, რომელნიც საბალო ტანისამოსით მორ-
 თულნი გამოვიდოდნენ, ასპარეზს ყვავილებით მოჭ-
 ფენდნენ და ცეკვას დაიწყებდნენ.

დაიფარებოდა თუ არა ასპარეზი კაცებისა და მხეცე-
 ბის აორთქლებულის სისხლით, მაშინვე ზევიდგან ჩა-
 მოცვივოდა სუნნელოვანი ცვარი და ჰაერს გასწმენდდა.
 ამისათვის გაკეთებული იყო მრავალი დაფარული
 ფეხები, სადაც მსახურები სუნნელოვანს ბალახებს
 ხარშავდნენ.

მორთკლი ურიცხვის მილებით და ან ანდრიანტებ-
 ში გაკეთებულის ხვრელებით გადიოდა ასპარეზზედ,
 სცენაზედ სუნნელოვანს ცვარად ეცემოდა და სისხ-
 ლის უსიამოვნო სუნს აქრობდა. ხალხი ხშირად

ტაშის კვით მიიღებდა და გააცილებდა ლომებსა და ვეფხვებს, რომელნიც მეტად უყვარდათ, რადგანც ისინი კარგად იყენენ გაწაფულნი კაცების დაგლეჯასა და ერთმანერთთან ბრძოლაში. მხეცებისადმი ხალხის სიყვარული იმდენზედ იყო ხოლმე მიწეწილი, რომ ხან-და-ხან ხალხი დაჟინებით თხოულლობდა მისი საყვარელი მხეცი, აფრიკაში დააბრუნონ და გაანთავისუფლონ. ხან-და-ხან ისიც მოხდებოდა, თუმცა უფრო იშვიათად, რომ ხალხი მოითხოვდა იმ გლადიატორის პატივებას, რომელიც მას განსაკუთრებით ასიამოვნებდა. მაგრამ ქრისტიანებზედ კი არას დროს არ მოიღებდენ ასეთს მოწყალებას.

დღესასწაულისა და ცირკში წარმოადგენისათვის დანიშნულის დღის წინათ, ე. ი. დაჭერილის, დატუსაღებულისა და გასამართლებულის ქრისტიანების სიკვდილის წინა-დღეს გასაკვარველს სახილველს წარმოადგენდა საპრობილე, სადაც ქრისტიანები იტანჯებოდნენ. ქრისტიანები არა თუ არ ეძლეოდნენ სულ-მოკლე შიშსა და სასოწარკვეთილებას, ისინი მამაცობასა და სულის სიმშვიდესაც კი იჩენდნენ. შველანი ერთად იკრიბებოდნენ, მუსაიფობდნენ და ხშირად ფსალმუნებსაც ჰგალობდნენ. სიკვდილის წინა დღეს თვით ჯალათებიც და ქრისტიანების მტარვალებიც უფრო ლმობიერად ექცეოდნენ და ცოტაოდენს თავისუფლებას აძლევდნენ საბრალოებს. შესად იყო დადებული, რომ სიკვდილის წინა-საღ-

მოს იმათ მიართმევდნენ ვახშამს, რომელსაც თავი-ს უფალ ვახშამს ეძახდნენ. ამ გვარს ვახშამზედ ბლომად მოართმევდნენ რჩეულს საქმელებს. საზოგადოებასა და დასასჯელების მეგობრებს იმ სალამოს საპყრობილეში შესვლის ნებას აძლევდნენ. წარმართები მიდიოდნენ ცნობის-მოყვარეობით, იმ კაცების სანახავად, რომელნიც მაშინდელი საზოგადოდ მიღებული მხრით: ხვალ დილით მხეცებთან საბრძოლად უნდა გამოვიდნენ, დაჩვენ კა ასე უნდა გადმოეთარგმნოთ ეს სიტყვები: მხეცებს მიეცემიან დასაგლეჯად. რა ბრძოლა შეიძლება გარეულს მხეცებსა და უიარაღო კაცებს შორის, როცა ერთის მხრით დგანან მოხუცები, ქაბუკები და ქალები და მეორე მხრით—ლომები, ტიგრები და ათორები.

საპყრობილეში რომ ვახშამი მოიტანეს და დამშვიდებული, მაგრამ, როგორც სიკვდილის წინათ რიგია, ჩაფიქრებული და დარბაისელი ქრისტიანები დასხდნენ, იქ მყოფთ გარეშე პირთ შეკქმნეს მოუჩიდებელი ლაპარაკი: ზოგნი მათგანი ხუმრობდნენ და იცინოდნენ, სხვები თითოთ ანიშნებდნენ ახალგაზდა ქრისტიანებზედ, უკვირდით მათი სიმშვიდე და იმათს სიყმაწვილეს იბრალეზდნენ. მაგრამ ამისთანები ცოტა იყო; საზოგადოების უმეტესი ნაწილი უსიამოვნოდ უყურებდა მათ და თავისს სიძულვილსა და შეურაცხებას ხმა-მალლა აცხადებდა. „რათ უნდა შევიბრალოთ ეგენი, ამბობდნენ ბევრი მათგანი,

ეგენი ქრისტიანები არიან! შველანი უნდა გავსწყვი-
 ტოთ!— შგენი ყველანი ვერაგები და ფარისევლები
 არიან! შველამ იცის, რომ მაგათთანა ცრუები და
 მხალღები მთელს ქვეყანაზედ აღარაეინ მოიპოება!
 აი, ვნახოთ, ხვალ როგორ შეშინდებიან! ახლა
 მხოლოდ თავს იწონებენ ვითომ გულადობით.»

პანკრატს, რომელსაც იმედი ჰქონდა, ჩემს მე-
 გობრეშში მოსვენებით ვსჭამ ამ უკანასკნელს ვახ-
 შამს და მათთან ვიმუსაიფებო, ძლიერ ეწყინა, ეს
 სიტყვები რომ გაიგონა, სტოლს გარშემოხვეულს
 საზოგადოებას მიუბრუნდა და მკვირცხლად და გან-
 ძვინებით უთხრა:

ნუ თუ თქვენთვის ხვალინდელი თვალისიერი
 არ არის საკმაო? ნუ თუ არ გეყოფათ ჩენი ყუ-
 რება ხვალ, როცა თქვენს შესაქცევლად მხეცებს
 მიგვეცემენ დასაგლეჯად და ცირკში დაეიხოცებით?
 აბა, გვიყურეთ! ზვიყურეთ! ძარგად დაიხსოვნეთ
 ჩენი სახე: ჩვენ ერთმანერთს ვნახავთ იმ სამსჯავ-
 როში, სადაც ყოველი კაცი მართლ-მსჯელის მსა-
 ჯულისაგან განისჯება, და იქ გვიცნობთ ჩვენ.

ხალხმა რომ საზიზღარის ქრისტიანისაგან ასეთი
 მოულოდნელი ყვედრება გაიგონა, უკან დაიწია და
 მალეც გავიდა საპყრობილიდგან. მაშინ ქრისტიან-
 ნებთან მარტო მათი მახლობელნი დარჩნენ. მათ
 შორის იყო სებასტიანეც, რომელიც მხოლოდ მა-
 შინ მოვიდა აქ, როცა ხალხი მიდიოდა საპყრობი-
 ლიდგან. იგი ცხადის მწუხარების გრძნობით მივიდა

პანკრატთან, რომელიც მეტად უყვარდა და რომელმაც ძლიერ დიდი იმედი ჰქონდა მომავალში... და ახლა კი პანკრატის უღროვო და სასტიკის აღსასრულის მოწმედ უნდა გახდეს!.

— დედა ჩემზედ რას მეტყვი? ნახე დედა-ჩემი? ჰკითხა პანკრატმა, რომელსაც ღმა აუკანკალდა და ჩაუწყდა; კაცს ეგონებოდა, მხნეობა და სულის სიმშვიდე ეკარგებოდა. ძილვე უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ცრემლებმა კისერში მოუსწრო და ვეღარ შეიძლო სიტყვა გამოეთქვა. მისს მშვენიერს პირისახეზედ სტევიოდა მარგალიტსავეთ ბრწყინვალე ცრემლები, მაგრამ ცისადმი მიმართული თვალები თან-და-თან უფრო ეწმინდებოდა და სახე უბრწყინდებოდა. ასეთია სარწმუნოების ძალა და სიმართლის ყოვლად შემძლებლობა! მა გრძნობანი ამხნეებენ კაცს და რა ნწუხარებაც უნდა ეწეროს მას, ეს ორი გრძნობა ყოველთვის აძლევს ჯეროვანს გულალობას და მხნეობას.

სებასტიანემ რამდენისამე წამის განმავლობაში პასუხი ვერ გასცა; პანკრატი პასუხს არ ელოდა. ის იღვა გულ-ხელ-დაკრეფილი, თვალები ცისაკენ მიემართა და ჩაფითრებულის ტუჩებით ლოცვას ბუტბუტებდა. თან-და-თან სახე გადაეწმინდა და მწუხარების ნაცვლად სახეზედ გამოეხატა საკვირველი სიმშვიდე და სინათლე, თითქოს რაღაც ახლის გრძნობით გაუბრწყინდა სახეო. მაგრად შეკრული ხელები გაეხსნა და ძირს დაეშვა, თოჯელსავეთ თეთრს ლო-

ყებზედ ცრემლები შეაშრა; სებასტიანეს რომ მიუბრუნდა, პირის-ახე სრულიად დამშვიდებული ჰქონდა და აღარც ხმა უკანკალებდა.

ჩემი საყვარელი დედა! უთხარი მას, რომ მე სიხარულით ვკვდები ჩემის სარწმუნოების დიდებისათვის; უთხარი, რომ ამ მართალის საქმისათვის მომკვდარს მამას ვნახე იქა-თქო; მე ვიცი, ვგრძნობ, რომ სარწმუნოების ძლევა უმანკო სისხლის დაღვრით უნდა ვიყიდოთ. უთხარი, რომ ნამეტნავად ნუ შესწუხდება, ყველანი ჩვენს ზეციერს მამასთან შეხვდებით ერთმანერთს. «სიკვდილისაგან ცხოვრებად», სქთვა მაცხოვარმა.

— დედა-შენი არ მინახავს, თუმცა ორჯერ მივედი მასთან, უთხრა სებასტიანემ. — მოსამსახურეები ამბობენ: თავის სამლოცველოდგან არ გამოდისო და არც არავის ნახვას ნდომულობსო. მინდოდა მერჩია მისთვის, მოსულიყო...

— აქ მოსულიყო? უთხრა პანკრატი, — ოხ, ნუ, ნუ მოვა!... თუმცა კი ძალიან მსურს კურთხევა მივიღო მისგან, მაგრამ სიკვდილის წინა-დღეს მისი ნახვის მეშინია... ის ვერ აიტანს ამ უკანასკნელს...

პანკრატი კიდევ შეჩერდა, რადგან ტირილმა მოუსწრო ყელში, მაგრამ მაინც თავს ძალა დაატანა და უფრო მტკიცედ სთქვა:

— ნულარ ვილაპარაკებთ მაჟედ. ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვები უთხარი მაშინ, როცა მე აღარ

ვიქმნები... ღაე იცოდეს, რომ მე ბედნიერად და სარწმუნოებით გულსავე მოვკვდი სიმართლისათვის... გახსოვს, სებასტიანე, ის საღამო, მე და შენ რომ ღია ფანჯარასთან ვიდექით და უეცრად ლომის ღრიალისა და აფთრის ღმუხილის ხმა მოგვესმა? მაშინვე რაღაც ნაირად შემიკრთა გული, თითქოს ვიღაც მიჩურჩულებდა, შენც სარწმუნოებისათვის მოკვდები, შენც ეს დიდი პატივი... ეს დიდებული სიკვდილი გიწერიაო.

— ჭეშმარიტად, დიდებული!... წარმოსთქვა სებასტიანემ დაბალის ხმით, მაგრამ ღრმა გრძნობით.

— რას ამბობ? ჰკითხა პანკრატმა, რომელმაც ვერ გაიგონა ამისი სიტყვები.

— მე ვფიქრობ იმაზედ, თუ რამდენი განსხვავებაა მორწმუნე და ურწმუნო კაცებს შორის. აზრით და გრძნობით მცხოვრები კაცი და მხოლოდ ხორციით, სხეულით მცხოვრები კაცი—რა ნაირი განსხვავებული არსებანი არიან ეს ორნი! მე ესცხოვრებ იმისთანა კაცებს შორის, რომელნიც მხოლოდ მდიდრად და განცხრომით ცხოვრებაში და პატივისა და სახელის დამსახურებაში ჰპოვებენ ბედნიერებას. იმათ სიკვდილის ეშინიათ. რა ნაირად შეძრწუნდებიან ხოლმე, ავად-მყოფს, ან მკვდარს რომ დაინახვენ; ქალაქში გადამდები ჭირის გაჩენაც კი მეტად შეაძრწუნებს იმათ. ეს შიში ყოველს წამს აწუხებს მათ. მათი სიკოცხლე მოჩვენებითის ბედნიერებისა და ცხოვრებით განცხრომის ძებნაში მამდინარეობს.

ახლა შენ რომ გიყურებ... შენ, საშიშარის სიკვდი-
 ლით დასასჯელი, სულით არ შეძრწუნებულხარ! მხნედ
 და ღონიერთა ხარ! სასიკვდილოდ მიღიხარ ღრმა
 რწმუნებით, რომ შენ კვდები სიმართლისათვის...
 სარწმუნოებისათვის... შენ ბედნიერი ხარ... ღმერთს
 ესთხოვე, მეც მაგ ნაირივე და მაგ საქმისთვისვე
 სიკვდილი მაღიბსოს! შენ მაძლევ წმიდა მაგალითს,
 თუ როგორ უნდა თავის შეწირვა და სიკვდილამდე
 ერთგულობა.

სებასტიანე აღელვებული იყო; პანკრატიც კი
 იყო აღელვებული. ისინი ერთმანერთს მოეხვიენენ და
 დიდ-ხანს ხმა-ამოუღებლად იდგნენ, გამოუთქმელის
 ალტაცებით აღსავსენი.

— ნუ მიმატოვებ ხვალ, სასიკვდილოდ რომ წამი-
 ყვანენ და ჩემი უკანასკნელი სიტყვა, ჩემი უკანასკნე-
 ლი საჩუქარი დედას წაუღე, უთხრა ბოლოს პანკ-
 რატმა.

— შენთან ვიქმნები, არ მიგატოვებ; ყველა-
 ფერს აგისრულებ, მიუგო სებასტიანემ მტკიცედ.

ამ დროს დიაკვანი შემოვიდა და უთხრა, სა-
 პურობილეში მღვდელი მოვიდა, წმიდა საიდუმლო
 მოიტანა და ქრისტიანებს აღსარებას ათქმევინებსო.
 პანკრატი მაშინვე მოშორდა სებასტიანეს და დიაკ-
 ვანს გაჰყვა საპურობილის განმარტოებულს კუთხი-
 საკენ, სადაც ქრისტიანები კიდევ შემოხვეოდნენ
 მღვდელს. აქ იყო ყოველი ასაკისა და სქესის ხალ-
 ხი. ძალები განირჩეოდნენ განსაკუთრებულის სულ-

გრძელობით და განსაკუთრებით ალტაცებით; ისინი გასაკვირველის გულადობით ემზადებოდნენ სასიკვდილოდ.

XXV

ხალხი ამფითიატრისაკენ მიეშურებოდა. რომისა და მის გარემო ალაგების მცხოვრებნი მიეჩქარებოდნენ იმათის სისხლით დასათრობად, ვისაც სთვლიდნენ თავისს უსაშინელეს მტრად; მიეშურებოდნენ რომ დამტკბარიყვნენ იმათის სიკვდილის წინ ტანჯვით. უშველებელი ცირკი იატაკიდგან ჭერამდის გავსებული იყო ასი-ათასის მაყურებლებით. ურიცხვი ხალხი შედიოდა შიგ, კიბეებზედ აღიოდა და ამფითეატრის მარმარილოს სკამებზედ სხდებოდა. სენატორებს ასპარეზიდგან ჰყოფდნენ მაგრად დაკეტილი ოქროს მოაჯირები. ჰაერი სუნნელებით იყო შეზავებული. სცენას ამშვენებდა სამი-ათასი ბრინჯაოს ანდრიანტი, მრავალი სურათები, ამარტისა და წითელის ქვის ურიცხვი სვეტები და ბროლით შემკული ბალიუსტრადები, ანუ მოაჯირები. ასპარეზს გარშემო ევლო უშველებელი თხრილი, წყლით გავსებული, შიგ კროკოდილები და გიპპოპოტამები სცურავდნენ. ძალების გლეჯას მიჩვეული ხუთასი ლომი, ორმოცი სპილო, ვეფხვები, აფთრები, ველური ხარები და დათვები მიწის-ქვეშეთს მღვიმეებში ღმუოდნენ. ზღაღიატორები ველურ-მხეცებსავეით

ცხარობდნენ, აქა-იქ იარაღს სინჯავდნენ და ხან-და-ხან ბრძოლასაც იწყებდნენ ერთმანერთში, მაგრამ ისე, შესაქცევად, ღონის გასასინჯავად. მოკაზმული ქალები ეშურებოდნენ მალე დაექირათ თავიანთი ალაგები. ქარვად წარმოიდგინეთ ეს დიდ-მშვენიერი მოწყობილება და ეს მტარვალობა, ეს სადღესასწაულო მზადება და ეს სისასტიკე, ეს სიმდიდრე და ეს კაცის შეუბრალებლობა და მხოლოდ მაშინ გექმნებათ ნამდვილი ვაგება, თუ რა იყო წარმართების სახელმწიფოს საკიცხავი დიდებულება და მონობისაგან წარმომდგარი საშინელება.

აქასობაში გვარდიის სალდათები კიდევ მიუახლოვდნენ საპყრობილეს. პრეფექტის ბრძანებით ახალ-გაზდა ქრისტიანი, ლასტენი, პირველი უნდა გამოსულიყო ასპარეზზედ. შრთი სალდათი საპყრობილეში შევიდა და ლასტენს დაუძახა.

— მე აქა ვარ, მიუგო ლასტენმა.

— წამოდი სასიკვდილოდ! შთხრა სალდათმა.

— საცხოვნებლად, წყნარად მიუგო ლასტენმა და თოვლივით თეთრ-ტანისამოსით ჩაცმული გამოვიდა. ხალხში ამბობდნენ, რომ დიდი-ხანი არ არის, რაც ამ ყმაწვილმა ცოლი შეერთო და მისი მდიდრული ტანისსამოსი დედამისის ხელით არის მოქარგული საქორწილოთო. აი, ისიც გამოვიდა და ხალხი გააკვირვა მისმა სილამაზემ და აღუწერელმა სახის გამომეტყველებამ.

ლასტენი გამოვიდა და საპრობილეში დარჩენილმა ქრისტიანებმა დაწყობილად, მაგრამ წყნარად, დაბალის ხმით იგალობეს:

«შენ გაქვით, ღმერთო! შენ აღგიატვით, ზეცირო! მთელი ქვეყანა შენ გავდივხს!»

ახალ-გაზდა კაცს გულზედ მიაკრეს ზედ-წარწერა: ქრისტიანი ლასტენი. იგი წყნარად მიდიოდა კაპიტოლიიდგან ამფითეატრისაკენ. ტიტოსის ალყათვის კარების სიახლოვეს, იუპიტერ-სატორის საყდართან ხალხმა სიძულელით და რისხვით შეჰქმნა კიჟინი:

— ლაიოქე! ჰყვიროდა ხალხი, — თაყვანი ეც იუპიტერს! ჩვენს ღმერთებს თაყვანი ეცი!

ლასტენი უძრავად იდგა.

— ჩვენს ღმერთებს თაყვანი ეცი! შესძასა ხალხმა მძვინვარედ.

— ოხ, რომო, რომო! სთქვა ლასტენმა; მისი ხმა საოცარის ძალით გაისმოდა ხალხში. — ოხ, რომო! შენ გხედავ იესოს ფერხთა ქვეშე, შენი თავადიცი იხილავს ნიშანსა ჯვარისასა და თაყვანს სცემს მას! ძერბთ საყდარნიც დაკეტილ იქმნებიან და უკუნისამდე აღარ განიღებიან!...

— მე ღმერთებსა ჰგმობს! უბედურებას გვიწვევს! ჰყვიროდნენ ხალხში. მანძვინებული ხალხი ეცა ქრისტიანს და კინალამ გაგლიჯა. ლასტენი უძრავად და უშიშრად იდგა. მცველებმა რომ დაინახეს, ხალხი განძვინებულია და შეიძლება ჩვენდა ჩა-

ბარებული დასასჯელი ხელიდგან გამოგეტაცოსო, საჩქაროდ გარშემოებვიენენ, იარაღს მოჰკიდეს ხელი და ტყვე ცირკისკენ ისე წაიყვანეს. მისვლისათანავე მათ კარები გაუღეს და ლასტენი მტკიცედ, უთრთოლველად, დიდებულად და ღირსებით აღვსებული შევიდა ცირკში. ამფითეატრში იმპერატორი არ იყო; იმას ჯერ კიდევ ელოდნენ და ამიტომ ლასტენს ნება მისცეს ძირს ქეიშაზედ დამჯდარიყო. დიდისხნის საპრობილეში ყოფნის, ცუდი საქმელის, ავადმყოფობისა და წამებით გამოკითხვის გამო მას ძალა წართმეოდა, მაგრამ მას მიხლოდა მხოლოდ ხორციელი და არა სულიერი ძალა. შმაწვილი კაცი თავისს მანტიაში გაეხვია და თავი ჩალუნა, თითქოს ღრმად ჩაფიქრებულია და ვერაფერს და ვერაფერს ვერა ჰხედავსო, მაშინ როდესაც ურიცხვი ხალხი არ ამორებდა მას დამშეულს თვალს.

ამავე ღროს ერთი ყმაწვილი ქალი ხალხს აპობდა ქუჩაზედ და გამწარებული მორბოდა. ჩქარა მიიღბინა ამფითეატრისაკენ მიმავალს გვარდიის სალდათებამდის. ძალს ასწრებდნენ ეტლები, ჩაუქოლებდნენ ცხენები, გვერდით ჩაურბენდნენ მონები, რომელთაც მორთული ქალები მიჰყავდათ ტანტრევენებით, მაგრამ ის ვერაფერს ვერა ჰხედავდა, არასფრის არ ეშინოდა, ისე მირბოდა.

— ძრისტიანები მხეცებს მიეციით დასაგლეჯად! მოისმა უეცრად გამაყრუებელი ღალღება ხალხისა.

ძალი შეჩერდა.

— მე აქა ვარ! დაიყვირა მან რაც შეეძლო მალლა, — აგერა ვარ, ქრისტიანი ვარ! მე დამიჭირეთ, ცირკში წამიყვანეთ!

— ზამოქცეული ქრისტიანია, დაიყვირა ხალხმა, — დაიჭირეთ მალე!

— ჰო, მე ქრისტიანი ვარ, მაგრამ გამოქცეული კი არა — ამფითეატრში წამიყვანეთ! წამიყვანეთ, წამიყვანეთ, გვედრებით!

— ძარგი მაგრამ, გაასამართლეს კი ევა? იკითხა ვილამაც ხალხიდან.

— ზამასამართლეს, გამასამართლეს! ზაიმეორა ქალმა სიჩქარით.

ხალხმა წაიყვანა, მაგრამ კარებთან გაჩერებულმა გლადიატორმა ცირკში არ შეუშვა იგი და სთქვა, რომ ის ამ ქალს ვერ იცნობს, რომ ამისი სახელი დასასჯელთ სიაში არ არის მოხსენებული. ამ დროს მეორე კარი გაიღო; ყმაწვილი ქალი შეფარდა შიგ და სისწრაფით მოეხვია ლასტენს. ეს ამისი ახალ-გაზდა ცოლი იყო.

ამფითეატრში წამოდგა ასი-ათასი მაყურებელი და შენობაში ქუხილის ხმასავით გამაყრუებელი დრტვინვა გაიშალა:

— იმისი ცოლია! ისმოდა სხვა-და-სხვა მხრიდან.

— ქრისტიანია! მოჰკვდეს! ჰყვიროდნენ სხვები.

— ახალ-გაზდა ქალია! რა ლამაზია! რა ფერ-

მიხდილია საბრალლო! ამბობდნენ დაბლის ხმით ზოგეერთები.

— ქრისტიანია! ღაე მოჰკედეს! მე დაწყველილი ტომი ძირიანად უნდა ამოვარდეს!

მინ ასწერს ცოლის დანახვის დროს ლასტენის შიშს, სინარნარეს, სიყვარულს და მწუხარებას? ის აღგა, მაგრად მოეხვია მას და წასჩურჩულა:

— რათ მოხვედი აქ, ჩემო საყვარელო? რათ უნდა გნახო შენ აქ? როგორ შემიძლია, შენის შეუბრალებელის სიკვდილის მოწმედ ვიყო? ოხ, ღმერთო! ეს რა საშინელი განსაცდელი მომივლინე!

— ჩემო კარგო, უთხრა ქალმა წყნარად, იგი სკდილობდა დამშვიდებულყო და მართლაც ცოტ-ცოტად კიდევ მშვიდდებოდა. — ქრისტემ გვიბრძანა: «დაუტევე დედა და მამა, აღილე ჯვარი და შემომიდეგ მე!» და საღეთო წერილშიაც სწერია, რომ ცოლმა ქმარი არას დროს არ უნდა მიატოვოს. მე შენი ცოლი ვარ და შენთან მოვედი, რომ ჩემის ღმერთის გულისათვის შენთან მოგვედე! მართად მოვეკედეთ!

ლასტენმა ხმა ამოუღებლად მოჰხვია ხელი, ორივემ დაიხოჩეს და ერთმანერთს მოხვეულებმა ცისაღმი მიმართეს თვალები.

მ. პარეზზედ გამოვიდა გლადიატორი, ხალხს მიუბრუნდა და ხმა მალლა სთქვა:

— ძლიერო და თავისუფალო რომაელო ხალხო! ამ ქრისტიანმა ქალმა თავის ნებით შემოირბინა

ცირკში. სასიკვდილოდ დანიშნულებში ეს არ ურე-
 ვია. მე ბრძანება მივიღე, რომ ყველაზედ უწინ ლას-
 ტენი მივსცე მხეცებს დასაგლეჯად. იგი მარტო უნ-
 და მოჰკვდეს!

ხალხიდგან რამდენიმე ხმა მოისმა:

— ღმერთებს ჰსურსთ მაგისი სიკვდილი, — რა კი
 აქ შემოვიდა, დაე მოჰკვდეს!

— რა კი აქ შემოვიდა, მოჰკვდეს! ღაიღრიალა
 ერთ-ხმად უთვალავმა ხალხმა.

ზლადიატორი დათანხმდა და გავიდა.

ამ დროს იარაღის ქლარუნი მოისმა; ჩამოუშ-
 ვეს მიწის-ქვეშეთი ხიდი, რომელიც ამფითეატრს
 აერთებდა კეისრების სასახლესთან. მაქსიმოიანე შე-
 მოვიდა მშვენიერად ჩაცმული და ბრწყინვალე ხლე-
 ბულებით. ჰველანი ადგნენ და მიესალმნენ მას. დაწყ-
 ნარდა ყველაფერი თუ არა, წარმოდგენის დიდ-ხანს
 მომლოდინე ხალხმა დაიყვირა:

— ზამოიყვანეთ მხეცები! მხეცები გამოუშვით!
 ჭრისტოიანები მხეცებს მიეცით!

მოისმა საყვირის ხმა. მონებმა ამფითეატრზედ
 გაირბინეს მოაჯირისაკენ, რომელს გარედგან ჰშფო-
 თავდა მძვინვარებით რომაელს ხალხში სახელ-გან-
 თქმული ვეფხვი. ხელ-მეორედ გაისმა საყვირის ხმა.
 მოაჯირის კარმა დაიჭრიალა; იმისი გამღები გლა-
 დიატორი საჩქაროდ დაიმალა. მაყურებელთ უნებურმა
 ქრუან ტელმა დაუარათ ტანში.

ლასტენმა თავისი მანტია საჩქაროდ მოიხადა და მოახურა თავისს ცოლს, რომელიც მიჰყვროდა მას გულზედ, თავისი თეთრი და გაწეშებული ხელებით მაგრად მოხვეოდა და თითქმის უგრძობლად ჩამოჰკიდებოდა კისერზედ. მის უშველებელის ნახტომის შემდეგ ვეფხვი მათ გვერდით გაჩნდა... ყალბზედ შედგა, ლასტენს მხრებში ჩაუყარა კლანჭებო... საბრალო მისმა ახალ-გაზდა ცოლმა უნებურად აიხედა მალლა და თავის პირი-სახის ახლოს დაინახა მხეცის საშიშარი, დაღრენილი პირი... ქალმა სუსტად დაიკივლა..

მრთს წამს შემდეგ ორმა მონამ გაიტანეს წამებულების გვამები. ხალხმა საშინელის ტანის კერით გააცილა ისინი. ასპარეზზედ ახალი ქვიშა დააყარეს და ჰაერში ხელ-ახლად მოაპკურეს სუნნელოვანი წყალი.

სახილველი ამ რიგად გაგრძელდა... ბოლოს პანკრატის რიგიც მოვიდა. ის გამოემართა ასპარეზისაკენ. იმისი თვალები ეძებდა სებასტიანეს, რომელიც, დიდ-ხანს თვალიერების შემდეგ, დერეფანში დაინახა. სებასტიანეს გვერდით მის ღონიერს მკლავზედ დაყრდნობილი და პირზედ პირ-ბადე ჩამოფარებული ქალი იდგა. ძალს პირი-სახე დაფარული ჰქონდა, მაგრამ აუწერელი მწუხარება მისს პოზაში, მისს უსიცოცხლო გამოშტერებულობაშიაც გამოიხატებოდა. იგი იდგა ანდრიანტსავეით უძრავად. პანკრატი გაჩერდა და მის წინ დაიჩოქა.

— ღამლოცე, დედა! წაიბუტბუტა მისმა ტუჩებმა. ძალი დაიხარა, პანკრატს პირჯვარი გადასწერა და თვითონაც დაიწერა პირჯვარი.

— მოიხსენე ესა და მეც, შუალო, სასუფეველსა შენსა! წარმოსთქვა მან მტკიცედ.

პანკრატმა მოიხსნა კისრიდგან დედისაგან წინაზედ მიცემული სანაწილე, რომელშიაც იმისი წამებულის მამის და ამ ქალის ქმრის სისხლი იყო და დედას მიაწოდა. დედამ გრძნობით აკოცა შეილს და მერე სანაწილესაც.

— წამოდი, წამოდი! უყვიროდნენ სალდათები პანკრატს ხელის კვრით. ლუცინამ შეილს ხელი გაუშვა და უკან დაიწია. პანკრატი აღგა და წავიდა.

ღა აი ის დგას შუა ასპარეზზედ! ის უკანასკნელია... პანკრატი ბოლოსთვის შეინახეს... იმედი ჰქონდათ, რომ ამ ახალ-გაზდას სიცოცხლე მეტად ეყვარებოდა, შეიბრალებდა თავის ახალ-გაზდობას... წარმართების ქურუმებისათვის ძლიერ სასიამოვნო იქმნებოდა, რომ პანკრატს შესძლებოდა თავის სარწმუნოებისაგან განმდვარიყო, შეწყალება ეთხოვნა და კვრებისათვის თაყვანი ეცა... მაგრამ პანკრატმა ეს იმედი გაუმტყუნა. ის, გულ-ხელ-დაკრეფილი, ფერ-მიხდილი, ახალ-გაზდა და მშვენიერი უთრთოლველად იდგა შუა ასპარეზზედ. მხეცები აუშვეს. პანკრატი არც მაშინ შემკრთალა, ისე უძრავად იდგა. ზამოხტნენ პირ-დაღრენილი ჯიქები და დათვები, რომელთაც კიდევ ვაეცნოთ წინათ დახოცულიკაცების